

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფონდი «ეკლიტა»

საუბრები ლიტერატურაზე

ლიტინტერვიუები

ქურნალისტებთან

თბილისი - 2012

უაკ 821(082)

კრებულში შესულია ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ეპლიტფოზე“ განხორციელებული პროექტის „ლიტინტერვიუები ჟურნალისტებთან“ ბეჭდური ვერსია.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა და სწორად ფიქრობს „ლიტერატურულ კითხვებზე“.

ISBN 978-9941-0-4917-0

გიორგი კილაძე: ნინო, ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნინო ტყუნაძე: დავიბადე ქალაქ თბილისში 1991 წელს. ვსწავლობდი ანდრია რაჭმადის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, მეშვიდე გიმნაზიაში. ამჟამად ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც იმ იმედით ჩავაბარე, რომ უფრო ახლოს ვიქნებოდი ლიტერატურასთან. ახლა ვფიქრობ, რომ ეს ძალიან გულუბრყვილო მოტივი იყო.

2010 წლიდან ვარ ბლოგერი. პერიოდულად ვწერ სტატიებს სხვადასხვა ჟურნალისათვის და ვმუშაობ ბეგრვანს, ქაოსურად.

თარგმნილი მაქვს „აღისა საოცრებათა ქვეყანაში“, შემოკლებული ვერსია (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010 წელი).

ჩემი ერთ-ერთი მოთხრობა „კოქტო, მინკუსი“ შესულია 2009 წლის „15 საუკეთესო ქართული მოთხრობის კრებულში“.

ჩემს კიდევ ერთ მოთხრობას — „თვითმკვლელთა მატარებელს“ მოგებული აქვს „ერთი მოთხრობის კონკურსი 2010“.

ვარ „პენ-მარათონი 2010“-ისა და „შემოდგომის ლეგენდის“ ერთ-ერთი მონაწილე.

მეტი არ მახსენდება.

გიორგი კილაძე: „ახლა ვფიქრობ, რომ ეს ძალიან გულუბრყვილო მოტივი იყო“-ო, თქვით. დააზუსტებთ?

ნინო ტყუნაძე: უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლა სულაც არ ნიშნავს, რომ მეტ წიგნს წაიკითხავ, ვიდრე სხვა ფაკულტეტზე სწავლისას წაიკითხავდი.

გიორგი კილაძე: ნინო, მოთხრობებსაც წერთ, ლექსებსაც და ეს-სეებსაც, ინტერვიუებსაც იღებთ, წერთ ლიტერატურულ რეცენზიებსაც... „ადიბასი“ – სიყალბის ისტორია“, გამანსენდა. ეტყობა ბევრს მუშაობთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც სწავლობთ და „ბლოგერიც“ ხართ... მოდი, ნინოს ერთ ჩვეულებრივ დღეზე მომიყვებით.

ნინო ტუფნაძე: როგორც წესი, გვიან ვიდვიძებ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ მთელი ღამე ვწერ, ვკითხულობ ან ვმუშაობ. გაღვიძებისთანავე ვამოწმებ ელექტრონულ ფოსტას და თუ რამე მაქვს დასაწერი ან სათარგმნი (სტატია, ბლოგის პოსტი, რეცენზია), ვცდილობ, მაღეგე მოვიშორო. ლექციებზე წასვლას, როგორც წესი, ვერ ვასწრებ, რის გამოც ყოველი სემესტრის ბოლოს სინდისი მქენჯნის. ვიქნები გულწრფელი და ვიტყვი, რომ საშინელი სტუდენტი ვარ, რაც ნაწილობრივ ჩემი ბრალია და ნაწილობრივ – გარემოებების. საღამოს გარეთ ვავდივარ და მეგობრებს ვსვდები, რომელთა სრული უმრავლესობაც იმ სფეროშია, რომელშიც მე. დღის ყველაზე კარგი მოწაკვეთი კი ღამის 12 საათიდან იწყება. ვჯდები კომპიუტერთან და ვკითხულობ სტატიებს, მოთხრობებს და მეც საუკეთესო იდეები სწორედ ამ დროს მომდის. გამთენიისას ვიძინებ, მეორე დღეს კი იგივე ამბები იწყება.

გიორგი კილაძე: „ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დაავუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება,“ – ბატონმა გაა არგანაშვილმა ბრძანა ჩემთან საუბრისას. თქვენ რას ფიქრობთ? სხვათა შორის ბატონმა გაამ იქვე ბრძანა: „ვწერ მხოლოდ მაშინ, როცა სხვა, უკეთესი საქმის გაკეთება არ შემიძლია“ თქვენ როდის წერთ?

ნინო ტუფნაძე: მე ვფიქრობ, რომ ნაწერზე უნდა იმუშავო დაწერამდეც, წერის პროცესშიც და დაწერის შემდეგაც. მოთხრობის იდეაზე დიდხანს არ ვყოვნდები, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ რაზეც დიდხანს მიფიქრია, ის უკეთესი გამომსვლია. ვწერ მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ დროა, დავწერო. როგორც წესი, ეს დღის საათებში ხდება. ასე რომ, რაც იწერება, უძილობისგან გადაღლილი ტვინის ნაყოფია. მე ვფიქრობ, რომ ყოველთვის შეიძლება წერაზე უკეთესი რამით დაკავდე (მაგალითად, კითხვით), მაგრამ ხანდახან უბრალოდ პრიორიტეტებს ადგილს ვუცვლი (ასე მინდა და იმიტომ). არანაირი ობიექტური მიზეზი ამას არ აქვს.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? თქვენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ნინო ტყეფნაძე: ძალიან რთული კითხვაა. თანამედროვე ქართულ ლიტერატურას სისტემატურად ვეცნობი. ვფიქრობ, რომ მთავარი, რაც ჩვენი დროის ქართულ პროზას აკლია, თანამედროვე რომანია. თანამედროვეში იმას არ ვგულისხმობ, რაც ახლა იქმნება, არამედ დროის შესაბამისს ჟანრისა და ფორმების მიხედვით – მრავალფეროვანს, სათქმელის მიხედვით – ახალს. რაც იქმნება, უმეტესად სოციალური სატირაა, არადა სიამოვნებით წავიკითხავდი ქართულ „ჰორორს“, ფანტასტიკას, დეტექტივს. არაფერი იწერება 13-19 წლის ასაკობრივი კატეგორიისთვისაც. ეს სერიოზული ლაფსუსებია, რომლის გამოსწორების იმედიც არ უნდა დაგპარგოთ. თითქმის ყველა მოქმედ ავტორს ვკითხულობ და ჩემი ფავორიტებიც მყავს, მაგრამ მათი დახასჯელებისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ინტერესით ჩემი მეგობარი ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს ველოდები. მგონია, რომ სწორედ მათ შეუძლიათ ახალი ლიტერატურული პროცესის წამოწყება.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. მეთანხმებით? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებმელოდრამატული“ – სამაგიეროდ ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, სწირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩნუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნინო ტყეფნაძე: არ მიმაჩნია სწორად ლიტერატურის სქესის მიხედვით დაყოფა. სიტყვათმეთანხმება – „ქალური (ან თუნდაც „მამაკაცური“) პროზა-პოეზია“ – გულს მირევს. იმას არ ვგულისხმობ, რომ მკითხველი ვერ უნდა მისვდეს, ნაწარმოები ქალის დაწერილია თუ – კაცის, მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ავტორი მიეკუთვნება ამა თუ იმ სქესს, ლიტერატურის შესახებ რაიმე დასკვნის გამოტანის საფუძველს არ გვაძლევს. ლიტერატურა ლიტერატურაა, მიუხედავად იმისა, მას ქალი ქმნის, მამაკაცი თუ უცხოლანეტილი. არა მგონია, რაიმე სპეციფიკური ნიშნები ახასიათებდეს ქალების შემოქმედებას. ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც ზოგადად ქალთა სქესს ახასიათებს, რა თქმა უნდა, ნაწერშიც მულაზნდება, მაგრამ ეს მათ მიერ შექმნილ ლიტერატურაზე მსჯელობისთვის არასაკმარისი პირობაა.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნინო ტყეფნაძე: აკრძალული თემები არ არსებობს, არამედ არსებობს თემები, რომელზეც წერა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის გამაღიზიანებელია. თუ რა აღიზიანებს ხალხს, ეს კარგად გამოიჩნდა „საიდუმლო სირობის“ მაგალითზე. ქართველებს არ უყვართ, როცა ლიტერატურა მათთვის „სელშეუხებელ“ საკითხებს ესება. ეს საკითხებია, პირველ რიგში, სარწმუნოება, შემდეგ სოციალური ღირებულებები (ოჯახის ინსტიტუტი, ქალის პატივისცემა) და ქართული იდენტობის „განმსაზღვრელი“ ნებისმიერი ფაქტორი, დაწყებული ხინკლით, დამთავრებული — „რჩეული ერის“ ფენომენით.

თუ მწერალი საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემებს თავს არიდებს, ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ წნეს გრძნობს გარემოცვისაგან. ხანდახან თვითცენზურაც მოქმედებს, მაგრამ ეს თავის გასამართლებლად საკმარისი მიზეზი არაა. თუ მწერალი ხარ, გამბედავიც უნდა იყო და მიაწოდო ხალხს ის, რაც შეიძლება დღეს მიუღებელი იყოს, მაგრამ სწავლავს და გახდეს მისაღები.

გიორგი კილაძე: ნინო, თქვენ „ბლოგერი“ ხართ. მოდით, ვირტუალურ ლიტსივრცეზეც ვისაუბროთ. „პირველი პაემანი“ გამახსენდა ახლა... თქვენს ბლოგზე დაწერილი...

ნინო ტყეფნაძე: მე დარწმუნებული ვარ, რომ ლიტერატურის მომავალი ინტერნეტია. როცა რომელიმე მწერალი იწყებს წუწუნს, სად არიან მკითხველები, მე ვპასუხობ, რომ მკითხველები არიან ინტერნეტში: ფორუმებზე, „ფეისბუქზე“ და სკაიპში. უბრალოდ, საჭიროა, შევქმნათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც ასეთი კონკურენციას გაუძლებს. არ მესმის, როგორ შეიძლება, გქონდეს ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა, უზარმაზარ აუდიტორიას ესაუბრო და ამ შანსს არ იყენებდე. ქართველი მწერლები 1500-მდე სტაბილურ მკითხველზე არიან დამოკიდებულნი, რომელთაც წიგნის მაღაზიებში სიარული უყვართ. არადა, პოტენციური მკითხველი ვაცილებით მეტია. ამას ჩემი ბლოგის მაგალითზე ვხედავ. ის, ვინც ალბათ არ იყიდდა ჩემს წიგნს, შემოდის ბლოგზე და კითხულობს, რასაც ვწერ. მთავარი სწორედ ესაა. რა მნიშვნელობა აქვს, სად წაგიკითხავენ — ბლოგზე, ჟურნალში თუ შენს წიგნში. მთავარია, წაგიკითხონ.

გიორგი კილაძე: ნინო, მწერალ დავით ქართველი მუილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გაგისხენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და პროზა არ მომეკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები

თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ: მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტებმა აიღეს, მორალური საკითხები – ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და, უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თნობა“ – კითხვას არ დაგვისვამთ... მსოფლიო კომენტარი...

ნინო ტყეშელაძე: თანამედროვე სამყაროში მწერალს აღარ ევალება, რომ საზოგადოების წინეობრივი მხარის მესაჭე იყოს. მას შეეძლება, რაც მწერლები ამ ფუნქციისგან გათავისუფლდნენ, ლიტერატურამაც იცვალა სახე. უბრალოდ, ზოგიერთები ვეღარ მისვლდნენ, როგორ წერონ და ამ ფონზე სრულიად არაადეკვატურად გამოიყურებიან. მწერლის საქმე ხალხის გართობაა და არა აღზრდა. აღზრდა მსოფლიო გვერდითი ეფექტი შეიძლება იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – მთავარი მიზანი. ჩვენ უნდა მოვყვეთ საინტერესო ამბები ან მოვყვეთ ჩვეულებრივი ამბები საინტერესოდ. მეტი არც არაფერია საჭირო.

გიორგი კილაძე: ნინო, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენნი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? თქვენი „სავიზიტო ლექსი“ რომელია? იქნებ ჯერ არ გაქვთ?

ნინო ტყეშელაძე: არა მგონია, რომ ქართულ პოეზიაში ოცდამეერთე საუკუნეში რაიმე განსაკუთრებული ხაზი გაჩენილიყო. მგონია, ის პროცესი ვრძელდება, რაც 90-იან წლებში დაიწყო – ღირებულებების გადაფასების და ექსპერიმენტებისა. მომავალში, ჩემი აზრით, ქართულ პოეზიასაც ის ელის, რაც მსოფლიო პოეზიას – ანუ გაქრობა. თუმცა, ქართველები, ალბათ, ყველაზე გვიან შეეგუებიან ამას. მე თვითონ აღარ ვწერ ლექსებს და არც ვაპირებ ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდო ხელი. პროზით უფრო ვარ გატაცებული. ასე რომ, სავიზიტო ლექსი თუ ჯერ არ ყოფილა (და ალბათ, არ ყოფილა), აღარც იქნება.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ? თქვენ თუ გააკრიტიკეთ ვინმე? თუ კი, რატომ?

ნინო ტყეშელაძე: მთლიან, შეგნედოთ სიტუაციას რაციონალურად. არ არსებობს ლიტერატურული კრიტიკა, არსებობს რამდენიმე ადამიანი (მათ ჩამო-

სათვლელად ერთი წელის თითებიც საკმარისია), ვისაც შეუძლია, ასე თუ ისე, საინტერესოდ განიხილოს ახალი წიგნი თუ ზოგადად ლიტერატურული პროცესი. საქმე ისაა, რომ კითხვა ყველას ეზარება, წაკითხულზე დაწერა სომ— მით უმეტეს. თან, კრიტიკისათვის განსახილველი წიგნის წაკითხვა არ კმარა, ზოგადად, აქტიური მკითხველი უნდა იყოს, პარალელები გაავლოს, იმსჯელოს. ეს კი დამძლელობა, ძალიან დამძლელობა. იმასაც ვიტყვი, რომ კრიტიკა არ ნიშნავს მაინცდამაინც ცუდის თქმას, კრიტიკა ნიშნავს განხილვას. ასე თუ შეგნედავთ საკითხს, რამდენიმე მწერალი „გამიკრიტიკებთ“. მაგრამ ვფიქრობ, ეს არაა კარგი ამბავი. მე უბრალოდ ვერ მექნება საკმარისი კომპეტენცია ლიტერატურული კრიტიკისთვის თუნდაც მხოლოდ ასაკის გამო. მეორე მხრივ, იმას, რომ საერთოდ არაფერი იწერებოდეს, ალბათ, სჯობს, უბრალო მკითხველები მაინც წერდნენ. ჩემს თავს კი სწორედ უბრალო მკითხველად მივიჩნევ და არა კრიტიკოსად.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განუვადრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტ. კონკურსის ფიურის წევრი თუ ყოფილხარ? ძნელია?

ნინო ტყეშაძე: არ არსებობს ობიექტური ლიტერატურული კონკურსი. ლიტერატურა არაა ობიექტური შეფასების სფერო. ყველა ფიური სუბიექტურია და როგორც კი ამას დაუშვებ, მაშინვე დგება ყველაფერი თავის ადგილზე. მთავარია, რომ ფიურის მიერ შერჩეული ლიტერატურა მინიმალურ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებდეს. არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებზეც ლიტერატურულ სფეროში გათვითცნობიერებული ადამიანები თანხმდებიან. თუ რომელიმე კონკურსის ისეთი ნაწარმოები იგებს, რომელიც ამ მინიმალურ მოთხოვნებს ვერ პასუხობს, კონკურსისადმი ნდობას ვკარგავ. სხვა შემთხვევაში კი უბრალოდ ვფიქრობ, რომ ფიურის ასეთი პროზა თუ პოეზია ურჩევნია. რას ვიზამთ, მთავარია, ფიურის წევრებს თავადაც არ ჰქონდეთ პრეტენზია ობიექტურობაზე. მე არც ერთი ლიტ. კონკურსის ფიურის წევრი არ ვყოფილვარ და არც მინდა. როგორც ვსვდები, ამას მხოლოდ პრობლემები მოაქვს ცნობარებაში.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზე გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? დაგიგროვდათ სათქმელი, რომელსაც ჯერ ლექსის, ესესეს, მოთხრობის სახეს ვერ აძლევთ? როგორ ფიქრობთ, შეხვედრის

შემდეგ გავიხსენებთ ახალი სათქმელი? ბოლოს და ბოლოს, მკითხველთან პირისპირ ნებისმიერ შეხვედრას ემოციური მუსტი მოაქვს...

ნინო ტყუნაძე: ჩემი მკითხველები ძირითადად ახალგაზრდები არიან და მისწრაფებენ, რომ მათთვის ვწერ. სულაც არ ვფიქრობ, რომ ლიტერატურა ყველა ასაკობრივ ჯგუფზე უნდა იყოს გათვლილი. რატომაც ცუდი, თუ სამიხსენებ აუდიტორია გყავს? რაც შეეხება ლიტერატურულ შეხვედრებს, ვფიქრობ, ეს ტრადიცია ემსახურება იმას, რომ მწერლებმა გაიგონ, რას ფიქრობს მათზე რიგითი მკითხველი. მე ისედაც ვიცი ჩემი მკითხველის აზრი ჩემი მოთხრობებისა თუ სტატიების შესახებ (როგორც წესი, შეხვედრებს კომენტარების საშუალებით იქვე აფიქსირებენ ხელმე). თუმცა, არც საჯარო შეხვედრაზე ვიტყვით უარს სწორედ იმ ემოციური მუსტის გამო, რომელიც ასეთი საუბრების მერე ორივე მხარეს რჩება.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ ვიფიქრიათ?

ნინო ტყუნაძე: მგონი, არც ისე ცოტა ჟურნალ-გაზეთი გვაქვს, მეტი ალბათ, არცაა საქმით. აი, გამომცემლობა კი სჯობს, რომ მეტი იყოს — უფრო მწვავე კონკურენცია იქნებოდა და მკითხველზე ეს მსოფლიო სასიკეთოდ აისახებოდა. დაბალ ფასებსა და არჩევანის მრავალფეროვნებას ვგულისხმობ. კი, ავტორებს წიგნების გამოცემა უჭირთ, მაგრამ მგონი, ეს მათი ბრალი უფროა, ვიდრე გამომცემლობების. მწერალი არ უნდა იხდეს ფულს იმაში, რომ წიგნი გამოსცეს. თუ ეს ასეა, მაშინ რაღაც გერაბა რიგზე: ან ნაწარმოები არ ვარგა, ან ნაწარმოების ხალხამდე მიწოდების ფორმა. არასდროს მიფიქრია ლიტერატურული გამოცემის დაარსებაზე. დიდი თავისტიკა ვილია. მინჩევანია, არსებული ლიტერატურული პერიოდიკის შეცვლაში მივიღო მონაწილეობა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის კაცი ვასილ კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ნინო ტყუნაძე: დოქანაშვილია, რა თქმა უნდა, ისე მერა, როცა „კარცერლუქსზე“ დაწერა, მაგრამ ვფიქრობ, გულის სიღრმეში მასაც

მოსწონდა წიგნების „იძულებით“ შეყვარების იდეა. აი, მე კი საშინლად არ მომწონს. რა საჭიროა მკითხველი, რომელმაც მხოლოდ იმიტომ დაიწყო კითხვა, რომ სსვა გზა არ ჰქონდა. მე ისეთი მკითხველები მინდა, ათას გასართობს შორის მაინც ლიტერატურა რომ აირჩიეს, თანაც განსობიერებულად და არა იმის გამო, რომ სსვა რამის არჩევის საშუალება არ ჰქონდათ. დღევანდელი მკითხველი არ ჰგავს ვასიკო კეჟერაძეს და არც უნდა ჰგავდეს. არაა საჭირო კითხვის რომანტიზება. პირიქით, ის რაც შეიძლება ჩვეულებრივ ამბად უნდა განვიხილოთ. ასე მეტი შანსია, რომ ადამიანები საკუთარი სურვილით დაინტერესდნენ წიგნებით.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სშინად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნინო ტუფნაძე: ფილოსოფიური კითხვებით ნაკლებად ვარ გატაცებული. საკუთარ თავთან საუბრის ყველაზე საინტერესო ფორმად მონოლოგი კი არა, სიზმარი მეჩვენება, სადაც კითხვებს არაცნობიერი სვამს. მთავარი, რაც სიზმრებში მაინტერესებს სოლმე, არის რეალურობა-არარეალურობის საკითხი: როგორ უნდა გავიგო დაზუსტებით, მძინავს თუ არა, ვარსებობს თუ არა? სანამ ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, სსვა კითხვებზე პასუხების მოსაძებნად თავის ატკივება არც ცხადში და არც სიზმარში არ მიღირს.

გიორგი კილაძე: ფირუხ, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ფირუხ ბოლქვაძე: დავიბადე 1983 წლის 13 აგვისტოს ერთ ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში. 2000 წელს წარჩინებით დაჯამთავრე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მასცილაურის საშუალო სკოლა და ჩავინიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. ამჟამად ვარ რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი კლინიკური ფსიქოლოგიის განხრით. მყავს მეუღლე და ქალიშვილი – მაგდალინა. ვწერ ბავშვობიდან, ძირითადად ლექსებს. მაქვს ჩანახატები და მოთხრობებიც, თუმცა მათი ვინმესთვის ჩვენება აზრადაც არ მომსვლია. ეს ალბათ იმიტომ, რომ ვგრძნობ პროზაში ძალიან სუსტი ვარ. გამოქვეყნებული მაქვს ლექსების სამი კრებული: „ზღვა და სიყვარული“, „ნისლიანი სტრიქონები“ და „მოვარეული სტრიქონები“. რაც შეეხება საქმიანობას, ვარ აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტი.

გიორგი კილაძე: ბათუმელი ხართ, აჭარაზე მომიყვით, ბათუმზეც...

ფირუხ ბოლქვაძე: მიუნედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ბავშვობა გურიაში მაქვს გატარებული, ვგრძნობ, რომ აჭარა ჩემთვის ძალიან ძვირფასია. 90-იან წლებში, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ჩემი ოჯახი იძულებული გახდა გურია მიეტოვებინა და საცხოვრებლად აჭარაში დაბრუნებულიყო. მაშინ მქონდა პერიოდი, როცა ყოველდღე იქაური სახლ-კარი მეისმრებოდა. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და მივხვდი, რომ გურიაში მთელი ცხოვრებაც რომ გამეტარებინა, გული მაინც აჭარისკენ გამომიწევდა. აჭარაც არ იყო მაშინ უცხო ჩემთვის. აჭარის მაღალმთიანეთის საზაფხულო იალაღებზე, მწვანე ტბასთან ახლოს, რომელიც გოდერძის უღელტეხილს ესაზღვრება, სახლი გვქონდა და მთელ ზაფხულს იქ ვატარებდი. იქაური მეგობრები დღემდე შემომრჩნენ, რაც ჩემთვის იმ დიდი სიყვარულის უტყუარი დასტურია, რომელიც მე ამ კუთხის მიმართ გამაჩნდა და გამაჩნია. რაც შეეხება ბათუმს, მე მასზე საუბარს ასე დავიწყებდი:

ჩემო პატარა,
შენ ანლა გძინავს,
ჩემი გული კი შენს ნიღვას ნატრობს;
მოდე სიწმრებში
დავიდოთ ბინა,
რადგან ვერ ვაძლევ ამაღამ მარტო.

მაღლე ბათუმში
წამოვა წვიმა,
და მტირალაზეც ფიფქები დათოვს;
ჩვენ კი შეგნვდებით
და როგორც წინათ
გზას დავადგებით საოცრად ფართოს...

ბარათაშვილზე
დუქანი სვინაგს,
ბარბარესთან კი სურნელი მათრობს
ბალახბულახის
და კატერინას
ღვთისმშობელამდე ვაწონებ ბათუმს...

ჩემო პატარა,
შენ ასლა გძინავს,
მე კი ოცნებაჲ უსაზღვროდ გნატრობ;
მოდო ქუჩებში
დავიდოთ ბინა
მე და ბათუმი ვერ ვაგძლებთ მარტო!

მე მგონი, ამ სტრიქონებიდანაც კარგად ჩანს, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ბათუმი, და ამიტომ თავს ნებავს მივცემ ქალაქზე, რომელიც ჩემთვის ჩემს უდიდეს სიყვარულთან არის ასოცირებული, მეტს არაფერს ვიტყვი.

გიორგი კილაძე: ფირუზ, საუბარი ლიტერატურულ პორტალ „კლიმი-ით“ გაუაგრძელოთ... თქვენი დაარსებული პორტალია. მოდი, მოკლედ მოვჭრი: „კლიმის“ CV.

ფირუზ ბოლქვაძე: „კლიმი“ ჩემი შვილობილია. ხანდახან ასე მგონია, ჩემთან ერთად დაიბადა და იზრდება. მისი მოვლა ჩემთვის სასიამოვნოც არის და საინტერესოც. ძალიან მინდა, როცა პორტალზე ახალი ავტორები და წევრები ჩნდებიან. ეს ჩემთვის დღესასწაულივითაა. ეს არის მომენტი, როცა სასიამოვნო მთელი დღით ვივსები და კარგი ნაწარმოებების გამოთქვეყნებას ვეძებ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ნაწარმოებს ვკითხულობ და უბრალოდ იმის გამო, რომ ლიტერატურასთან თითქმის არაფერი აქვს საერთო, მისი გამოქვეყნება მიჭირს. ამას ავტორებიც ხვდებიან ალბათ და საბედნიეროდ, ჩემს გადაწყვეტილებებს გაგებით ეკიდებიან.

„კლიმი“-ს არსებობა 2002 წლიდან იწყება. როცა დავაფუძნე, მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. მაშინ ძალიან მინდოდა დამწეებ ავტორთათვის

თავი ერთად მომეყარა და მათთვის თვითრეალიზაციის საშუალება მიმეცა. ამის მიღწევა კი, ჩემი აზრით, ლიტერატურული პორტალის დაფუძნებით შეიძლებოდა. იდეა საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს ინტერნეტში დაშვებისა და სწავლების ცენტრში (IREX/IATP) წარგადგინე და მოეწონათ. შემდეგ საიტიც ამაწყობინეს და ჰოსტინგიც გამოიკეთეს. მიუსუდავად იმისა, რომ „კლიმი“ მაშინ ძალიან პრიმიტიული იყო, პროექტმა იმუშავა. მე დღემდე ვამაყობ იმით, რომ საიტის ერთ-ერთი პირველი ავტორი გიორგი საჯავაძე იყო, რადგან მიმაჩნია, რომ ის ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი პოეტია. ჩემთვის სასიამოვნოა ისიც, რომ საიტის აქტიური გულშემატკივარი იყავით თქვენც და იდეებით გვასახრდობდით. შემდეგ იყო „კლიმი“-ს სახეებისა და სახელების ცვლა და ვფიქრობ, განვითარებაც. გარდა ამისა, რამდენჯერმე შეიცვალა საიტის დიზაინი, სისტემური მხარდაჭერა და ძრავი. ვფიქრობ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „კლიმი“-მა გაიმარჯვა სტუდენტური პროექტების პროგრამაში და თსუ-ში მოღვაწე უცნობ და ახალბედა ავტორებს საზოგადოების წინაშე საკუთარი შემოქმედების წარდგენის საშუალება მისცა. ეს მაშინ კარგი დასაწყისი იყო. თუმცა მე დღემდე ვფიქრობ, რომ პორტალის განვითარებისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი და როგორც კი ამის შესაძლებლობა მომცემდა, აუცილებლად შევქმნი ლიტერატურულ ინტერნეტ-რესურსს, რომელიც უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი იქნება.

გიორგი კილაძე: რადგან „კლიმი“ ვახსენეთ, ჩემს ერთ ტრადიციულ კითხვას აქვე დაგისვამთ: „კაცია, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვახსიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ფიროზ ბოლქვაძე: სიმართლე გითხრათ, წიგნის იძულებით შეყვარება უაზრობად მიმაჩნია. წიგნები თავად უნდა შეიყვარონ ადამიანებმა. ადრე ავტორები იმით ხდებოდნენ პოპულარული, რომ მათი ნაშრომები ავტორიტეტული პიროვნებების ყურადღებას იმსახურებდნენ. დღეს კი საქმე სხვაგვარადაა. დღეს ავტორს შეუძლია საკუთარ წიგნს კარგი „ბი-არი“ გაუკეთოს და სარფიანადაც გაყიდოს, მაგრამ ამით ამ წიგნზე და მით უმეტეს ავტორზე შეყვარებულ მკითხველს არ შევსვენდრივარ. სამაგიეროდ, შევსვენდრივარ მკითხველს, რომელსაც ასეთი წიგნები შემდეგ სხვა დანიშნულებისთვის გამოუყენებია. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების ძირითადი შემფასებლები მაინც გემოვნებიანი მკითხველები არიან, დანარჩენები კი მათი ზეგავლენის ქვეშ ექცევიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ლექსი

ან მოთხოვნა ლიტერატურულად რაიმე ღირებულების მატარებელი არ არის, ის შეიძლება განდეს პოპულარული, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით და ისიც არაკომპეტენტურ მკითხველში. ჩემი აზრით, ეს კარგიც არის, რადგან სხვაანაირად არც ავტორები იფიქრებდნენ ღირებული ნაწარმოებების შექმნაზე და არც მკითხველები – ცუდისა და კარვის განჩევაზე. შესაბამისად, არ განვითარდებოდა ლიტერატურაც, რაც შეეხება თანამედროვე ადამიანების ლიტერატურისადმი სიყვარულს, ვფიქრობ, რომ ის არაფრით განსხვავდება სხვა პერიოდებისგან, რადგან დღესაც, ისევე როგორც თუნდაც გასულ საუკუნეში, არიან მკითხველები, რომლებიც ამავე დროს არიან კარგი კრიტიკოსებიც და ობიექტურად აფასებენ იმ რეალობას, რომელიც თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროში არსებობს.

გიორგი კილაძე: საუბარი პოეზიით განვავტოვოთ. ფირუზ, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ფირუზ ბოლქვაძე: თუ არ ჩავთვლით იმ ავტორების შემოქმედებას, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს „კლიშე“ ან სხვა ლიტერატურულ პორტალებზე აქვეყნებენ, თანამედროვე ქართულ პოეზიას ცუდად ვიცნობ. ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, თუმცა მათზე საუბრით ახლა თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ, ღიად ვიტყვი იმას, რომ არ მომწონს ბოლო დროს მოძალებული თეთრი ლექსების წერის მზარდი ტენდენცია. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ რითმიანი ლექსები პოპულარული აღარც არის, რადგან ვიღაცები ფიქრობენ, რომ ასეთი ლექსები სტანდარტულია და თითქოს ადვილად იწერება. ვერლიბრებს გალაკტიონიც წერდა, მაგრამ მას სტრიქონებში იმდენად კარგად აქვს სიტყვათა უღერადობა ერთმანეთთან შეხამებული, რომ ვერც იგრძნობ, თუ ვერლიბრია. ახლა ვეღარ გაიგებ, ადამიანი რას წერს, ლექსს თუ მოთხრობას. ტაბეები ერთმანეთზე რომ გადააბა, კარგი ჩანანატი გამოვივა, არადა ამაზე ავტორმა შეიძლება ერთი ამბავი ავითქოს – „მე ლექსი დავწერე“. ეს ჩემთვის მიუღებელია. მე, როგორც მკითხველს, მინჩევიანია ლექსს – ლექსად ვკითხულობდე და მოთხრობას – მოთხრობად.

გიორგი კილაძე: ფირუზ, „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? თუ გაქვთ, რომელია? რატომ ეს და არა სხვა?

ფირუზ ბოლქვაძე: „სავიზიტო ლექსი“ არ მაქვს. სხვადასხვა პერიოდში ჩემთვის ჩემს მიერ დაწერილი სხვადასხვა ლექსებია აქტუალური. ეს ჩემს განწყობაზეა დამოკიდებული. ახლა კარგ განწყობაზე ვარ, ამი-

ტომ „სავიზიტო ლექსად“ ერთ ჩემს გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს შე-
მოგთავაზებთ, რომელიც ჩემი ქალიშვილის დაბადებამდე დავწერე. საო-
ცარი იყო ჩემთვის შვილის შექმნის მოლოდინში გატარებული დღეები –
ცოტათი მძიმეც, მაგრამ სასიამოვნოდ მოსაგონარი:

შორენას

ჩვენ ახლა ვზივართ და ზღვის ნაპირებს
გავყურებთ, მოჰქრის ნიაჟი ნელა;
ჯერარშობილიც სუნთქვას აპირებს,
ჩამოვუკიდოთ აქ საქანელა!

გაკოცებ ახლა, ამ გზებს, ამ ხიდებს,
ვაშენებ წვიმს თუ ქარია, ბნელა,
მომინდა ნათლით ცამდე ახვიდე,
რადგან სხვანაირს ვიყურებ ძნელად...

შენ ღვთაება ხარ, წამწამს არ სრიდე
თუნდაც არახდროს, მანიჭებ ყველა
სიკეთეს, სვალ კი ამ გზებს, ამ ხიდებს,
ვაჩვენებთ ჩვენს შვილს უკვდავ სახელად!

ჩვენ ახლა ვზივართ და ზღვის ნაპირებს,
გავყურებთ მოჰქრის ნიაჟი ნელა,
ჯერარშობილიც სუნთქვას აპირებს,
ჩამოვუკიდოთ აქ საქანელა!

გიორგი კილაძე: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა გაა არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მნატვრული ტექსტი და რა გავლენას ახდენს სხვადასხვა თაობის მკითხველზე? პირადად თქვენზე?

ფიროზ ბოლქვაძე: აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ გიას. მიყვარს სიტყვებითა და ფრაზებით თამაში. რამდენად გამომდის ეს ჩემს შემოქმედებაში, სხვა საკითხია, მაგრამ ჩემთვის ნაწარმოებში ასეთი რამის აღმოჩენა დიდი ლიტერატურული ღირებულების მატარებელია. ბავშვობაში მეუბნებოდნენ, რომ შემოქმედებითი ბუნებით სიმბოლისტებთან ვიყავი ახლოს და ამ შეფასებას მეც ვიზიარებ. ლიტერატურა აზროვნების ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ფორმების რეალიზაციის პროდუქტია, რაც

შემოქმედ ადამიანებს არნახულის წარმოსახვისა და მისი რეალობაში ვად-
მოტანის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ანიჭებს. ისე არავის შეუძლია
ირეალური რეალურად აქციოს, როგორც მწერალს. სწორედ ამიტომ ლიტ-
ერატურაში მკითხველის გულის მოსაგებად ასეთი ფანდების გამოყენება გამ-
ართლებულად მიიჩნევა. მიყვარს სიტყვათშემოქმედებაც. ამაში ახალი სი-
ტყვების დამკვიდრებას ვგულისხმობ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფენომენი
შიზოიდურ მენტალობასთან მჭიდრო კავშირშია, ვთვლი, რომ ამაში ცუდი
არაფერია, მით უმეტეს, რომ მსგავს შემთხვევებს პრაქტიკაში უკვე ვიცნობთ.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ
პროზაზე? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარ-
მოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ფირუზ ბოლქვაძე: თანამედროვე ქართულ პროზას ცუდად ვიცნობ,
ამიტომ თუ არ მიწყენთ, მისი შეფასებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკო-
სთა რიცხვი. მეთანხმებით? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი
ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მა-
მაკაცი- პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მა-
მაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელ-
ოდრამატული“, სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტიურია, ხშირ-
ად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად
ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩნებოდათ.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ფირუზ ბოლქვაძე: ერთმნიშვნელოვნად ვიზიარებ აზრს, რომ ქალი-
პროზაიკოსის მოთხრობები მამაკაცის მოთხრობებისგან განსხვავდება. ამის
შემჩნევა ნაწარმოებზე ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება. მიმაჩნია,
რომ ქალების ნაწარმოებები მიუხედავად იმისა, რომ ქაოტურია, უფრო
რომანტიკული და ინტიმურია. უფრო მეტიც, ვთვლი, რომ სქესის ფაქ-
ტორი პოეზიაშიც იკვეთება. როცა ლექსს ვკითხულობ, გუმანით ვსვდები,
ვინ დგას მის უკან – სუსტი თუ ძლიერი სქესის წარმომადგენელი. ეს
ბუნებრივია, რადგან მამაკაცს თავისი ინტერესების სფერო აქვს და ქალს
– თავისი. ასევე ვიზიარებ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქალებ-
ის პროზა უფრო თამამია და გარკვეულ თემებზეც უფრო ღიად შეუ-
ძლიათ საუბარი, ვიდრე მამაკაცებს.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ,
არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ფირუზ ბოლქვაძე: ჩემი აზრით, ლიტერატურაში აკრძალული თემები
არ არსებობს. ლიტერატურა თავისუფალია და ამ სფეროში თუ რაიმე შეზღუდ-

ვა არსებობს, ეს ავტორების ბრალია. მწერალი თავად ირჩევს, რა თემაზე ისაუბროს და რა თემაზე არა და არ მჯერა, რომ თუ მას რაღაც საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის პირდაპირი გზით გამოსატყა არ შეუძლია, ეს შეფარვით მაინც არ გააკეთოს. ამის ნათელი მაგალითების პოვნა ჩვენს უახლოეს წარსულშიც მრავლად შეიძლება. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ 200 წლიანი რუსული ოკუპაციის მანძილზე, განსაკუთრებით კი საბჭოთა ეპოქაში, ქართველი მწერლები და პოეტები ქვეყანაში ეროვნული მუსტის გასაძლიერებლად სწორედ ამ სერსს მიმართავდნენ. რეპრესიების გამო მათი დიდი ნაწილი ღიად ვერ საუბრობდა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასზე, მაგრამ ამ იდეებს თავის ნაწარმოებებში ისე ატარებდა, რბილად რომ ვთქვათ, „არც მწვადი იწვებოდა და არც შამფური“, გამგები კი ამ ყველაფერს ისე გებულობდა, როგორც უნდა გავყო და გასაგები სიმართლედ სწორედ ეს იყო. სამწუხაროდ, ისტორიულმა რეალობამ გვინგვნა, რომ ამის მიუხედავად ბევრი მათგანისთვის მწვადიც დაიწვა და შამფურიც.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე.. ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონიც“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა...“ — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემომღალწუნებელს მეორე ლოცა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი?

ფიროზ ბოლქვაძე: ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული პრობლემები მეც ძალიან მაწუნებს. ზემოთ ვთქვი, რომ ლიტერატურაში სიტყვათწარმოებას (მე ამას „სიტყვათშემოქმედება“ ვუწოდებ) მივყავალმები, მაგრამ ვერასდროს ვერაფრით შეგვეგუები ჟარგონების გამოყენებას. შეიძლება მწერალმა ქუჩის ტერმინოლოგიით შენი გმირი ააღაპარაკო, მაგრამ ამ ფრაზეოლოგიით ამბის გადმოცემა არ უნდა იკადრო. ეს ჩემთვის მიუღებელია. ჩემი აზრით, ეს მკითხველის შეურაცხყოფა და სალიტერატურო ენის დეგრადაციის მცდელობაა. ნურავინ გამიგებს ისე, თითქოს ვინმეს ვებრძვი, ყველას რაც გაუნარდება და როგორც გაუნარდება, ისე წეროს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამით შეიძლება ლიტერატურის განვითარება შეგაფერნოთ და მომავალი თაობების გემოვნება ნაგვის ყუთებამდე დავიყვანოთ.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად ივრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გავაკრიტიკათ და რატომ?

ფირუზ ბოლქვაძე: ლიტერატურულ ცნოვებაში კრიტიკას არა მარტო სიმძაფრე, არამედ კონკურენციაც შემთავს. სწორედ კრიტიკაა იმის გარანტი, რომ ლიტერატურა არ დანაგვიანდეს. თუმცა ამისათვის აუცილებელია, რომ შეფასება იყოს ჯანსაღი და ობიექტური. ეს არც ავტორისთვის იქნება საწყენი და არც ამ ავტორზე შეყვარებული მკითხველისთვის. თანამედროვე ლიტერატურას ჰყავს კრიტიკოსები, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი მკითხველია და არა ამ საქმის პროფესიონალი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ნაწარმოებთან დაკავშირებით მკითხველის მიერ გამოთქმულ აზრს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდ როლს ორი ფაქტორი თამაშობს. ჯერ ერთი ის, რომ მკითხველი ყოველთვის მიკერძოებულია. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ თუ მას ავტორის ერთი ნაწარმოები მოეწონა, დანარჩენებსაც ამ შთაბეჭდილების ზეგავლენით კითხულობს და ობიექტური შეფასების უნარს კარგავს. მეორეც, სულ სხვაა აკადემიური კრიტიკა. ადამიანი, რომელიც ავტორს ცივი გონებით და არა ემოციებით დატვირთული, თანაც პროფესიულ დონეზე სწავლობს, უფრო ობიექტურია, ვიდრე სხვა. ამას სულ სხვა ნიბლი და ინტერესი აქვს. მე მომისმენია ასეთი კრიტიკა ჩემი მისამართით და უსაზღვროდ კმაყოფილიც დაგრჩენილვარ, რადგან ამით უფრო ნათლად დამინახავს ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ ვისგან მოდიოდა ეს კრიტიკა, ამას საიდუმლოდ შევინახავ.

გიორგი კილაძე: ფირუზ, ლიტერატურა, მათ შორის ბუნებრივია პოეზია, მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი). ეთანხმებით? რატომ?

ფირუზ ბოლქვაძე: მწერალი მკითხველზე მონადირეა და გამონაკლისი არც მე ვარ. იყო პერიოდი, როცა ლექსებს მსოფლიო იმიტომ ვწერდი, რომ ჩემი გულის ჭია გამეხარებინა ან ღრმა დებრესიდიდან გამოვსულიყავი, მაგრამ ახლა ვსვდები, რომ სიტუაცია შეიცვალა. ახლა, როცა ლექსს ვწერ, პარალელურად იმაზეც ვფიქრობ, თუ როგორ აღიქვამს მკითხველი ჩემს მიერ დაწერილ ამა თუ იმ ფრაზას და რას ამოიკითხავს მის მიღმა. ეს ქვეცნობიერი სურვილია იმისა, რომ ნაწარმოები ჩემს გარდა სხვამაც წაიკითხოს, შეაფასოს და მასში ჩემი რეალური სათქმელი დაინახოს. ადრე კრიტიკაზე მტკივნეულად ვრეაგირებდი, მაგრამ ახლა ვსვდები, რომ ეს ჩემთვის სტიმულია. თუ ვინმე მეუბნება, რომ ჩემი რომელიმე ლექსი არ ვარგა, ეს ჩემს ცნობიერებაში ინახება, როგორც მუშა შთაბეჭდილება და ვგრძნობ, რომ ყოველი ახალი ნაწარმოების შექმნისას წერის მანერას ვიცვლი. რაც შეეხება ჩემს მკითხველებს, ისინი ძირითადად „კლიმი“-ს მკითხ-

ველები არიან, რადგან ბოლო წლებია, ჩემი ლექსები სხვაგან არსად გამო-
მიქვეყნებია. მათ ნაწილს შევსვედრიფარ კიდეც, მაგრამ ისეთ ვითარებაში
არა, ჩემს შემოქმედებაზე რომ გვესაუბრა. ვერ ვიტყვი, რომ განმეორებით
ამის სურვილი არ მაქვს, მით უმეტეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ასე რომ,
ამ თემაზე საუბარი შეგვიძლია ინტერვიუს მიღმა გაგვარძელოთ.

გიორგი კილაძე: საგამომცემლო საქმეზეც ვისაუბროთ... რა მდგომარ-
ეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურულ-
ლი ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

ფიროუზ ბოლქვაძე: ვერ ვიტყვი, რომ დახლები ლიტერატურული
გამოცემებით დახუნძლულია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ
მხრივ ბაზარზე სიმწირეა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ჟურნალ-გაზეთებს
ახალი კონკურენტი — ელექტრონული მედია გამოუჩნდა. ჩემი აზრით,
ლიტერატურული ცხოვრების ვირტუალურ სივრცეში გადატანამ პრო-
ცესები დაახჩარა კიდეც. ახლა რომელიმე ავტორის გასაცნობად ჟურნალ-
გაზეთების ქექვა და წიგნების დახლებზე ძებნა არ გჭირდება, რადგან შეგ-
იძლია შესვიდე ინტერნეტში, მოძებნო იგი და იქვე შეუფასო კიდეც ნაშ-
რომები. ამ მხრივ უკეთესი სიტუაციაა წიგნების გამოცემის თვალსაზრისი-
თაც, თუმცა ჩემს განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოქვეყნებული
მასალების შინაარსი იწვევს. ხშირად გამომცემლები აქცენტს უნარისხო,
მაგრამ რეზონანსულ (სკანდალურ) ნაწარმოებებზე აკეთებენ, რადგან ეს
ყველაფერი მოგებაზეა გათვლილი. მე კი ვთვლი, რომ შემოქმედება მს-
ვერპლს მოითხოვს და ეს ასე, არაფრის გულისთვის არ უნდა ხდებოდეს.
რაც შეეხება ავტორების მიერ წიგნების გამოცემას, ვფიქრობ, რომ ეს რთუ-
ლია, რადგან კარგი წიგნის გამოცემას და გავრცელებას სოლიდური თანხ-
ები სჭირდება, ეს კი ცალკეული პირების შესაძლებლობებს აღემატება.

გიორგი კილაძე: ფიროუზ, ლიტ. კონკურსების თემასაც შევეხეთ. რა
მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტ-
ურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის
ჟიურის წევრობას თუ ისურვებდით? რატომ?

ფიროუზ ბოლქვაძე: ვფიქრობ, რომ ლიტერატურული კონკურსები შემო-
ქმედი ადამიანებისთვის დამატებითი სტიმულია. საჭიროა რომ ადარაფერი
ვთქვათ, მათი ჩატარება აუცილებელიც არის. სხვა საკითხია ობიექტურ-
ობა. ეს კონკურსების ორგანიზატორების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.
თუ მათ სურთ ობიექტური კონკურსის ჩატარება, ჩაატარებენ კიდეც, თუ
არადა — არა. პირადად მე ლიტერატურულ კონკურსებში თითქმის არ
ვმონაწილეობ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამის სურვილი არ მაქვს. მეტიც,
ერთ-ერთი ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორი თავადაც გან-

ლდით სტუდენტობის დროს, ოღონდ მწირი დაფინანსების გამო არც ისე მასშტაბური გამოძიება. ახლაც ვგეგმავ „კლიმი“-ს სახელით კიდევ ერთი კონკურსი ჩავატარო, თუმცა ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებ, რადგან საჭირო თანხები ვერ მოვიძიე. რაც შეეხება ჟიურის წევრობას, ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდება, რადგან ჩემი თავი ლიტერატურული ნაწარმოებების შემფასებლის როლში ვერ წარმომიდგენია.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ ვიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ფიროზ ბოლქვაძე: ნაწარმოებების სხვადასხვა ენებზე თარგმნა ნებისმიერი ავტორისთვის დიდი მიღწევაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს შემოქმედლი ადგილს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა ერების ცნობიერებაშიც იმკვიდრებს და შესაბამისად პასუხისმგებლობაც უორმაგდება. ამ მხრივ ყველაზე მომგებიან სიტუაციაში პროზაიკოსები არიან, ვინაიდან ლექსების თარგმნა უფრო რთულია, ვიდრე მოთხრობებისა. ნურავინ მიწყენს, მაგრამ მოთხრობაში შეიძლება ერთი და იგივე სათქმელი სხვადასხვა სიტყვებით რამდენჯერმე თქვა, მაგრამ ლექსში შეზღუდული ხარ. აქ ყველა მარცვალს მნიშვნელობა აქვს და თუ გინდა კარგი თარგმანი გამოვივიდეს, კუბლეტების წყობაც კი არ უნდა დაარღვიო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, მაგრამ პროფესიონალიზმიც ამას ჰქვია. თანამედროვე თარგმანების მცირე ნაწილს ვიცნობ და მომწონს. ვსაუბრობ როგორც ქართულიდან სხვა ენებზე, ასევე უცხო ენიდან ქართულად ნათარგმნ ნაწარმოებებზეც. რაც შეეხება ჩემი ლექსების თარგმნას, ეს ალბათ იმ ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ, ვინც ამ საქმით არიან დაკავებული და თუ რომელიმე მათგანი ჩათვლის, რომ ჩემი უცხოელი მკითხველების წინაშე წარდგენა ღირს, მე ამას მხოლოდ მივესალმები.

გიორგი კილაძე: რას ეკითხებით ყველაზე სშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ფიროზ ბოლქვაძე: ყველაზე სშირად საკუთარ თავს ვეკითხები: „ფიროზ, რამდენი დაგარჩა მიზნის მიღწევამდე?“ – და ვერასდროს ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ ვცემ (ალბათ, ბუნებრივიც არის). რაც შეეხება მეორე კითხვას, ყოველთვის ზუსტად ვიცი, სად ვარ და რას ვაკეთებ – სივრცეშიც და დროშიც.

გიორგი კილაპე: „მოლი ბლუმი“, საინტერესო ფსევდონიმია... მიზეზთა გამო ჩავთვალთ, დღეს 16 ივნისია... კითხვა პირველი: „მოლი ბლუმის“ ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მოლი ბლუმი: ჩავთვალთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. პატარა, ზღვისპირა ქალაქში დავბადე, რომელიც დღემდე ძალიან მიყვარს... ასლა თბილისში ვცნოვრობ, პროფესიით იურისტი გახლავართ, ლიტერატურული ამბლუის მიხედვით კი – მკითხველი.

გიორგი კილაპე: „მოლი ბლუმის ჰედონისტური მანიფესტი“ სატირაა თუ იუმორი?

მოლი ბლუმი: ყფიქრობ, არც ერთი. მინდოდა, მკითხველისთვის მინიმალური ინფორმაცია მიმეწოდებინა ჩემს შესახებ და ეს ფორმა ავირჩიე. ფერადი და სიმბათიური ჩამონათვალი გამოვიდა. ამბობენ, ადამიანს ის უფრო მკვეთრად ახასიათებს, რაც არ უყვარსო, მაგრამ „სავიზიტო ბარათში“ ნეგატიურ ფერადობას მოვერიდე.

გიორგი კილაპე: ბლოგერი ხართ, ვიცი. რა არის თქვენთვის „ბლოგერობა“? საერთოდ, რატომ ხდებიან „ბლოგერები“?

მოლი ბლუმი: ბლოგი ყველასთვის პირველ რიგში "express yourself" ოფციაა, ჩემთვის კი ამასთან ერთად ერთგვარი გამოწვევაა იყო. არასოდეს არაფერი დამიწერია. კაცმა რომ თქვას, არც ახლა ვწერ – ეს ყველაფერი ხმამაღლა ფიქრს, ბლოგის სტუმრებისთვის აზრების გაზიარებას უფრო ჰგავს... მკითხველთან ურთიერთობას ნაბიჯ-ნაბიჯ ვსწავლობ და ეს პროცესი ჯერჯერობით მოსაწყენად არ მეჩვენება. პირიქით, სულ უფრო და უფრო მითრევს. ბლოგინგს რაც შეეხება, ბუნებრივია, ვწერ იმას, რაც პირველ რიგში თავად მაინტერესებს. თან ვცდილობ, სათქმელი მკითხველთან სწორად მივიტანო. უმეტეს შემთხვევაში ასეც ხდება.

გიორგი კილაპე: „დავით ჩინლაპე: არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ნარცისიზმი გარკვეულწილად არ ახასიათებს. ზოგჯერ მეც ძალიან კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით და ზოგჯერ პირიქით, მისი ატანა არ მაქვს (ძალიან აბეზარი ვინმეა და ბოლოს თავს მაცემინებს). ჩვენ ყველას გვიყვარს საკუთარი თავი და მე ისიც მიყვარს, როცა ამას ვაცნობიერებ“. – თქვენი კომენტარი... თქვენ თუ განასიათებთ? ბლოგზე წერა... ნანდახან მსოლოდ ამოთქმას სომ არ გულისხმობს?

მოლი ბლუმი: საკუთარი თავით კმაყოფილება გარკვეული დოზით, ბუნებრივად არის და აუცილებელიც, მაგრამ ზღვარგადასული არაფერი ვარგა — ზედმეტი თვითკრიტიკულობა ყოველთვის ან პოზა მგონია, ან არასრულფასოვნების კომპლექსი. ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი არ უყვარს, ვერავის და ვერაფერს შეიყვარებს. ნარცისიზმი მეორე უკიდურესობაა — საღად განსჯის უნარს გვიკარგავს, ყოველგვარ გონივრულ ფარგლებს უარყოფს და აბსოლუტურ თვითტკობაში გადადის. ვეჭვობ, ეს ვინმესთვის სიკეთის მომტანი იყოს.

გიორგი კილაძე: თქვენი „ბლოგერი“ კოლეგა თამარა თვლის, რომ „თანამედროვე სამყაროში ზოგიერთმა მწერალმა თვითონ მოიხსნა საზოგადოების ზნეობის მესაჭის ფუნქცია. მწერალს არც არასდროს ევალებოდა საზოგადოების აღზრდა, მაგრამ უმეტესწილად მწერალი საზოგადო მოღვაწის როლს თუ არ ითავსებდა, აზროვნებაში ანალი მიმართულების შეტანას მაინც ისახავდა მიზნად, და თუკი მისი მიმართულება დროის მოთხოვნებს პასუხობდა, სწორედ იგი ხდებოდა საზოგადოებაში განსორციელებული ცვლილებების ფუძემდებელი, მამამთავარი და მესაჭე“ — ეთანხმებით? თუ ეთანხმებით ისიც მითხარით, რატომ მოიხსნა „საზოგადოების ზნეობის მესაჭის ფუნქცია“ ზოგიერთმა მწერალმა? ამაზე თუ გიფიქრიათ?

მოლი ბლუმი: თამარა, როგორც ყოველთვის, დამაჯერებელია, თუმცა იმასაც ვფიქრობ, რომ სულაც არ არის აუცილებელი, მწერალი იმთავითვე საზოგადოების ზნეობის სადარაჯოზე ყოფნას ისახავდეს მიზნად. ნუ დაგაკისრებთ მწერლებს ზედმეტ ფუნქციას და ნუ დაგივიწყებთ, რომ ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან. ბოლოს და ბოლოს, ბევრი დიდი მწერალი სულაც არ ყოფილა იდეალური ადამიანი, მაგრამ ამას მათი სიდიადისთვის ხელი არ შეუშლია... მწერალმა უნდა წეროს ის, რაც აწუხებს (ან ახარებს) და ისე, როგორც ეწერება. სიტყვას უდიდესი ძალა აქვს და ბუნებრივია, ნიჭიერი მწერალი მკითხველზეც ახდენს გავლენას. კარგია, თუ წიგნი მკითხველს ჩააფიქრებს, პრობლემას დააჩანსებს, მაგრამ ერისკაცობა თვითმიზანი არ უნდა გახდეს.

გიორგი კილაძე: პოეზიაზე ნაკლებად წერთ, თუ არ ვცდები. იცნობთ? ვიყვართ? როგორ ფიქრობთ, დღეს პოეტები ერთმანეთისთვის წერენ, თუ მკითხველებისთვის? გემოვნებიანი მკითხველის თქვენეული განმარტება...

მოლი ბლუმი: პოეზია მიყვარდა და ანლაც გკითხულობ ქართულსაც, რუსულსაც. თარგმანიც მომწონს, განსაკუთრებით სპარსული რობაბები და აბაონური ჰაიკუ. მუსიკასავით მსუბუქია, მინიმალური ინფორმაცია,

მსოფლიოდ განწყობას ვიქმნის. თუმცა, მაინც პროზას ვამჯობინებ. თანამედროვე პოეტებსაც ვიცნობ — ეკა ქვეპანიშვილს, დიანა ანფიმიადის, სვიარას... არა მგონია, მათ ლექსებს მკითხველი, შემფასებელი და დამფასებელი აკლდეს.

გიორგი კილაძე: „ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოხვდება,“ — ბატონმა ვია არგანაშვილმა ბრძანა ჩემთან საუბრისას. თქვენ რას ფიქრობთ?

მოლი ბლუმი: უგუნურობა იქნება, ამ საკითხზე შეეკამათო ადამიანს, რომელმაც სიტყვასთან მუშაობის საიდუმლო ამქვეყნად ყველა მკითხველზე უკეთ იცის. რა თქმა უნდა, ვეთანხმები. კარგ იდეას, ორიგინალურ სიუჟეტურ მიგნებას არცთუ იშვიათად სწორედ რომ არასაკმარისი დამუშავების გამო ვერ მიუღწევია მკითხველამდე და სადღაც გაბნეულა კვამლივით.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე? თქვენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ? დარწმუნებული ვარ, ბევრს კითხულობთ. პლაგიატზე მეტი სასაუბროა თუ გავლენაზე?

მოლი ბლუმი: თანამედროვე ქართული პროზა, პირველ რიგში, აქტუალობის გამო მომწონს. დღევანდელ დღეზე წერენ, ჩვენს რეალობაზე და პრობლემებზე და არ აქვს მნიშვნელობა, როდის ცნოვრობდნენ მათი გმირები — ოცი წლის წინ თუ ორი საუკუნით ადრე... ინტერესით აკას, დათო ტურაშვილის, ბესო სვედელიძის, ზაზა ბურჭულაძის, ლაშა ბუღაძის წიგნებს ველოდები. ჟურნალებში ანა კორძაია-სამადაშვილის, სანდრო ნავერიანისა და გოგი გვახარიას ესსეებს ვეძებ. ფავორიტი მთარგმნელებიც მყავს... სიმართლე ვითხრათ, თანამედროვე პროზაში პლაგიატი ჯერ არ შემსვენდრია. გავლენა სხვა თემაა... დღეს თითქმის ნებისმიერი უცხოელი მწერლის შემოქმედებაა ხელმისაწვდომი. ბუნებრივია, მნატვრული სიტყვის აღიარებული გრანდებისა და თანამედროვე მოდერნი თუ პოსტ-მოდერნი ავტორების გავლენა ქართულ პროზაშიც იგრძნობა და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

გიორგი კილაძე: ეკო და აკუნინი... „ბლოგზე“ საინტერესო წერილი გამოაქვეყნეთ... თემასაც დაუბრუნდით და წერილსაც... ბიბლიოთეკარი ვარ, სომ იცით? „ეკო და აკუნინი“. წინა კითხვის გაგრძელებად ჩათვალეთ... ირიბად.

მოლი ბლუმი: არა, პლაგიატი უხეში და პრიმიტიული კალკირებაა. ალტინ-ტოლობასში კი დახვეწილი ალუზიაა ეკოს შედეგზე. აკუნინს ლიტერატურული ექსპერიმენტები უყვარს. თუ გახსოვთ, ჩენსოვის „თოლიას“ იმ მომენტიდან აგრძელებს, სადაც კლასიკოსმა წერტილი დასვა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წიგნი, დეტექტიური მოთხრობების კრებული „ნეფრტის კრიალოსანი“ თავიდან ბოლომდე უანრის დიდოსტატებისადრე მიძღვნილი და... კრიალოსნის თითოეული მოთხრობა სახელგანთქმული ანალოგის ალუზიას წარმოადგენს. ერთგან ფანდორინისა და შერლოკ ჰოლმის დუეტსაც კი ვხვდებით... ამას პლაგიატს ვერ დავარქმევ, უფრო ლიტერატურული პერფორმანსია — ლალი, თავისთავადი და საინტერესო...

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანისთვის წარსული ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ბუნებრივია, საქმე შემოქმედებით წარსულს ეხება. ეთანხმებით? თუ კი, რატომ?

მოლი ბლუმი: ბატონი ბაჩო ალბათ იმას გულისხმობდა, რომ მწერალი ახალ ნაწარმოებს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, სუფთა ფურცლიდან იწყებს. სულ ერთია, რა სვდა წილად წინა ტექსტს — ტრიუმი თუ ფიასკო — ახალი ნაწარმოები ახალი გამოწვევაა. ამ შექმნის ვეგაში, მეც იგივე აზრის ვარ.

გიორგი კილაძე: „სხვა რომ არაფერი, ენა ინახავს წარსულს, მწერალიც სწორედ ენიდან, ე.ი. წარსულიდან ამოიზრდება და რამდენადაც დიდი აქვს სიტყვის ძირ-ფესვებში წვდომის უნარი, როგორც რობაქიძე იტყვობა, იმდენად ძლიერად აესხმება ფრთები ასაფრენად, იმდენად თავის-უფალი იქნება“, — ბრძანა ქალბატონმა მათა ჯალიაშვილმა. თქვენი კომენტარი...

მოლი ბლუმი: ცხადია, ენა მწერლის მთავარი იარაღია და მას სრულყოფილად უნდა ფლობდეს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი დასანანი კარგ და საინტერესო წიგნში ორთოგრაფიული შეცდომებისა და სტილისტური ლაფსუსების აღმოჩენა ან იმის შეგრძნება, რომ ავტორი სათქმელის გადმოსაცემად საჭირო სიტყვებს ვერ პოულობს, რადგან ენა (კალამი) არ ემორჩილება, არ მოჰყვება. ამასთან, არ მგონია, რომ ენა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული და თანამედროვე მწერალი წინა საუკუნის ლექსიკით მეტყველებდეს. ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება და ახალი ძალით იცვლება. ჩემთვის თამაში ექსპერიმენტებზეც მისაღებია, სლენგიც და ასე განსაჯეთ, ნატურალიზმიც,

თუ ის კონკრეტულ სიტუაციას, კონკრეტულ ვითარებას უხდება, ნაძალადევი და ყალბი არ არის.

გიორგი კილაძე: „კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვებაში სიმძაფრე შეემაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ამ კითხვაზე დავით ჩინლაძის საინტერესო პასუხსაც „მოგასმენინებთ“ და შემდეგ კომენტარს ვთხოვთ: „სიმართლე ვითნრათ, კრიტიკოსები არ მაინტერესებს. ძირითადად, ისინი სულ ყოვლისმცოდნეების იმიჯის მორგებას ცდილობენ და ასეთი ხალხი არ მომწონს. ლიტერატურულ ცნოვებაში კი სიმძაფრე ახალ და კარგ ავტორებს შეემაქვთ, ახალი და „საკაიფო“ წიგნებით“.

მოლი ბლუმი: დავით ჩინლაძის პოზიცია ძნელად გასაგები არ არის. წარმომიდგენია, რას გრძნობს მწერალი, როდესაც სავარძელში კომფორტულად მოკალათებული, სხვადასხვა ცნობართა თუ ლექსიკონით შეიარაღებული მაგანი კრიტიკოსი მშვიდად და აუღელვებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევს უძილო ღამეების, ნერვული სტრესისა და არაადამიანური დაძაბულობის ხარჯზე დაწერილ ნაწარმოებს და ყოველი საექვო პასაჟის აღმოჩენისას კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტს. რა თქმა უნდა, ეს უტრირებაა, მაგრამ რეალობა – არცთუ განსხვავებული... სახელოვნებო კრიტიკა მსოფლიოში ფრიად დაფასებული პროფესიაა, თუმცა მწერალსა და კრიტიკოსს შორის, რბილად რომ ვთქვათ, დამაბული ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. თქვენს მიერ მოხმობილ ციტატას ასე ვუპასუვნებდი: ლიტერატურულ ცნოვებას ახალი და კარგი ავტორები ალაპაზებენ, კრიტიკოსი კი (პროფესიონალი და არა დილექტანტი) გონივრული ზღვარიან ზემოთ ნახსენებ თვითკრიტიკულობასა და ნარცისიზმს შორის.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და სავამოცემლო საქმე... თქვენს აზრით, რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ ვიფიქრიათ?

მოლი ბლუმი: კითხვის პათოსი გასაგებია. ადრე, ლიტერატურული ჟურნალი ახალგაზრდა, პერსპექტიული და საინტერესო ავტორებისთვის ერთგვარ ტრამპლინს წარმოადგენდა. ასეთი ასპარეზი ახალგაზრდებს დღესაც აქვთ. საქართველო ლიტერატურული მიმართულების ჟურნალ-გაზეთების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. „ჩვენს მწერლობა“, „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურული დამატება, „ლიტერატურული პალიტრა“, „ცისკარი“... სპეციალიზებული გამოცემების გარდა, პერი-

ოდელი პრესის ფურცლებზეც შესაძლებელია სტარტის აღება. პარალელურად, ინტერნეტი ვირტუალური მკითხველის ამოუწურავი რესურსით გვაპარაგებს. წესით, საინტერესო ავტორს მკითხველის მოძიება არ უნდა გაუჭირდეს.

წიგნის მაღაზიების თაროებზე ლიტერატურის ნაკლებობა ნამდვილად არ შეიძინევა. ძნელია იმის თქმა, რომ ავტორს წიგნის გამოცემა უჭირს.

ლიტერატურული ჟურნალის გამოცემაზე ჯერ არ დაფიქრებულვარ... თუმცა, არასოდეს თქვა „არასოდეს“ – იქნებ ოდესმე საგამომცემლო საქმიანობითაც დავინტერესდე...

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

შოლი ბლუმი: ყველა დროისა და ეპოქის ბიბლიოფილი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს. ოღონდ, წიგნების თანამედროვე მოყვარული ბევრად პრაგმატული მგონია. ვასიკო კეჟერაძე გამოუსწორებელი იდეალისტი იყო, ქინდლი რომ დაენახა გინმეს ხელში, ალბათ გული გაუსკდებოდა :)

„კარცერლუქსი“, ვფიქრობ, ბატონ გურამს ეფექტის გაძლიერებისა და სათქმელის აქცენტირებისთვის დასჭირდა. ძნელი წარმოსადგენია, კითხვის (ან სხვა რამის) იძულებით შეყვარება. სხვა საქმეა პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ეფექტური სრიკების გამოყენება. რაც მეტი იქნება კითხვის მოყვარული ადამიანი, მით უფრო დიდ დისკომფორტს იგრძნობენ მათ წრეში მოხვედრილი უწიგნურები... მე ესეც ერთგვარი „კარცერლუქსი“ მგონია.

გიორგი კილაძე: თარგმანზე არ გვისაუბრია... როგორ ფიქრობთ, დღეს ბევრს თარგმნიან? ხარისხიანი თარგმანი სჭარბობს? თქვენ ვის თარგმნიდით? რატომ? ახლა რას და რატომ კითხულობთ? ბოლოს რომელი ქართველი მწერალი წაიკითხეთ?

შოლი ბლუმი: ქართულ თარგმანს თვალყურს განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებ. კარგად მახსოვს ის დრო, ხარისხიანად გადმოქართულებული წიგნი ძნელად რომ მოიძებნებოდა და ფონს რუსული თარგმანით გავდიოდით. ახლა ბევრს თარგმნიან საბავშვო ლიტერატურასაც, თანამედროვე პროზასაც და კლასიკასაც. რაც ყველაზე მნიშ-

ვნელოვანია, წარისხი ვაუმჯობესდა. ერთი იმიტომ, რომ ამ საქმეს ქართული ენის კარგად მცოდნე ადამიანებმა მოჰკიდეს წელი, მეორეც — მთარგმნელების გვარ-სახელებს უკვე ყურადღებას აქცევს საზოგადოება. ადრე ეს ტენდენცია ნაკლებად შესამჩნევია იყო. დღეს ირმა ტაველიძის, ქეთი ქანთარია და ლია ჩლაიძის თარგმანს რომ შევვადო, უკვე იცი, ღირებულები საკითხავი გიჭირავს წელში. სულ ორიოდე კვირის წინ ფასდაუდებელი საჩუქარი მივიღეთ — უმბერტო ეკოს ქართული ვარდის სახელი. მადლობა დიოგენეს და ხათუნა ცხადაძეს... პირველი თავები გადავათავალიერე და გადმოქართულებული ეკოს ჰარმონიულობამ მომნიბლა. დღეიდან ხათუნას სხვა თარგმანსაც ინტერესით დაველოდები... სათარგმნი იმდენია, ერთის და განსაკუთრებულის გამოყოფა გამიჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა, ორიგინალში ან რუსულ ენაზე წელმისაწვდომია თუ არა — ქართულს სხვა ეშნი აქვს. რეი ბრედბერის „მარსის ქრონიკების“ და უმბერტო ეკოს „ფუკოს ქანქარას“ თარგმანს ვისურვებდი. ფიქრობ, ქართველი მკითხველი იმსახურებს ასეთ გემრიელ და ინტელექტუალურ ლიტერატურულ სასუსნავს. ქართველ მწერლებს რაც შეეება, ბოლოს ანა კორძია-სამადაშვილის „შუშანიკის შვილები“ წავიკითხე. სხვათა შორის, კორნელია ფუნკეს „ქურდების მბრძანებელი“ სწორედ მან თარგმნა და თანაც ისე, რომ ერთ დღეში ჩავამთავრე. არც გამკვირვებია — ქალბატონი ანა კალამსაც და ქართულ ენასაც ვირტუოზულად ფლობს.

გიორგი კილაძე: მნატვრული ნაწარმოების წერას როდის დაიწყებთ? დაწყებული სომ არ გაქვთ უკვე?

მთლი ბლუმი: არა, ასეთი თავსედიც არ ვარ. „ბლოგი“ ჩემს გრაფომანულ მისწრაფებებს საგსებით აკმაყოფილებს. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ უფლება მაქვს, საკუთარ თავს „მკითხველი“ ვუწოდო.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი წუსტად იცით?

მთლი ბლუმი: ისეთს არაფერს, თქვენი მკითხველისთვის საინტერესო რომ იყოს. წუსტი პასუხი ყველაზე ვერა, მაგრამ ბევრ ჩემთვის მნიშვნელოვან კითხვაზე მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ანლა ასე მგონია.

გიორგი კილაძე: ხათუნა, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ხათუნა ნონიაშვილი: ბედნიერი ბავშვობის დასრულების შემდეგ, ანუ 2003 წლის სექტემბრიდან სწავლა დავიწყე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფაკულტეტი – ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგია, სპეციალობა – სარედაქციო-საგამომცემლო საქმე. ეს სპეციალობა ავირჩიე იმიტომ, რომ წიგნებთან უფრო ახლოს ვყოფილიყავი და მათ გამოცემაშიც მიმელო მონაწილეობა.

2007 წელს დავამთავრე თსუ. ერთი წელი სსკადსსგ რედაქციაში ვმუშაობდი, ხან ჟურნალისტად, ხან რედაქტორად. 2008 წელს ჩავაბარე GIPA-ში სამაგისტრო პროგრამაზე – მედიისა და კომუნიკაციის მენეჯმენტი. GIPA 2010 წელს დავამთავრე.

2010 წლიდან ვმუშაობ „ელფის გამოცემლობაში“ რედაქტორად. ჩემი ჰობია დოკუმენტური ფოტოვიდეო სიუჟეტების მომზადება. მეგობართან ერთად გადავიღე დოკუმენტური ფილმი გამომგონებელ ბავშვებზე. გადაღებების დროს ბევრ ნიჭიერ ბავშვს შევხვდი, ამიტომ არ მიყვარს, როცა ამბობენ, ახალგაზრდა თაობა გაუნათლებელიაო.

კიდევ, ძალიან მიყვარს კითხვა, სწავნიარად არც შეიძლება, მაშინ სსკ სფეროში ვიმუშავებდი... ჯერჯერობით სულ ეს ვარ.

გიორგი კილაძე: „მხატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკრება და მიზანსაც ზუსტად მოხვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა გაია არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მხატვრული ტექსტი?

ხათუნა ნონიაშვილი: ძალიან კარგად შეუფასებია ბატონ გაიას. ჩემთვის მხატვრული ტექსტი არის ის, რაც „მტკიცედ არის შეკრული“ – ანუ კონკრეტული ერთი რაღაცის გარშემო ტრიალებს აზრი. საკითხი გადმოცემულია ნათლად, გასაგებად, შეიძლება ითქვას, ბუნებრივად არის შელაპაჯებული ხასიათი, ემოცია, სიტუაცია და ა.შ. ტექსტი თავისით წამოსული უნდა იყოს და არა სელოფნურად შეკოწიწებული.

გიორგი კილაძე: თანამედროვე ქართული პროზის თქვენეული შეფასება.

ხათუნა ნონიაშვილი: ძალიან ზოგადი შეფასებაა, თუ ვიტყვი, რომ მომწონს თანამედროვე პროზა, თუმცა ასეა. განსაკუთრებით ის, რომ ჩემი აზრით, თითქოს შეიმჩნევა ავტორის ხმა, რომელიც საკუთარ განცდათა შესახებ მოგვითხრობს.

გიორგი კილაძე: თქვენი აზრით, რატომ უნდა დამაინტერესოს მე, ჩვეულებრივი მკითხველი?!

ნათუნა ნონიაშვილი: ალბათ იმიტომ, რომ ყოველ შემთხვევაში მე სწორად ასე ვიქცევი, ვცდილობ ნოლზე ის განცდები საკუთარ თავზე მოვირიგო, თუნდაც ჩავატარო ექსპერიმენტი ჩემს თავზე იმ ავტორის დახმარებით, – რა თქმა უნდა, თუ ეს განცდები ისეა გადმოცემული, რომ მათი გათავისება არ გამიჭირდეს, თუმცა სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც საკუთარი განცდები გადმოსცეს, უბრალოდ აღწეროს რამე. მაგალითად, როცა ლეკლეზიოს „უდაბნოს“ კკითხულობდი, თავი მართლაც უდაბნოში მეგონა.

გიორგი კილაძე: მაგრამ ლეკლეზიო არ იცავით...

ნათუნა ნონიაშვილი: ეგ კი, მე „მე“ ვიყავი, რომელიც ლეკლეზიოს აღწერილ უდაბნოში დაგსეირნობდი და ამით ძალიან ვისიამოვნე... მე ლეკლეზიოს უდაბნო ვნახე, რომელიც მომეწონა, რა ვიცი...

გიორგი კილაძე: რომელი ქართველი მწერალი წაიკითხეთ ბოლოს? დაუჯერეთ?

ნათუნა ნონიაშვილი: ნინო სადღობელაშვილის „ორსული“.

იცით, ამ შემთხვევაში ვერ მოვირგე ჩემს თავზე, თუმცა ნაწარმოები მომეწონა და ნინოს პირადად მივწერე... მაინც რაღაცნაირად ვისიამოვნე მისი წაკითხვით.

გიორგი კილაძე: რა ვერ მოირგეთ? ნახეთ „ვინ“ არ გეკითხებით...

ნათუნა ნონიაშვილი: არ ვიცი, ალბათ, ხასიათი, მკონი ოდნავ „ზედ-მეტად უნდა მეფრინა ცაში, „მარადიული ჩიტივით“, რაც არ გამომდის.

გიორგი კილაძე: დაიჯერეთ იმგვარი სიყვარულის?

ნათუნა ნონიაშვილი: ცალსახად პახუნის ვაცემა – კი, ან არა – ცოტა რთულია. ალბათ სადღაც შეიძლება იყოს, თუმცა ჩემს თავზე ვერ წარმომიდგენია.

გიორგი კილაძე: „ელფის გამომცემლობა“, როგორც ვიცი, უმეტესად საბავშვო წიგნებს ბეჭდავს. ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ თქვენი აზრი.

ნათუნა ნონიაშვილი: კი, „ელფის გამომცემლობის“ ერთ-ერთი პრიორიტეტი საბავშვო ლიტერატურაა. ვფიქრობ, ქართული საბავშვო ლიტერატურა ძალიან მდიდარია, იმიტომ რომ არაჩვეულებრივი საბავშვო მწერლები გვყავს – ქეთევან ჭილაშვილი, ნინო ბეზარაშვილი, დოდო სიმშიაშვილი და სსკა ბეგრი, ასევე აწ გარდაცვლილი მერი ბოლქვაძე. მათი

ნაწარმოებები ერთ წიგნად, ერთად თავმოყრილი გამოსცა „ელფის გამოცემლობამ“, რითაც, ვფიქრობ, ძალიან დიდი საქმე გაკეთდა, რადგან ქართველ პატარასთან ქართველ მწერალზე კარგად სათქმელს ვერაფერს მიიტანს.

მინდა აღვნიშნო, რომ უხუცესი კლასიკოსების გარდა ქართულ საბავშვო ლიტერატურას ახალგაზრდა ავტორებიც ამდიდრებენ. მავალითად, ახალგაზრდა ავტორმა გვანცა ჯობაჯამ პატარა ემიგრანტებს არაჩვეულებრივი შექმენებითი ზღაპარი მიუძღვნა — „მ ბავშვი — 5 თბილისი“ — პატარები ამ ზღაპრით სსკადასსკა საუკუნის თბილისში იმოგზაურებენ და ჩვენს ქალაქის ისტორიას გაეცნობიან.

გიორგი კილაძე: გვანცას წიგნის შესახებ გავიგე და იდეა მომეწონა. სამწუხაროდ, წიგნი ჯერ არ მინახავს.

სათუნა ნონიაშვილი: ძალიან საინტერესოა. სსკათა შორის, ქალბატონმა ქეთევან ჭილაშვილმა გვანცას წერილი გაუგზავნა და საბავშვო ლიტერატურაში გზა დაულოცა.

გიორგი კილაძე: დღევანდელ თბილისში გვახოვზაურეთ...

სათუნა ნონიაშვილი: იცით, ერთხელ ჩემი ფოტოაპარატით ვიმოგზაურე დღევანდელ თბილისში, ყველაფერი გადავიღე. და როცა ფოტოსიუჟეტი ავაწყვე, ძალიან ბევრს არ მოეწონა... იცით, რატომ? იმიტომ რომ მე არ ვადამილია არც ნარიყალას და მეტეხის ლამაზი სედეები, არც ლამის განათებული თბილისი სასტუმრო „მარიოტის“ ფონზე... მე გადავიღე ფერად-ფერადი ფსახადების მიღმა ჩამონგრეული შენობები, ქუჩაში წიგნებით მოვაჭრე პროფესორები, მოწყალეების სათხოვნელად რუსთაველის გამზირზე გამოსული ადამიანები, უპანდუსო შენობები, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობების პირები ვერ შედიან და ა.შ. მოკლედ, ჩემთვის ასეთია დღევანდელი თბილისი. მახატოვით, თუ სეკდანარევი პასუხი გამომივიდა.

გიორგი კილაძე: ქართველ მკითხველზე არაფერი გვითქვამთ: თქვენს აზრით, თანამედროვე მკითხველი შორსმხედველია, ახლომხედველი თუ სათვალე საერთოდ არ სჭირდება?

სათუნა ნონიაშვილი: იცით, მე არ მიყვარს, ყველას (ამ შემთხვევაში თანამედროვე მკითხველის) ერთ ქვაბში რომ წარმავენ... ალბათ, ზოგი შორსმხედველია, ზოგი — ახლომხედველი, ზოგს კი სათვალე საერთოდ არ სჭირდება.

გიორგი კილაძე: თანამედროვე ქართულ ლექსზე რას გვეტყვით?

სათუნა ნონიაშვილი: ოოო, მე მომწონს თანამედროვე ქართული ლექსი, როცა მას თავად პოეტი კითხულობს. მე თვითონ რომ ვკითხუ-

ღობ, მაშინ თითქოს ვერ. ბევრისგან მსმენია, მომრავლდნენ ეს პოეტებიო, თან ზედ ირონიას დააყოლებენ. მიკვირს. იმრავლონ, რა არის ამაში ცუდი?... დროთა განმავლობაში ვიღაც დაიპყვიდრებს ადგილს, ვიღაც უბრალოდ დავიწყებებს მიეცემა, როგორც ყოველთვის.

გიორგი კილაძე: ერთადერთი, რაც „ცუდია“, სიტყვა „პოეტია“... მეთანსმებით?

ნათუნა ნონიაშვილი: ჰო, ალბათ, დროთა განმავლობაში სდები პოეტი, თუმცა სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. დრო ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

გიორგი კილაძე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ნათუნა ნონიაშვილი: ...წერს იმას, რაც ეწერება, რომლის ნაწარმოების წაკითხვის შემდეგაც დღეები, კვირები, თვეები მასზე ვფიქრობ; ვფიქრობ იმაზე, რაც სიუჟეტის მიღმა დაგვიტოვა.

გიორგი კილაძე: თავად თუ წერთ?

ნათუნა ნონიაშვილი: მე არა, მხოლოდ სტატიებს, ისიც, ჯერჯერობით, იშვიათად. მკითხველად უფრო გამოვდგები.

გიორგი კილაძე: თქვენი აზრით, წერენ ქართველი ჟურნალისტები ქართულად?

ნათუნა ნონიაშვილი: იცით, საერთოდ არ მიყვარს ზოგადი ლაპარაკი, ამ შემთხვევაშიც ჩემი შეფასება ზოგადი იქნება, იმიტომ რომ ამ კუთხით მე არანაირი კვლევა არ ჩამიტარებია. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი საკითხია და მეც მაინტერესებს რეალური პასუხი, ამისთვის კი საჭიროა კვლევის (ალბათ, უფრო მედიის კონტენტანალიზი) ჩატარება, რასაც, ბუნებრივია, ძალიან დიდი დრო, თვეები დასჭირდება. სამაგიეროდ, ამ თემაზე ვარაუდებით არ ვისაუბრებთ, ფაქტები გვექნება; მანამდე კი ვიტყვი, რომ ზოგი ალბათ საუბრობს და წერს ქართულად, ზოგი – არა.

გუშინ ძალიან სწორად თქვა ბატონმა კობა ჭუმბურიძემ ინგლისელებისა და იტალიელების შესახებ ლიტფორუმ „ებლიტფოზე“... და ჩემს შეკითხვას ამით ძალიან სწორად უპასუხა. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი პრობლემაა ენის „გადაგვარებისა“. არის, რა თქმა უნდა, გაუნათლებლობისა და ა.შ. სხვა პრობლემებიც, რომლებსაც განცალკევება და ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება – ყველაფერი ერთ ქვაბში არ უნდა მოინარშოს.

მოკლედ, ძალიან ბევრი გწერე და კიდევ ბევრის დაწერა შეიძლება, იმიტომ რომ ეს ზოგადი თემაა. ვფიქრობ, კარგი იქნება, როცა მსგავს თემაზე

ვისაუბრებთ, მინიმუმ კვლევა გვქონდეს ჩატარებული, ასე ფაქტებით საუბრის საშუალება გვექნება და რ ავიცილო... ალბათ, უფრო შედეგის მომტიანი იქნება.

გიორგი კილაძე: საინტერესო იქნება, მედიის კონტენტ ანალიზს ვგულისხმობ... შემდეგი თემა „საუბრები ლიტერატურის“ ფორმატში (აშკარად ცუდი ქართულია) „ვეფხისტყაოსანი“ იქნება. რა არის თქვენთვის „ვეფხისტყაოსანი“? რომელ სტროფს გადაწერთ, რატომ და საერთოდ, რას ფიქრობთ ამ პროექტზე?

სათუნა ნონიაშვილი: მე ძალიან მომწონს ეს პროექტი, გადავწერე კიდევ უკვე 76-ე სტროფი და გამოვიგზავნეთ. საერთოდ, გუნდური მუშაობა ძალიან მიყვარს, ხალხთან ურთიერთობა და აზრების გაცვლა-გამოცვლა. ამ დროს ძალიან ბევრს ვსწავლობ. ეს პროექტიც ჩემში გუნდურობის ასოციაციას იწვევს და ამიტომ ძალიან, ძალიან მომწონს „ვეფხისტყაოსანი-ზე“ საუბრები – ესეც ძალიან საინტერესო თემაა. აუცილებლად მოვალ, რაღაც შეკითხვებიც მაქვს უკვე.

გიორგი კილაძე: მე რომ კინოდრამატურგი ვიყო...

სათუნა ნონიაშვილი: ეს არის შეკითხვა, რომელიც ყოველთვის მახსენებს. აი, ანლაც, დიდხანს ვიფიქრე, რას გადავიღებდი. და თითქმის ყველა იმ მოთხრობის, რომანის, პიესის, ზღაპრის გადაღება მომინდა, რომლებიც წაკითხული მაქვს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მე არ ვარ კინოდრამატურგი და არ ვიცი, რომლის გადაღება ღირს. მე სიამოვნებით გადავიღებდი და ვიღებ კიდევ დოკუმენტურ ფილმებს. ამ ფილმების გმირებს კი ნაწარმოებებში არ ვეძებ – რეალურ სამყაროში ვეძებ, ჩემს ჩვენს ვარშემო. ჩემთვის ეს უფრო საინტერესოა.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონს? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

სათუნა ნონიაშვილი: ბევრი ითარგმნება, ვერ ვიტყვი. უფრო მეტი რომ ითარგმნოს, უკეთესი იქნება. ძალიან ბევრი ლიტერატურული შედეგია არაა ქართულად, როგორც საუკუნეების წინ დაწერილი, ასევე თანამედროვე. მაგალითად, სულ ახლახანს გამოსცა „ელფის გამომცემლობამ“ ფრანგი მწერლის, შოლერის დე ლაკლოს „სანთფათო კავშირები“. ეს რომანი ორი საუკუნის წინ დაიწერა, მის მიხედვით რამდენჯერმე გადაიღეს ფილმი. ქართულად კი სულ ახლახანს ითარგმნა, არადა მართლაც საინტერესო ნაწარმოებია, ადამიანებს შორის ურთიერთობებს და ამ ფონზე

განვითარებულ „სახინფათო კავშირებს“ ნათლად გვაჩვენებს. ბევრი არის კიდევ მსგავსი ნაწარმოები, რომლებიც კარგი იქნება, ქართულად რომ ითარგმნოს. მომწონს თუ არა თარგმნის ხარისხი?... იცით, ანლა ბატონი კობა ჭუმბურიძის ნათქვამი გამახსენდა, „ლიტერატურული საუბრების“ ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა: იყო მთარგმნელი, როულიაო, თუნდაც იმიტომ, რომ თუ ნაწარმოები კარგია, ე.ი. ეს მწერლის დამსახურებაა, თუ ცუდი — ე.ი. მთარგმნელისო (დაახლოებით ეს იყო აზრი, როგორც მანსოვს). მეტ-ნაკლებად მომწონს ხარისხი, მთავარია ნაწარმოები ორიგინალიდან იყოს ნათარგმნი. თუმცა ძველი გამოცემები, ძირითადად, როგორც მე ვიცი, რუსული ენიდანაა ნათარგმნი და არა ორიგინალიდან, ამავკ დროს ცენზურის ხელიც ეტყობა. აი, ასეთი თარგმანი ბუნებრივია, არ მომწონს.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრცობთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითარდება?

სათუნა ნონიაშვილი: ვითარდება?... ნაკლებად. სამწუხაროა, მაგრამ ჩემი აზრით, სწორად კრიტიკა უფრო ლანძღვაში გადადის. სწორად საუბრობენ (აკრიტიკებენ) სხვადასხვა პოტენციალზე, მაგრამ შედეგი?... არ არის. იმიტომ რომ კრიტიკას ფაქტები არ ანლაგს, მსოფლიო ზეპირი ირონიანარევი აზრთა ფრქვევაა. არადა ლიტერატურაში ძალიან საჭიროა კრიტიკა — უფრო გამოაცოცხლებს. თუმცა, ბოლო დროს რამდენიმე კრიტიკული სტატია კი წავიკითხე, რაც მეტ-ნაკლებად იყო ფაქტებით გამყარებული, მაგრამ გაცილებით მეტია საჭირო. ეს ზღვაში წვეთია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი რომ ვიყო...

სათუნა ნონიაშვილი: ძალიან კარგი იქნებოდა... პირველ რიგში, ეს ჟურნალი იქნებოდა ყველასგან გამოჩეული, რაღაც ახალი, ახალი თემებით, მრავალფეროვანი საუბრებით საინტერესო რესონანსტებთან (ქართველი, უცხოელი). წინ წამოვწევდი საზოგადოებისთვის მივიწყებულ და უცნობ საკითხებს, იქნებოდა ბევრი დოკუმენტური (ჩემი ყველაზე საყვარელი სიტყვა...) მასალა ლიტერატურის ისტორიიდან და რა ვიცი, კიდევ იმდენ რამეს მოვიფიქრებდი.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

სათუნა ნონიაშვილი: საქართველოსთვის საკმაო რაოდენობის ჟურნალ-გაზეთები გამოდის. მაგრამ ერთია რაოდენობა და მეორე ის, თუ მერე რა, რომ გამოდის. სწორად ეს ჟურნალ-გაზეთები ერთმანეთში მერე-

ვა, იმდენად ერთნაირია. თუშცა ყველა საინტერესოა, რა თქმა უნდა, მე ვერ წარმომიდგენია „უინტერესო“ ლიტერატურული რამე, იქნება ეს ჟურნალი, გაზეთი თუ სხვა რამ. ამიტომ მადლობა ამ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებს, წარმატებასა და მეტ მრავალფეროვნებას ვუსურვებ. უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?.. არ მგონია, დღეს ეს პრობლემა იყოს. ვფიქრობ, გამომცემლობა კარგ პროექტზე უარს არ იტყვის. სხვისი არ ვიცი და „ელფის გამომცემლობის“ კარი ყველა ავტორისთვის ღიაა. ამიტომ ვისაც რამე იდუა აქვს, შეუძლია დაგვიკავშირდეს. სულ ახლანდის დაგიწყეთ წიგნების ახალი სერია — „ჩვენი ცხოვრების სკოლა“ — ამ სერიის პირველი წიგნი გახლავთ თსუ-ის დოქტორანტის, თამთა გრიგოლიას ავტორობით გამოსული — „ასე უყვარდათ უწინ“, რომელშიც თავმოყრილია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი წერილები და პირადი ცხოვრების სხვადასხვა ფაქტი. „ელფის გამომცემლობა“ სიამოვნებით ითანამშრომლებს ავტორებთან, რომლებიც თუნდაც ამ სერიის ფარგლებში საინტერესო იდეებს მოგვაწვდიან.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილ კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

სათუნა ნონიაშვილი: წიგნის იძულებით შეყვარება?.. გამორიცხულია... „მე ძალიან მიყვარს ლიტერატურა“. ამით იწყება და ამით თავდება, — „რა?“ — „რა და თქვენი შეკითხვები ჩემისთანა რესპონდენტისათვის“ — ეს თქვა კაცმა, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ვინმე ჰგავს თუ არა მას?.. არ ვიცი, იმედა, ვიდაც ჰგავს... ალბათ, ამ დროშიც არიან ასეთები. ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ არიან. ღმერთმა ნუ ქნას, არ იყვნენ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

სათუნა ნონიაშვილი: კითხვა, რომელზეც პასუხი არ ვიცი და არც არასდროს მეცოდინება — არის: რას იტყვიან ჩემზე, როცა გარდავიცვლები, ანუ ჩემი — „სახელის სე საჩრდილობელად“. კითხვა, რომლის პასუხიც ზუსტად ვიცი? — ..., ალბათ, ჩემი სახელი და გვარი.

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თამარ რუსაძე: ჩემი ლიტერატურული CV უბრალოდ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ჟურნალისტური CV, რომელიც 1997 წლიდან იწყება პრესით და გრძელდება ტელევიზიით (გაზეთი „7 დღე“, „საქართველოს გაზეთი“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ხტუდია GNS გადაცემა „კვირის რეპორტაჟი“ და ტელეკომპანია „მაესტრო“) ჟურნალისტური საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე. ყველგან, სადაც მიმუშავია, მხედებოდა შესანიშნავი ხალხი და სასარგებლო გამოცდილება. უკვე 9 წელიწადია, ვარ ახალი ამბების პროდიუსერი, რაც თავისთავად ისეთი სამსახურია, რომ ნაკლებ დროს გიტოვებს როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე ოჯახისა თუ მეგობრებისთვის, ლიტერატურისთვისაც, რადგან ლიტერატურაზე ვსაუბრობთ, ისე კი, ნებისმიერი სხვა საქმისთვის. ძირითადად ვცდილობ, თან ვატარო მსუბუქი, თხელი წიგნი, რომლის ერთი ან ორი გვერდის წაკითხვას მცირედი შესვენებისას მოგასწრებ. ეს ინტერვიუ რომ პირდაპირი ყოფილიყო და არა წერილობითი, ალბათ მომდევნო კითხვა იქნებოდა: რომელია ახლა ასეთი მსუბუქი წიგნი, რომელიც თან მაქვს — ხულიო კორტასარი, მოთხრობების კრებული.

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია, საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? ლექსებს თუ წერთ?

თამარ რუსაძე: ვწერ ზოგჯერ და ვერთობი. შეიძლება ამას იმიტომაც ვამბობ, რომ ეს ჩემი ჰობია. ვერც პოეტობასა და პროზაიკოსობას დავი-

ბრალეებ, სსგა თუ დამაბრალეებს — ისიც მიკვირს ხოლმე. ჩემთვის წერა გართობასა და სიამოვნებას თუ ვასცდება და ისეთივე რუტინად იქცევა, როგორც მაგალითად, ჩემი ამჟამინდელი საქმიანობაა, შესაძლოა, ისიც არ გამოვიდეს, რაც გამოდის. რა გამოდის, ეს ცალკე საკითხია, და საერთოდ, ისიც კი არ ვიცი ახლა, როდესაც თქვენს კითხვებზე ვპასუხობ, რითი ვარ საინტერესო ან თქვენი ფორუმისთვის ან მისი მკითხველისთვის. თანამედროვე ქართულ პოეზიას რაც შეეხება, ვკითხულობ, მომწონს. მის მომავალზე კი ალბათ ვერაფერს გეტყვით. არა მგონია, მქონდეს ქართული პოეზიის მომავლის თუნდაც გარაუდის დონეზე განსაზღვრის უფლება; არც იმას ვფიქრობ, რომ ეს შეეძლოს. თანაც არ მესმის, რას ნიშნავს პოეზიის მომავალი, როგორც ასეთი, ან თვითონ ეს სიტყვა იყოს შესაბამისი მასზე საუბრისას — დიდი პოეტები ხომ შესაძლოა სწორედ მაშინ იბადებიან, როდესაც მათ არავინ ელის.

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, „მარტის კვირადღე“ თქვენს ერთადერთი პროზაული ნაწარმოებია, რომელსაც მე ვიცნობ. ხშირად წერთ? ძირითადად, რაზე წერთ? ვინ არიან თქვენი გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან?..

თამარ რუსაძე: ის ასევე ერთადერთია, რომელსაც მე თავად ვიცნობ ან ვცნობ, თუმცა ნაწარმოებს ვერ დავარქმევდი, ალბათ უფრო ჩანაწერია და თანაც ძალიან პირადული. ის მე მხოლოდ ამიტომ მიყვარს და არა იმის გამო, რომ კარგად არის დაწერილი ან ვინმესთვისაა ღირებული. და რადგან „მარტის კვირადღე“ ერთადერთია, მისი გმირიც ერთადერთია — სსგა გმირები უბრალოდ არ მყავს.

გიორგი კილაძე: „მნატურული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დაგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, — ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მნატურული ტექსტი?

თამარ რუსაძე: მნატურული ტექსტი ჩემთვის ძლიერი შთაბეჭდილებაა. როდესაც გუნდა მსვდება, არასოდეს ვფიქრობ, რამდენ ხანს ან რა მეტოდით აგუნდავებდნენ მას. ამაზე მხოლოდ მას შემდეგ შემიძლია ვიფიქრო, რაც განცდილი ემოცია გამივლის.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

თამარ რუსაძე: მე ზარმაცია მკითხველი ვარ. ვკითხულობ, რაზეც იოლად მიმიწვდება სელი, მათ შორისაა თანამედროვე ქართული პროზაც. რომ გითხრათ, განსაკუთრებით ვინმეს გამოცემას ველოდები-მეთქი, მოგატყუებთ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულია და ნაკლებმელოდრამატული“, სამაგიეროდ, ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, სშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიახუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

თამარ რუსაძე: გულანდილობა ქალური თვისება უფროა და ალბათ ამიტომ. ისე კი, არა მხოლოდ ლიტერატურაში, საერთოდაც გაიზარდა იმ ქალების რიცხვი, რომლებიც ყველა იმ საქმეს აკეთებენ და არცთუ წარუმატებლად, რაც მანამდე მამაკაცთა საქმედ მიიჩნეოდა. წამოძახილი უცხო ტექსტის კითხვისას – „ქალის დაწერილია“, დაახლოებით ისევე უღერს, როგორც – „ქალი ზის იმ მანქანის საჭესთან“. რეალურად კი არსებობენ მხოლოდ კარგი და ცუდი მძღოლები, ისევე როგორც კარგი და ცუდი მწერლები, თუმცა ქალი შექსპირი ან ქალი მიქელანჯელო რომ ჰყოლოდა მსოფლიოს, ალბათ, გვეცოდინებოდა. ესეც ფაქტია.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

თამარ რუსაძე: სელოვნებაში აკრძალული არაფერია. ალბათ, თავისთავად სელოვნება არ უნდა გულისხმობდეს საკუთარ თავში რაიმე „აკრძალულს“. მთავარი არა საჩოთირო, ან ძალიან მგრძნობიარე თემებია, არამედ ის, თუ როგორ წერენ ამ თემებზე.

გიორგი კილაძე: ისევე პოეზია. მინიატურული პოეზია მოკლედ დასაწერ წერილს თუ შეიძლება შეადაროს კაცმა? მართლა ძნელი დასაწერია?

თამარ რუსაძე: ის, რისი წაკითხვისთანავეც იფიქრებ, რომ ალბათ ძნელი დასაწერი იყო, ესე იგი, ნაძალადეგია – უწვალთა მის ავტორს და ტექსტიც უწვალდება. ისე კი, კარგი ლექსის ავტორისთვის სულერთია, მომცროს თუ გრცელი. არ უნდა იყოს რთული დასაწერი ის, რასაც წერს. ბევრი მუშაობა ლექსზე არ ნიშნავს, რომ რთული დასაწერია.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღობვაა... – ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღობვაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მთითხვას, ასეთ დროს შემოღობვებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი?

თამარ რუსაძე: ვერც მე ვინსენებ, რადგან არ დამჭირებია მისი გამოყენება. ზემოთ ერთ-ერთ კითხვაზე ვიპასუხეთ, რომ ჩემი აზრით, ხელოვნება აკრძალავს ვერ იტანს-მეთქი. ივგეა აქაც. მთავარია, როგორ იყენებს ამ „ჟარგონს“ ავტორი და როგორია ის ნაწარმოებში – ბუნებრივი თუ ხელოვნური.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

თამარ რუსაძე: თუ ლიტერატურა არის, არიან კრიტიკოსებიც. სხვაგვარად აბა, როგორ იქნება?

მე? მე ჩემი ახლობლებისა და მეგობრების კრიტიკით შემოვიფარგლები, მათ შორის, ჩემი ფეისბუქმეგობრების კრიტიკით.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზე გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი). ეთანხმებით? რატომ?

თამარ რუსაძე: ცოტა ხნის წინ ფეისბუქზე ასეთი სტატუსი დავწერე (სტატუსებითაც ვერთობი სოღმე. „ის, ვინც წერს მკითხველისთვის, ქმნის მაკულატურას, სოღო ის, ვინც წერს საკუთარი თავისთვის, ქმნის ლიტერატურას“. მაშინ ჩემთვის ძალიან პატივსაცემმა და საყვარელმა ადამიანმა მაღნახ წარბედიამ კომენტარებში მიაწერა, რომ ეს სრულიად მცდარი შეხედულებაა. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე აუდიტორია ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი მგონია მაინც.

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, ზოგადად ლიტ. კონკურსების თემასაც შეგნით. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტ. კონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის უიურის წევრობას თუ ისურვებდით? რატომ?

თამარ რუსაძე: ადრე, წლების წინ მასსოვს ჩემი ერთი ნოველა მიიტანეს ერთ-ერთ კონკურსზე, ამ ნოველამ რაღაც ეტაბი გაიარა და მეტი კონკურენცია ვეღარ შეძლო. ისე, არც ვცდილობ ლიტერატურულ და საერთოდ კონკურსებში მონაწილეობას, რადგან ჯერ რაიმე უნდა შექმნა, რომ მერე ის სხვის შექმნილს შეადარონ.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული უურნალ-გაზეთი გამოდის? როგორ ფიქრობთ, უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

თამარ რუსაძე: რა პრობლემებს აწყდება ავტორი, როდესაც მას წიგნის გამოცემა სურს, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. რაც შეეხება, თვითონ საგამომცემლო საქმეს, როგორც ყველგან, ჩვენთანაც ბევრი საინტერესო რამ გამოდის და ბევრიც უინტერესოა, თუმცა ვფიქრობ, ეს საქმე ანლაგაციებით წარმატებულია, ვიდრე, თუნდაც, რამდენიმე წლის წინ. მეორე საკითხია, რომ ანალგამომცემული წიგნები ყველასთვის ხელმისაწვდომი სულაც არ არის. ამიტომაც იყო, რომ „ბუკინისტების“ აკრძალვას ასეთი პროტესტი მოჰყვა. წიგნების ფინანსური მხარე მართლაც არის პრობლემა ჩვენთან. ბუნებრივია, ისეთ იშვიათ ან ძვირფას გამოცემებს არ ვგულისხმობ, როგორც ყველა ქვეყანაში შედარებით ძვირადღირებულია.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

თამარ რუსაძე: არც ადამიანის იძულებით შეყვარებისა მჯერა და არც წიგნის. ლიტერატურა ხომ ზეთისხილი არ არის, პირველი გასინჯვისას დაიჭყანო, მერე ბევრი ჭამო და მოგეწონოს... ვასიკო კეჟერაძე კი, ჩემი აზრით, საზოგადო სახე არ არის მკითხველისა, იშვიათობაა. ასეთი იშვიათობა ანლაც იქნება.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, მშვენივრად თარგმნით. ყველაზე ხშირად ვის თარგმნით? თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ? მოდი, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარ-

მოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

თამარ რუსაძე: გამადლობთ, გულწრფელად მახარებს, როდესაც ჩემი რომელიმე თარგმანი მოსწონთ უფრო მეტადაც კი, ვიდრე ჩემი საკუთარი ლექსი. არმოწონებაც ალბათ იგივეა.

საკუთარის გამოცემა არც მშობლიურ ენაზე მიფიქრია და მით უმეტეს, არც რომელიმე სხვაზე. მაგ თემაზე არ მიფიქრია საერთოდ. არც იმდენი თარგმანი მაქვს, რომ შემიძლოს ვთქვა, ამას უფრო სწირად ვთარგმნი ან იმას-მეთქი. რაც მესიამოვნება, ის შეიძლება ვთარგმნო, თუ რა თქმა უნდა, შესაბამისი განწყობაც მაქვს. თუ არადა, შეიძლება ისე გაიაროს თვეებმა, რომ ერთი სიტყვაც ვერ დავწერო. მაქვს რამდენიმე ანბატოვა, რამდენიმე ტარკოვსკი, ორიოდ ბოდესკი და ცვეტაევა, რამდენიმე და ყველაზე მეტი ეზრა პაუნდი და თითო-ოროლა შექსპირი, მასტერსი და ოდენი.

თარგმანების ხარისხს რაც შეეხება, ზოგისა მომწონს, ზოგისა არა. უამრავი კარგი თარგმანია ქართული და მათ ჩამოთვლას არ მოვყვები, უამრავი ცუდიც — არც მათ ჩამოთვლას დავიწყებ. ისე კი ვიტყვი მაგალითისთვის, წიგნს რომ გადაშლი და პირველივე წინადადებაში დავხვდები — „მას ხელზე გიფსი ეკეთა“, ანდა „ქალი იმისთვის არ არსებობს, რომ გაგებულ იქნას“, იმას რაღა წაგაკითხვს...

გიორგი კილაძე: რას ეკითხებით ყველაზე სწირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

თამარ რუსაძე: რომელია კითხვა, რომელზეც პასუხს ვერასდროს მივიღებ და რომელია კითხვა, რომლის პასუხიც შესაძლოა ზუსტი იყოს?

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, მოგეწონათ კითხვები? როგორც ამბობენ, მსოფლიო „კი“ ან „არა“ არ მიიღება.

თამარ რუსაძე: დიას.

გიორგი კილაძე: თამარ, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თამარ ერგემლიძე: არ მგონია, ჩემს ლიტერატურულ CV-ში რაიმე განსაკუთრებული ნახოთ. კითხვა თავიდან ცნობისმოყვარეობით დავიწყე, მერე მიმიჩვია, ფიქრი მასწავლა, საკუთარ თავთან მიმიყვანა... ლიტერატურულ ბიოგრაფიაში მკითხველი უფრო ვარ, ვიდრე ავტორი. აუცილებლად მიმაჩნია მინიმუმ, რომ მე არ ვარ ადამიანი, ვისთვისაც წერა სულის პროფესია ან რაიმე მსგავსია. უბრალოდ, მომინდება და ვწერ, შემაწუხებს და ვწერ, ზოგჯერ ისეც სდება, მეზარება და არ ვწერ. ამიტომაც ჩემი „რეალაციების“ უმეტესობა უფრო ინდივიდუალურია, უბრეტესია.

გიორგი კილაძე: თამარ, ლექსებსაც წერთ და მოთხრობებსაც. „ვაშლები გულასთვის“ თქვენი საუკეთესო მოთხრობაა? „საფიზიტო ლექსი გაქვთ“?

თამარ ერგემლიძე: „ვაშლები გულასთვის“ უფრო საკუთარი თავისთვის რეალაციის დამტკიცების მომენტი იყო. ვცადე და გამოვიდა. თუმცა მიმაჩნია, რომ განსაკუთრებული არაფერი მითქვამს. უბრალოდ, ჩემეული ვერსია დავუშვი. საფიზიტო ლექსებად ალბათ „შიდის, რომელიც ოდესმე დაიბადება“ და „არითმიას“ ჩავთვლი.

გიორგი კილაძე: „ვაშლები გულასთვის“ კარგა ხანია დაიბეჭდა, თითქმის 4 წელი... დიდი დროა, მეთანხმებით? ალბათ ჩანსარით... შემოქმედებითი კრიზისია, უდროობა, ორივე ერთად თუ ხანგრძლივი შესვენება? რას ველოდით?

თამარ ერგემლიძე: მე ვეტყოდით, მაინცდამაინც ნუ დამელოდებით. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვთვლი, რომ ჩემი ნაწერებიდან გამო-

საქვეყნებელი ბევრი არაფერია. თუ არ ვჩანვარ, ეს სულაც არ მაწუხებს. მთავარია, ჩემთვის გამოჩნდეს სათქმელ-საწერი და მკითხველამდე ამის მიტანა-არმიტანის საკითხს მერე განვიხილავ. ამ ეტაპზე არ ვწერ. ადრე ასეთ მდგომარეობაში წრიალს ვიწყებდი სოლმე, მაგრამ ახლაც ვიცი, ეს არც კრიზისია და არც ხანგრძლივი შესვენება. ეს დროა, როცა ვფიქრობ, ვმსჯელობ, ვსაუბრობ ჩემს თავთან და გაანია, რით ავივსები, რის თქმა მომინდება.

გიორგი კილაძე: lit.ge-ზე გაგიცანით. შეიცვალა რამე ლიტერატურულ ინტერნეტ სივრცეში? ვერსად გიბოკვით, თუ არ ჩავთვლი ფეისბუქის „ჩანაწერებს“. პირდაპირ გკითხავთ, ფსევდონიმით სომ არ წერთ? არა, გამხელას არ გთხოვთ: კი ან არა. „ებლიტფო“ გახსოვთ? დღეს „ებლიტფოზე“ რას შეცვლიდით?

თამარ ერგემლიძე: ლიტერატურულ ინტერნეტ სივრცეში განსაკუთრებულ ცვლილებებს ვერ ვხედავ, თუმცა ადამიანებს, რომლებსაც ე.წ. „ნიკებით“ ვიცნობდი, ახლაც სახელ-გვარებით, წიგნის ყდებით ვიცნობ. ცნადად ვხედავ, როგორ იზრდებიან, ყალიბდებიან. თუმცა არიან ისეთებიც, ნიკებს რომ ვერ ვასცდნენ. ფსევდონიმი სმამაღალი სიტყვაა — ლიტერატურულ პორტალზე მაქვს ორიოდ მეტსახელი, მაგრამ ეს მალვის და არგამხელის გამო არა, მე თვითონ ვარ სხვადასხვანაირი და შესაბამისად ეს მეტსახელებიც თავიანთი სტილით წერენ. უფრო სწორი იქნებოდა, წერდნენ. ეს მეტსახელები მენმარება შევინარჩუნო ანესი — ჩემი პირველი სახე პორტალზე. „ებლიტფო“ მახსოვს. დღევანდელ „ებლიტფოს“ არ ვიცნობ. შეცვლის რა მოგახსენოთ და საერთოდ ადამიანი იქ აღმოჩნდება, სადაც თავს დაიმკვიდრებს, შესაბამისად, მთავარია ფორუმის წევრები გრძნობდნენ თავს კომფორტულად, იგრძნობოდეს ჯანსაღი აზრი და იუმორი, დანარჩენი — გემოვნების ამბავია.

გიორგი კილაძე: „ებლიტფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო — „ხელნაწერი „გვეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „გვეფხისტყაოსანი“ზე გვესაუბრეთ.

თამარ ერგემლიძე: „გვეფხისტყაოსანი“ზე მე რა უნდა ვთქვა, რაც ჯერ არ უთქვამთ... ეს არის ნაწარმოები, რომელიც არასდროს დაკარგავს აქტუალობას. მესმის, რომ დროთა განმავლობაში ხდება რადიკლების გადაფასება, სხვა თვალთ შეხედვა... არ დავიწყებ, რომ ახლანდელი თაობა უფრო მსუბუქად და მარტივად უყურებს კულტურულ საგანძურებს, რომ „დიდტანიანი“ და „დიდაქტიკური“ მოძღვრებები მოძველებული ამბავია... ვეთანხმები კიდევ. უბრალოდ, ყველაფერს აქვს თავისი დრო, ადგილი და მანერა — მთავარია, როდის, რა გარემოში და როგორ მივლენ ასეთ ფასეულობებთან.

გიორგი კილაძე: „არის ცალკეული კარგი მოთხრობები, ცალკეული კარგი ფრაზები მოთხრობებში. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, გაცილებული რომ დაგრჩენილიყავი და ახალი სამყარო აღმოქმინა, ასეთი არაფერი წამიკითხავს. ჯერჯერობით ჩემს ბოლო ახალ სამყაროდ გოდერძი ჩონელი რჩება. დარწმუნებული ვარ, ვინმე არის, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ან არ ვიცი“ – თქვენი კომენტარი. ზოგადად ქართული პროზა შეაფასეთ.

თამარ ერგემიძე: არ მგონია ლამაზი საძებნელად იყოს საქმე. მე ბევრად უფრო ოპტიმისტური განწყობა მაქვს ქართული პროზისა და ზოგადად დღევანდელი ქართული ლიტერატურის მიმართ. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ სმამალდა ვიტყვი, რომ ქართულ პროზაში პოტენციას ვხედავ და ამ მოსაზრების მყარი საფუძვლებიც მაქვს. გოდერძი ჩონელი გენიალურია, თუმცა არასდროს უნდა ვაქციოთ ის ამოსავალ წერტილად ან ეტალონად. არის ორი-სამი მწერალი, რომლებიც თავისთავში უკვე არის პოტენციური „გოდერძი ჩონელი“ – ვაცალოთ, ბატონო, ვაცალოთ...

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულია და ნაკლებმელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, სწორად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა, პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

თამარ ერგემიძე: არა მგონია გასაკვირი იყოს, როცა აბსოლუტურად განსხვავებული ფსიქო-სექსუალური, ფიზიკური თუ ათასი სხვა ნიშნით სხვადასხვა პოლუსზე მყოფი მონაცემების მქონე ორი სქესი სხვადასხვაგვარად წერს. ამაზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს. ვეთანხმები, რომ ქალები უფრო მგრძობიარეები არიან, „მეწერილმანები“ – როგორც ცნობრებაში. ზოგადად, კაცებს შეუძლიათ ეფექტის მოხდენა, ქალები კი ამ ეფექტის შემადგენელ ყველა დეტალს გულდასმით, სხვა მხრით განიხილავენ; შესაბამისად, ეს დეტალები შესაძლებელია იყოს თამამი, ინტიმური, მიჩქმალული, აკრძალული... ქალებს უკეთ გამოხდით მნიშვნელოვან მომენტზე „ჩავლება“.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

თამარ ერგემიძე: აკრძალვას არასდროს მოაქვს დადებითი შედეგი. დღეს ზოგადად ქართულ მენტალიტეტში ნელ-ნელა და ძნელ-ძნელად

მკვიდრდება მცნება „თავისუფალი აზრი“. ფსიქო-სექსუალურ-მენტალური მდგომარეობით, ჩვენი საზოგადოება 13-14 წლის მოზარდს ჰგავს, რომელიც სურვილების, ტაბუების, გაბატონებული მოსაზრებებისა და საზოგადოებრივი მორალის ქსელშია გახვეული; რომელმაც ჯერ არ იცის საკუთარ თავამდე მისასვლელი გზა. ის, რომ ყველაფერზე ნამამალა საუბრობენ, წერენ, აბსოლუტურად არ ნიშნავს, რომ აკრძალული თემები არ არსებობს. სხვადასხვა საზოგადოებებში აკრძალული თემები მაინც იარსებებს, თუმცა მნიშვნელოვნად შემცირდება მაშინ, როცა მათზე სიფრთხილით ისაუბრებენ. ევროპულ-ამერიკული ლიტერატურა და ზოგადად კულტურა ამ მხრივ მნიშვნელოვნად წინ დგას, თუმცა მე ვიტყვოდი, რომ თვალშისაცემად ნშირია შემთხვევები, როცა ავტორები (მწერლები, რეჟისორები) ამ თემებით მანიპულირებენ. ზოგადად კულტურისთვის ყველაზე ღირებულ მანასიათებლად მე საზოგადოების აღზრდაში წვლილის შეტანა მიმაჩნია და ძალიან მინდა ქართულმა, ლიტერატურამ ეს როლი ქართული საზოგადოებისთვის ზედმიწევნით სწორად შეასრულოს.

გიორგი კილაძე: თამარ, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

თამარ ერეკლიძე: სიმართლე გითხრათ, არც ისე ახლოს ვმეგობრობ თანამედროვე პოეზიასთან, რომ მისი შეფასება შეეძლოს. თუმცა არის რამდენიმე პოეტი, რომლებიც უკვე შედგა და ვიცი, რატომ უნდა „გვსტუმრო“, რას „დამახვედრებს“.

გიორგი კილაძე: პოეზიას დაგუბრუნდეთ: „მგონია, დროთა მდინარე-ბასთან ერთად პოეზია თანდათან კარგავს იდეის მატარებლის ფუნქციას და მსალოდ კეთილშოვნებისა და რიტმულობის ეფექტის შექმნადა ევალდება“ – ეს „ებლიტფოელ“ თამარა-ს აზრია. დავით ჩინლაძემ ჯერ კიდევ 2007 წელს თქვა – „პოეზია მოკვდა“, „კი, პოეზია არც მომკვდარა და არც დაბადებულა. ის უბრალოდ არსებობს“ – ეს უკვე თქვენი თაობის წარმომადგენლის დავით ჩინლაძის აზრია. „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პოეზია არ მომკვდარა, მაგრამ აჟადაა – ანუ სიკვდილის პირას არის, ვთქვათ პირდაპირ“ – ეს ბატონ ლევან ბერძენიშვილის სიტყვებია... „ის რომ საქართველოში პოეზია მოკვდა, ან კვდება წაგებულნი მთაბაშის სიტყვებია. მომავალშიც, დღესაც ბევრი ცუდი ლექსი დაიწერება და ცოტა კარგი“, – ბრძანა ბატონმა გივი ალნაზიშვილმა...

ლექსი ძალიან ბევრია, პოეზია — ცოტა. მე ვერ დავეთანხმები ვერავის იმაში, რომ „პოეზია მოკვდა ან სიკვდილის პირასაა“ — მანონ ბულისკერი. — თქვენ რას გვეტყვით?

თამარ ერგემლიძე: დავეთანხმები მანონ ბულისკერიას და ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობა — ყოველთვის ასე იყო და არის. უბრალოდ, არის გამოსატყვის საშუალებები, რომლებიც ასე ვთქვათ, ძველებია, ცვლებია, კარგავს აქტუალობას. პოეზიაც ასეა. ახალი სისხლი, ახალი საშუალებები, ძველის გათანამედროვეება, საზოგადოების მოთხოვნებისთვის ყურისგდება და მასთან ერთად განვითარება მგონია მე ამ „პრობლემის“ წამლები.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონიც“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღობვაა... — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღობვაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღობვას მეთრე ლოყა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეჩვენებინოთ, ვერ ვინსებთ...

თამარ ერგემლიძე: ამაზე ერთხელ უკვე ვისაუბრე თქვენს ფორუმზე და ახლაც იგივე აზრზე ვარ: უბრალოდ, არასერიოზულ დამოკიდებულებად მიმაჩნია საკითხის ასე დაყენება — უნდა იყოს „ჟარგონი“ სალიტერატურო ენაში თუ არა? ვერ ვხვდები, როგორ უნდა აკრძალო ან დაუშვა „ჟარგონი“?! მაპატიეთ, მაგრამ ვის რაში სჭირდება დაკონსერვებული, განყენებული ენა, რომელიც არ მოდის მკითხველიდან და არ მიდის მკითხველამდე, რომელსაც არ იყენებენ და მხოლოდ თართზე წიგნებად დევს? „ჟარგონი“ ძალიან საყურადღებო მომენტი ენაში — თერმომეტრივით არის: განსაზღვრავს, შეყრილი სურდო რა მხრივ განვითარდება: უწამლოდ გაივლის თუ ექიმის ჩარევა საჭიროა. ყველაფერთან ერთად „ჟარგონმა“ ერთი ძალიან მაგარი ფინტი იცის — გამოცდილი მწერლისთვის დიდებული იარაღია, უნიჭოს კი მაშინვე ამხელს.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტ. კონკურსის ფიურის წევრი თუ ყოფილხართ? ძნელია?

თამარ ერგემლიძე: ლიტ. კონკურსებზე კარგი აზრის ვარ. რაც მეტი კონკურსი იქნება, მით უფრო ხშირად გაიფიქრებს ამა თუ იმ ავტორის ვინაობა, წიგნები. რამდენად ობიექტურად იმართება კონკურსები, ამის

ექსპერტად ვერ გამოვდგები, თუმცა აზრი და ვერსია არაობიექტურობის შესახებ ყოველთვის იარსებებს — ასეთი მომენტები მცირერიცხოვანი ერების მახასიათებელია — ყველა იცნობს ერთმანეთს, ვიღაცა ვიღაცის ანობობელია და ა.შ. ლიტ. კონკურსის ჟიურის წევრობისთვის ნამდვილად არაკომპეტენტური ვიქნებოდი. ასე რომ... ისე, ძნელი რატომ უნდა იყოს? წაიკითხე, შეაფასე, დააფიქსირე. ამ შემთხვევაში ნაკლები უნდა იფიქროს სხვების აზრზე. თუ თავს თვლი ჟიურის მისაღებ წევრად, მაშინ თამამად უნდა გამოხატო საკუთარი აზრი. სულ ეს არის ალბათ.

გიორგი კილაძე: თამარ, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? როგორ ფიქრობთ, „მწერალი მკითხველზე მონადირეა“?

თამარ ერგემლიძე: „ჩემი მკითხველები“ — რაღაც ისე უღერს. ალბათ უფრო მეგობრები და შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც ლიტერატურული პორტალის ან ფეისბუქის ჩემს გვერდებზე აღმოჩნდებიან. არ ვთვლი, რომ ჯერ რაიმე ისეთი დამეწეროს, ვინმე სპეციალურად მეძებდეს ან მელოდეს. მწერალი გარკვეულწილად უნდა იყოს „მკითხველზე მონადირე“ — ამის გარეშე მწერლისა და მკითხველის ჯანსაღი ურთიერთობა არ გამოვა.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? საგამომცემლობის, ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ გიფიქრიათ?

თამარ ერგემლიძე: საგამომცემლო სახლების რიცხვი დღითიდღე იზრდება, თუმცა რის ხარჯზე — ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. წიგნის გამოცემა კი არ არის მთავარი, მთავარია წიგნის მკითხველამდე მიტანა. წიგნის გამოცემა პირველი ნაბიჯია, დანარჩენი ნაბიჯებია: კარგად ასაწყობი პრეზენტაციები, პიარ კამპანიები, ლიტერატურული საღამოები, კონკურსები — ეს აუცილებელი ნაბიჯები უკვე იდგმება საქართველოში. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, აქ უფრო ცუდად მგონია საქმე. ხარისხიანი, ეფექტური და გემოვნებიანი ჟურნალ-გაზეთები უთანაბრო კონკურენციას ვერ უძლებენ, გამოცემაც საკმაოდ ძვირი ჯდება, რაც ფასსაც გვარიანად ზემოთ სწევს... ხალხიც გადაეჩვია ჟურნალ-გაზეთის ყიდვისა და გამოწერის კულტურას. ანლა მე ერთ-ერთი მიგრო საფინანსო კომპანიის მარკეტინგში ვმუშაობ, რომელმაც სამი თვეა გამოსცა ქართული, 48 გვერდიანი, ფერადი გაზეთი — Γεωργιανή Εφημερίδα (ქართული გაზეთი)

საბერძნეთში მცხოვრები ქართველებისთვის. გაზეთი ყოველ შაბათს გამო-
დის და მინდა გითხრა, რომ არ არის ადვილი ხალხი ისევ შემოაბრუნო
კულტურული ფასეულობებით მდიდარი გამოცემებისკენ, ადავინო მისი
ყიდვის კულტურა. შესაბამისად, ვცდილობთ არსებული საზოგადოების
მოთხოვნები და კულტურული ფასეულობები რაღაცნაირად შევავლოთ
და ამ მხრივ, მკითხველი დავაკმაყოფილოთ... მინდა ვთქვა, რომ არცთუ
უიმედო მდგომარეობაა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარ-
და“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას
შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით
ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს?
ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძუ-
ლებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

თამარ ერგემიძე: მე ასე ვიტყვოდი: ვასიკო კეჟერაძეები არსე-
ბობენ! რა თქმა უნდა! ოღონდ ახლა გარკვეულწილად სახეცვლილნი
გამხდარან, ლიტერატურას ხან კითხულობენ, ხან უსმენენ, ზოგჯერ მუსიკის
თანხლებით, ხან - თვალის შევლებითაც, მაგრამ უყვართ, გრძნობენ, ენე-
ბიან.. წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე კი ასე მოგახსენებთ: ნე-
ტაჟ კი შეაყვაროს და... მარკეტინგი, პიარი, რეკლამა — ეს ყველაფერი
სწორედ ასეთ „იძულებით შეყვარებებზეა“ გათვლილი. მთავარია, ეს ყვე-
ლაფერი შეფარულად, დოზირებულად და აგრესიის გარეშე მოხდეს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკ-
უთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის
პასუხი ზუსტად იცით?

თამარ ერგემიძე: ამ კითხვაზე ჩემი ერთ-ერთი „არითმიით“ ვიბა-
სუნებთ:

„ჯერ მხოლოდ ის ვარ, ვინც კითხვებს სვამს.
მერე ალბათ ის ვიქნები, ვინც პასუხს გასცემს.
დაბოლოს, ზუსტად ვიცი, ის არ ვიქნები,
ვინც წერტილს დასვამს!“

ბიორგი კილაძე - ნინო მუვილობაძე

გიორგი კილაძე: ნინო, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... დარწმუნებული ვარ, თქვენც წერთ, ამიტომ ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნინო მუვილობაძე: შემიძლია ცოტა სერიოზულადაც გიპასუხოთ, მაგრამ რაკი ლიტერატურაზე საუბარი, გეტყვით:

მურმან ლებანიძე წერს ერთ-ერთ თავის ლექსში: „უნდა 20 წელიწადს რანდო“. მე უკვე მე-12 წელია, ვრანდავ. რა გამოდის, არ ვიცი თავადაც, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ, რასაც ვწერ...

არალიტერატურული ბიოგრაფია? დაგობადე ლანჩხუთის ერთ-ერთ ძალიან ლამაზ სოფელში. დღემდე იქ ვცნოვრობ, ვმუშაობ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის სამსახურში. მყავს დედა, მამა, ძმა და პატარა ძმისშვილი ილია. სულ ესაა...

გიორგი კილაძე: ნინო, გურული ხართ. გურიასა და გურულებზე მომიყვით...

ნინო მუვილობაძე: ვიდაც იტყვის, რომ ეს პროვინციალიზმია. რა ვქნა, თქვას. მე ვიტყვი, რომ გურულები განსაკუთრებული ხალხი ვართ დედაპოპის ზურგზე. „არსად ასე არ მღეროან“... „ვერსად ასე ვერვინ გავსვენებს გამოუცნობ ცეცხლის აღში“... მსოფლიოდ აქ შეუძლიათ ნებისმიერ სიტუაციას შეხედონ იუმორით, ტვიფილი კი ღიმილით დაძლიონ... მიყვარს გურია, მიყვარს გურულები — ხალასი, ენამოსწრებული, მხიარული და საოცრად ალალი ხალხი. არ თქვას ვინმემ, გურული აფერისტიათ, არა, ალალები არიან. ეგ კია, პოლიტიკაზე საუბარი ნამეტანი უყვართ.

გიორგი კილაძე: ნინოს ერთ ჩვეულებრივ დღეზე მომიყვით.

ნინო მშვიდლობაძე: აბსოლუტურად ჩვეულებრივია, არაფერი გამორჩეული. თუმცა გამორჩეული დღე და წამი, ჩემი აზრით, ადამიანმა უნდა განადოს. მზე რომ ამოდის და მინარია, დედის ხმა რომ მესმის და მინარია, ჩემი ძვირფასი ადამიანები რომ კარგად არიან და მინარია, ეს კმარა უკვე ბედნიერებისთვის და სიმართლე ვითხრობ, აღარაა არც წამი, არც დღე ჩვეულებრივი, ძალიან ლამაზი და ტყვადია, ძალიან უჩვეულოც.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვით, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი?

ნინო მშვიდლობაძე: ჟურნალისტად 13 წელი ვიმუშავე... მართალია, არასოდეს მყოფნიდა დრო. პრინციპში, ვერც იმას ვიტყვი, რომ დრო ახლა მყოფნის. ეს შესაძლოა, ინდივიდუალური შეგონებებია: მე სულ მგონია, რომ რაღაცას ვერ მოვასწრებ, რაღაცის საკეთებლად დრო არ მეყოფა, ამიტომ სულ ვჩქარობ...

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დავუბრუნდეთ. რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? თქვენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ნინო მშვიდლობაძე: მოდით, მსოფლიოდ პროზაიკოსებზე ნუ ვისაუბრებთ, პოეტებზეც ვისაუბრობთ. მადლობა უფაღს, რომ ვიცნობ საკმაოდ ბევრ ახალგაზრდა და ნიჭიერ შემოქმედს, რომელთა შემოქმედებას ძალიან ვაფასებ. გწუნვარ, რომ მათ სრულიად საქართველო არ იცნობს. ესაა პრობლემა, თორემ იმდენი ნიჭიერი ადამიანია ჩემს ირგვლივ, თითები არ მეყოფა ჩამოსათვლელად. მე ვხარობ მათით, ვამაყობ. ისინი წერენ მარადიულ თემებზე: სიყვარულზე, სამშობლოზე, ღმერთზე, ტკივილზე, ურთიერთობებზე. წერენ ძალიან ლამაზად, თამამად, აზრიანად. არიან ძალიან განათლებულები, იციან, რაზე წერენ და ისიც, როგორ უნდა წერონ. ყველა მათ ნაწარმოებს ველოდები ყოველთვის, ველოდები მოუთმენლად, რადგან ზუსტად ვიცი, რომ მელოდება სინარული, მელოდება ცრემლიც...

რა არის, იცით? მსოფლიოდ მაშინაა შემოქმედება გამართლებული, როცა ის გავლენას ახდენს მკითხველზე; როცა შემოქმედი მკითხველს ხდის თანამონაწილედ. მე ასე მჭირს სოლმე, როცა ახალგაზრდა შემოქმედების ნაწერებს ვკითხულობ და მინარია, საქართველოს საუკეთესო პოეტები და პროზაიკოსები ეზრდება. ემრავლეთ. დავაზუსტებ: ეს არაა პათეტიკა, ეს სრული სიმართლეა. არ ვთვლი საჭიროდ, მათი სახელები ჩამოვთვალო, ბევრია, თუმცა თუ ვინმეს აინტერესებს, ვიტყვი: რობერტ მესხი,

ნიკა ჩერქეზიშვილი, როინ აბუსელიძე, ნათია პაპიძე... წავიკითხეთ და მის-
ვდებით, რომ სიმართლეს ვამბობ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოს-
თა და პოეტთა რიცხვი. მეთანხმებით? არსებობს თუ არა რაიმე დამახასი-
ათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამთარჩევს
მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მა-
მაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულა და ნაკლებმელო-
დრამატული“, სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტურია, სწორად
მამაკაცურზე თამამიც; თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა
წამოსწიეს, ვერ მიაჩნუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნინო მშვიდლობაძე: სიმართლე გითხრა ამაზე არ მიფიქრია. შესა-
ძლოა იმიტომ, რომ მე ერთნაირი ინტერესით ვკითხულობ ქალისა და
მამაკაცის ნაწარმოებებს და მომწონს, თუკი ცხადია, საინტერესო და
კარგია. შესაძლოა, იყოს ფსიქოლოგიური მომენტები, ქალები უფრო ფა-
ქიზები და თამამები არიან, თუმცა ოდნავი მოკრძალებაც ახლავთ. იცით,
რა? განსხვავების საპოვნელად პაოლომ ელენე დაირქვა და ისე წერდა.
ელენე დარიანის პოეზია აღელვებდა ქართულ საზოგადოებას ძალიან
დიდხანს, ვიდრე გაიგებდნენ, რომ ეს პაოლო იყო. ახლაც ასეა. მაგრამ...
განა პაოლოს ის ლექსები, რომლებსაც საკუთარი სახელით წერდა, ნაკ-
ლებ ემოციურია? ნაკლებ ფაქიზი?

არ ვიცი. მე ვიცი, რომ თუკი კარგია და სულამდე მოვიდა, ქალი
შემოქმედის მომწონს და მამაკაციც.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ,
არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნინო მშვიდლობაძე: გეტყვით გულახდილად: დღეს ქართულ ლიტ-
ერატურაში აკრძალული თემები ნამდვილად არ არსებობს. წერენ ყვე-
ლაფერზე და დაუფარავად. ნანდახან ეს იმდენად არაბუნებრივია, რომ არ
მომწონს და კითხვას ვწყვეტ. სულ მგონია, რომ უცენზურო სიტყვები
ზოგიერთს მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ ნმაური გამოიწვიოს და ამით
განდეს ცნობილი, ანუ ეპატაჟურია. არადა, სიმართლეს საზოგადოება
ეპატაჟების გარეშეც გრძნობს და იღებს. საჭირო არაა იყვირო; თუკი
გულიანად წერ, ხალხი ისედაც მივიღებს.

გიორგი კილაძე: ნინო, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვ-
ნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „ჟუ-
რნალისტის მონოლოგს“ როდის დაგვიწერთ?

ნინო მშვიდლობაძე: „ებლიტფო“ მომწონს. ვსტუმრობ ხოლმე facebook-ზე და ვეცნობი ინტერვიუებს. შეცვლის რა მოგახსენოთ. არა მგონია, მე ვიყო ის ადამიანი, ვისაც „ებლიტფოში“ რაიმეს შეცვლა შეუძლია; ვიღებ ისეთს, როგორც არის და მომწონს.

რაც შეეხება მონოლოგს, როცა მეტყვით, დავწერ: ოღონდ ეს არ იქნება ჟურნალისტის მონოლოგი, არ მიყვარს კონკრეტიკა. ეს იქნება ერთი ადამიანის მონოლოგი.

გიორგი კილაძე: მოუთმენლად ველოდები... ისევ „ებლიტფო“... იგი ლიტსივრცის ნაწილია. თქვენ ლიტბორტალზე ვაგვიცანით... ისაუბრეთ...

ნინო მშვიდლობაძე: საერთოდ, ლიტერატურული პორტალების არსებობა იმისთვისაა კარგი, რომ ადამიანმა თავისი ნააზრევო გააცნოს სხვებს. აქ არიან კომპეტენტურები, რომლებიც სასარგებლო რჩევებს იძლევიან. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებიც ცინიკურები არიან. თუმცა ის, რომ ვაქვთ შესაძლებლობა თქვენი შემოქმედება სამსჯავროსზე გამოიტანოთ და რეაქციით მისვდეთ, გააგრძელოთ თუ არა წერა, ძალიან დიდი პლუსია. ჩემთვის ლიტერატურული პორტალები კი იმისთვის არის კარგი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ვაგვიცანი, ბევრი კარგი შემოქმედი.

გიორგი კილაძე: მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავისხენო, სადაც იგი ამბობს: „არც პაეზია და პროზა არ მომკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა, ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ: მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტებმა აიღეს, მორალური საკითხები — ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და, უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ ვადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თსრობა“... კითხვას არ დაგისვამთ? უბრალოდ, კომენტარს გთხოვთ...

ნინო მშვიდლობაძე: ბოლო ფრაზას აბსოლუტურად ვეთანხმები. მართლაც, ვერაფერი ვადმოსცემს ისე ადამიანის განცდებს, როგორც თსრობა... სახეცვლილებაც სახეზეა. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს მიძინება არაა, არც პაუზა. შემოქმედებაში დიდი ძვრებია, რაც იმის მანიშნებელია, რომ დადგება დრო, როცა ყველაფერი დაისვეწება — ის, რაც დასარჩენია, დარჩება. „წყალნი წავლენ და წამოვლენო“... ჰოდა, აი, ასე იქნება ლიტერატურაშიც. ცვლილება კი დროს მოაქვს და არა ადამიანებს. ბუნებრივია, 21-ე საუკუნეს არ ეყოლება ბალზაკი, არც ჰიუგო, მაგრამ იქნება სხვა, ვინც დარჩება შემდეგი თაობისთვის. ნომ ასეა?

გიორგი კილაძე: ნინო, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ნინო მშვიდლობაძე: უდავოდ, მომწონს. ვისაუბრე ამაზე ზემოთ. საკუთარი პოეზიის განსამტკიცებლად ერთი 24 წლის ბათუმელი ბიჭის, გენრი დოლიძის ლექსს მოვიყვან აქვე:

თავისუფალი ლექსი

„მე ახლა თავდაყირა ვაქანებ გალაქტიკას, რომ ფსკერზე დარჩენილი სნივები ვიწილაღო...“

გარეთ რომ ცარიელი ღრუბლების რეველია, უბრალოდ დაგხიე და ჯიბეში ჩავილაგე...“

დუმილი გაინადე... – იმდენად სასაცილოდ, რომ სული გამოგიჩნდა – შიშველი (ვიცი რატომ).

ღიმილი მოგერიო, ეს ღამე როკერიო, ამიტომ იღებავს ანტენებს შავი ლაკით...“

დილა გათენდა ისე თავსედი,
რომ სამჯერ მაინც გამახსენა შენი სახელი...
შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...
უბრალოდ მოსვალ თავდახრილი, მოსვალ და ხელებს
თვალებზე აიფარებ,
თვალებს კი სულზე,
ხიდან ცრემლივით ჩამოვარდნილ კვირტად წახვეტილს
ვიცნობ, ფენის ხმით, ცრემლის ფერით, დუმილით, პულსით...
შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...
ზის უშენობა და ჩემს ნეკნზე უკრავს საღამურს...
რომ არ დაგვექცეს აკრულია ცაზე ცა ღვედით.
გუთხრათ საღამო... (ამ სტრიქონში რითმა გამებნა...)
შენ დაბრუნდები - ისე წახვედი...
მე გაგისხენებ, გაგისხენებ ცამდე აშოლტილს,
როს შენი თმების ცივი სუნთქვა წვაგდა სხვა ნიავს.
ცრემლს გადაყლაპავ, მორცხვად მეტყვი რომ ქმარს დაშორდი
და მე გეტყვი რომ ცოლი სულ არ მომიყვანია...
გეტყვი რომ შენი მშვენიერობდა ღამე ზმანება
რომ ჩემს - შენს ტუჩებს სხვისი გემო არ უგემია...“

რომ შევიძულებ გავლივება ღამაზმანების,
 რომ ეს ცხოვრება ზღვა არის და ანუ, გემია,
 ის სიყვარული, შეწირული სისხლის მოქცევას,
 გულის ფსკერამდე ჩაძირული ღუზის მოგლეჯა...
 არ დაუჯერო, როცა ცრემლით ნიშანს მოგცემენ!
 რადგან თვალეში ეს ცხოვრება უფრო მოკლე ჩანს
 ვიდრე საბელი ბიბლიაში დაბმული ვირის,
 ვიდრე გზა შენი ღალატით - უფლის ჯვარცმამდე...
 ქალაქში სადაც სანთელი ღირს უფალზე ძვირი
 მოგცემდნენ ჩემში სადაც სამ ვერცხლს, ალბათ არც მავდენს...
 დილა გათენდა ისე თავზედი,
 რომ სამჯერ მაინც ვამახსენა შენი სახელი...
 ჯანდაბას ყველა უშენობით თვალის გახელა...
 შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...
 წახვედი როგორც საიდუმლოდ ნათქვამი ჭორი
 მზე ჰორიზონტთან შეაბნე თავის პროტოტიპს
 და მე დამტოვე ჯვარცმასა და აღდგომას შორის
 წიგნში სანიშნედ ჩადებული ძველი ფოტოთი...

ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართულ პოეზიაში ცუდად საქმე ნამდ-
 ვილად არაა, თუ ვინმეს ჰგონია. პირიქით, აშკარად წინსვლაა და ასეც
 ვაგრძელებ. კარგი თაობა ეწრდება საქართველოს, ძლიერი, ნიჭიერი.

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, სავიზიტო ბარათი
 თუ გაქვთ? იქნებ მიზეზებზეც გვითხროთ – რატომ ეს და არა სხვა ლექსი?
ნინო მშვიდლობაძე: საკუთარი ლექსები ზეპირად არ ვიცო, უცნაუ-
 რია, მაგრამ ასეა. სავიზიტო ბარათი? მე მაინც მგონია, რომ ყველაზე
 კარგად ჩემი „მე“ ამ ლექსში ჩანს:

ავაგოთ ჩვენი ხელისგულები ქონი
 მოდი...
 უთხოვარის და ნეკერჩხლის
 ტოტები მომიტანე...
 ნეკერჩხალი აუცილებლად წითელფოთლებიანი უნდა იყოს...
 ღარნაკში ჩავაწყობ და მეგონება, რომ
 მზე მაჩუქე...
 მერე მითხარი, რომ ცხოვრება სულაც არაა ისე რთული,
 მე რომ ვფიქრობ და პირიქით,

მარტივია, ძალიან მარტივი, მარტი — ვით...
 მე გააციინებ და გიპასუხებ,
 რომ მარტი სულაც არაა მარტივი,
 პირიქით, ძალიან რთულია, აშარი და გადარეული.
 მაშინ შენ ჩემს სახეს ხელებში მოიქცევ და მეტყვი:
 ცხოვრება ისე მარტივია,
 როგორც ჩემი სიყვარული შენდამი...
 მე გაგწითლდები და გაგიტრუნები...
 დაგელოდები, როდის მაკაცებ...
 რამდენი ხანია არაფერი დამინახატავს.
 შენ ხარხარებ ხოლმე, როცა მოღებერთან მდგარს მხედავ,
 საღებავებში ამოსვრილი თითებით.
 მე სომ ფუნჯს არ ვხმარობ, თითები კი...
 თითები იმას სატაგენ, რაც უნდათ.
 ჩემი ტილოების უმთავრესი ნაწილი ფურცლის კუთხეში მინატრული
 ღიმილიანი მზეკა...
 და როცა მზეს ვხატავ, ჩემი თითები ყვითლები ხდებიან.
 შენ ზემოთ წევ მათ და მეუბნები:
 აი, ჩემი მზე-თითები.
 მე კგლავ ვიცინი... და ჩემს მზე-თითებს სახეზე გისვამ...
 და ორივე, საღებავებით გათხუპნულები, დიდხანს ვხარხარებთ,
 დიდხანს და გულიანად...
 მოდი...
 ამ უმზეო და ქარიან დღეებში ცისარტყელასავით მომენატრე...
 ჩემი მოღებრტიც კუთხეში აგდია უშენოდ...
 არადა, თითებს საოცრად უნდათ ფურცლის კუთხეში
 ღიმილიანი მზის დახატვა...
 მოდი...
 ხელისგულები ერთმანეთს შევატყუბოთ...
 ავაგოთ ჩვენი ხელისგულების ქონი,
 სადაც მხოლოდ სითბო, სინაზე და სიმყუდროვე იქნება...
 უთხოვარის და ნეკერჩხლის
 ტოტები მომიტანე, ვთხოვ...
 ნეკერჩხალი აუცილებლად წითელფოთლებიანი უნდა იყოს...
 და მიქციე თითები მზედ...

განსაკუთრებულად მიყვარს ეს ლექსი, ფურცლის კუთხეში მინატ-
 რული მზესავით.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრძოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ნინო მშვიდლობაძე: აი, ეგ ყველაზე მტკივნეული თემაა. ლიტერატურის კრიტიკოსთა, ვიშორებ, კრიტიკოსთა ნაკლებობას განვიცდით. არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ეს ხარვეზი აღმოფხვრან, მაგრამ... რა არის იცით გიორგი, კრიტიკა უძნელესი და ურთულესი საქმეა. ფაქიზად უნდა მოიქცე, როცა კრიტიკულ წერილს წერ, რადგან ესები უმთავრესს: ადამიანის სულს და როგორც უნდა იყოს ნაწერი, რაზედაც შენ წერ კრიტიკას, მაინც სულ უნდა განსოვდეს, რომ მის უკან დგას ადამიანი, უპირველეს ყოვლისა. ამიტომ მას, როგორც ადამიანს, უნდა სცე პატივი და აქედან გამომდინარე დაწერო მის შემოქმედებაზე კრიტიკული წერილი.

არადა, რამდენია დასაწერი... ლიტერატურის კრიტიკოსია ის ადამიანი, ვისაც პირდაპირ ევალება, რომ საზოგადოებას ახალი სახელები გააცნოს. ხდება ასე? არა. ვიღაცას კი კრიტიკა ლანძღვა ჰგონია, რაც ასევე ძალიან სამწუხაროა.

იმედია, ამ მხრივაც გამოსწორდება საქმე. ახალი სახელები ბევრია, მათზე უნდა წეროს ვინმემ, აუცილებლად უნდა წეროს.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვავრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე. რამდენად თბიქტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტ. კონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდით? როგორ ფიქრობთ ძნელი იქნება?

ნინო მშვიდლობაძე: თემაა რთული და ძნელი. რა გითხრათ... არ მიყვარს ზოგადად კონკურსები და ლიტერატურული, მით უმეტეს. ვერ ვიტან შეჯიბრს. კონკურსიც ერთგვარი შეჯიბრია და არ მომწონს ამიტომ. თბიქტურობაც პირობითია. კონკურსს ჰყავს ფიური, რომლის თითოეულ წევრს, გინდა არ გინდა, სუბიექტური დამოკიდებულება აქვს კონკურსანტისადმი (ან ნაწერისადმი, თუ კონკურსანტის ვინაობა გასაიდუმლოებულია). ერთს შეიძლება მოეწონოს ვიღაცის ნაწერი, მეორეს სსკა და ა.შ. ანუ სუბიექტივიზმი მეტია, ვიდრე ობიექტურობა. თუმცა ეს მსოფლიო ჩემი პირადი აზრია და თავზე არავის ვახვევ. სირთულის გამო ნამდვილად არ მინდა ვიყო ფიურიში. სურვილიც არ მაქვს და უარს ვიტყვი ყოველთვის, იმიტომ კი არა, რომ თავს ვერ გაგართმევ, არამედ იმიტომ, რომ ვერც მე ვიქნები ობიექტური.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება... სარისხი მოგწონთ?

ნინო მშვიდლობაძე: კი, მომწონს. ლიტერატურული საიტებიდან ვეცნობი ბევრ თარგმანს და მომწონს. აი, ეგეც იმის ბრალია, რომ კრიტიკა მთიკოჭლებს, თორემ ისე კარგად თარგმნიან ახალგაზრდები, მართლა ძალიან მომწონს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ ვიფიქრიათ?

ნინო მშვიდლობაძე: სხვათა შორის, რაც დრო გადის, ეს საქმე მით უფრო უმჯობესდება. იმ ჟურნალ-გაზეთების ფონზე, რაც საქართველოში გამოდის, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები ნაკლებადაა. ამ მხრივ ძალიან კარგ საქმეს აკეთებს „ლიტერატურული პალიტრა“, სადაც მუდამ სანტერესო წერილებია, ახალი ხანულები, თარგმანები. მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არაა.

დაარსებაზე ვიფიქრია, როგორ არა თუ მაგრამ ეს ყველაფერი ფინანსებითაა დაკავშირებული. არ ვიცი, ვინაშით, არ მიყვარს გეგმების დაწყობა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტწარმოებს გადაიღებდით?

ნინო მშვიდლობაძე: რთული კითხვა დამისვით. თუმცა არა მგონია, ბევრი ფიქრი დამჭირდეს. ჩემი პირველი ფილმი აუცილებლად იქნებოდა გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, მეორეს ეგზიუპერის „პატარა უფლისწულს“ გადავიღებდი.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი...

ნინო მშვიდლობაძე: ...რომლის გმირები ჩემი მეგობრები სდებიან სიღმე. მიყვარს მწერალი, რომლის ფრაზები ამეკვიატება მუდამ; რომლის ნაწარმოების წაკითხვის პერე ვიზრდები მორალურად, ფსიქოლოგიურად, აზროვნებით.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორიც მინდა ვიყო...

ნინო მშვიდლობაძე: ვთვლი, რომ საკმაოდ კარგი მკითხველი ვარ... კარგი მკითხველი კი, ჩემი აზრით ისაა, ვინც სიტყვებს მიღმა დამაღულს

კითხულობს და სვდება; ვინც მაგალითად, იცის, რატომ უწოდა რობაქიძემ თავის რომანს „გველის პერანგი“ და არა რაიმე სხვა. მე კარგი მკითხველი ვარ, მაგრამ უკეთესი მინდა ვიყო, ანუ ჯერ კიდევ ბევრია წიგნი, რომელიც არ წამიკითხავს.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

ნინო მშვიდლობაძე: ველოდი ამ შეკითხვას. როცა პირველად გურამ დოჩანაშვილის ეს ნაწარმოები წავიკითხე, თავი ვასიკო კეჟერაძე მეგონა. მგავს, უფრო სწორად, გვაგვარ. აი, რაც შეეხება „კარცერ ლუქსის“, ვისურვებდი, რომ ეს რეალობა იყოს და ზოგიერთი ანალოგურად მოვათავსოთ სოლიდურ კარცერში. ზოგს ერთი დღე ეყოფა, მაგრამ ზოგიერთისთვის მთელი ცხოვრებაც არ იქნება საკმარისი. დღეს რომ ვუყურებ, როგორ არ უყვარს კითხვა ანალოგურდობას, სურვილი მიჩნდება „კარცერ ლუქსის“ მოვათავსოთ თითოეული მათგანი, ოღონდ მართლა.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნინო მშვიდლობაძე: პირველ კითხვაზე საკუთარი ლექსით გიპასუხებთ, რომელიც ჩემს გამწრდელ ბებოს მიგუძღვინა:

განსოვს?
ოდესღაც ყვავილები რომ მომიქარგე მუღინის ძაფით...
დადარაჯებული რომ გიცდიდი, როდის დაასრულებდი ჩემს საჩუქარს...
რა მესმოდა მაშინ, პატარას, რომ ქარგვას დიდი რუდუნება სჭირდება, ბებო...
რამდენი დრო გასულა თურმე...
რა ძნელად ვქარგე ჩემი ცხოვრება გრილი თითებით,
ტკივილით ვქარგე...
ჯერ არც მე ვიცი რა გამოვა...
არადა, მსურდა მზე მომიქარვა...
კითხვაც, რომელსაც სშირად ვუსვამ საკუთარ თავს და არ ვიცი პასუხი, ესაა: რა გამოვა?

ვცდილობ, რომ შეცდომები ნაკლებად დაგუშვა, მაგრამ არ გამოდის. ადამიანი ვარ მთელი ადამიანური გამოვლინებებით (:)), ასე რომ, დაზღვეული ნამდვილად არ ვარ. მინდა, რასაც ვაკეთებ, მაქსიმალურად კარგი გამოვიდეს. ვნახოთ.

რაც შეეხება კითხვას, რომლის პასუხი ზუსტად ვიცი, ეს განლაგო:

ვინა ვარ? ზუსტად ვიცი, რომ ვარ ადამიანი უპირველესად. მაქვს საკუთარი ფიქრები, ემოციები, განცდები, მაქვს სამყარო, სადაც ყველა ფერი დომინირებს. ვარ ის, ვისაც სიჭრელე არ უყვარს, სამაგიეროდ უყვარს სიფერადე. ის, ვისთვისაც თავისუფლება გონების ბატონობაა სურვილებზე და არა პირიქით, პირიქით რომ იყოს, ზნედაცემულობაა უკვე. ზუსტად ვიცი, რომ ვარ 35 წლის, რომ მიყვარს, რომ ვსუნთქავ, რომ ვბობოქრობ და არის წუთები, როცა ვბრაზობ კიდევ. ფეთქებადი, ჯიუტი, თავნება ქალი, რომელიც ვერა და ვერ გამოვიდა ბავშვობის ასაკიდან და პრინციპში, არც სურს გამოვიდეს.

გაგრძელება რთული არაა, მაგრამ შორს წაგვიყვანს. ასე რომ, ჯერ-ჯერობით საკმარისია.

თუმცა ძალიან მარტივადაც შეიძლება კითხვაზე: ვინ ვარ? პასუხი გავცე:

მე ნინიკო მშვიდობაჲე ვარ. ეგაა და ეგ.

გიორგი კილაძე: ჩვენს ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თორნიკე გელაშვილი: დავბადე 1995 წლის 6 აგვისტოს ქ. რუსთავში. ვსწავლობ ამავე ქალაქის მე-6 საჯარო სკოლის მე-11 კლასში. ლიტერატურული მისწრაფებები 15 წლის ასაკში გამოვლინდა, როდესაც დავწერე ჩემი პირველი (მცირე) მოთხრობა „ნალგლიანი მზე“, რამაც მიბიძგა შემდგომი არაერთი ლექსისა თუ მოთხრობის წერისკენ. განსაკუთრებული მიღწევები (ჯერჯერობით) არ მაქვს. მიყვარს კითხვა, წერა. დღის ყველაზე მეტ დროს კომპიუტერთან და წიგნთან ვატარებ. მსურს გამოვიდე წარმატებული ჟურნალისტი.

მყავს მშობლები და ორი და.

გიორგი კილაძე: თორნიკე, „მწერლისთვის (და ზოგადად ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

თორნიკე გელაშვილი: ვარკვეულწილად ვეთანხმები, რადგან მწერლისთვის მხოლოდ აწყობა და მომავალი უნდა არსებობდეს და საზოგადოებას ახალ-ახალი საინტერესო ნაწარმოებებით უნდა შეაყვაროს თავი; თუმცა არსებობენ ისეთი მწერლები, რომელთაც შემოქმედებითი წარსულით უფრო დიდი კვალი დატოვეს საზოგადოებაში, ვიდრე მომავალში დატოვებდნენ.

გიორგი კილაძე: ლექსებსაც წერ და მოთხრობებსაც. პოეზიით დაიწყე თუ პროზით? მწერალი თეონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში – ფინალს. თქვენთან როგორია საქმე?

თორნიკე გელაშვილი: წერა პროზით დავიწყე. ახლაც ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პირველი (მცირე) მოთხრობა „ნალგლიანი მზე“. ძალიან საინტერესოა თეონა დოღენჯაშვილისა და გიორგი კეკელიძის დამოკიდებულება, მაგრამ ჩემთან სხვაგვარადაა საქმე. მე მთლიან ჩემს ნაშრომს ვანიჭებ მნიშვნელობას.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? თქვენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

თორნიკე გელაშვილი: ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდობამ დაიწყო წერა (მიუხედავად იმისა, გამოხდის თუ არა). ქართველი პროზაიკოსები (პო-

ეტები) ძირითადად იმაზე წერენ, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ. მე ყველა საინტერესო ნაწარმოებს დიდი სიამოვნებით დაველოდები.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტურია, სწირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

თორნიკე გელაშვილი: მართლაც მოიმატა ქალების რიცხვმა ქართულ პროზასა თუ პოეზიაში. ისინი ძირითადად ქალურ თემებზე წერენ (იცინის), რაც სწირად მამაკაცურზე თამამიც გამოდის.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

თორნიკე გელაშვილი: კი, არსებობს, თან საკმაოდ ბევრი. საერთოდაც, ამ ბოლო დროს ახალბედა მწერლებში ჩამოყალიბდა ის მოსაზრება, რომ რაც უფრო მეტ უცენსურო და არაადეკვატურ თემებს მოიყვანენ ნაწარმოებში, მით უფრო რეიტინგული გახდები ამით რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები.

გიორგი კილაძე: „ებლიტფო“ ლიტსივრცის ნაწილია. ისაუბრეთ...

თორნიკე გელაშვილი: „ებლიტფო“ შესანიშნავი ნაწილია ლიტერატურული სივრცისა.

გიორგი კილაძე: მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გაგისხენო, რომელშიც იგი ამბობს: „არც პოეზია და პროზა არ მომკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა, ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ — მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტებმა აიღეს, მორალური საკითხები — ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და, უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თხრობა... კითხვას არ დაგისვამთ, უბრალოდ, კომენტარს გთხოვთ...“

თორნიკე გელაშვილი: სწორი უთქვამს დავით ქართველიშვილს.

გიორგი კილაძე: ბინდაბინ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

აქვე გკითხავ: მანტიერებს, როგორია შენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლი თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

თორნიკე გელაშვილი: რა თქმა უნდა, XXI საუკუნის ქართული პოეზია არ ჰგავს გასული საუკუნისას, მაგრამ ნამდვილად არ ვიმყოფებით უფსკრულის პირას. ჩემი ყველა ლექსი სავიზიტოა. ჩემი წერის პროცესი სრულიად გაუგებარი შეიძლება იყოს სხვისთვის, რადგან შემიძლია ნებისმიერ ადგილას დაგწერო. ლექსზე მუშაობა დასრულებულ ლექსში გამოინატება.

გიორგი კილაძე: თვლით თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“... იქნებ ყველა ლექსია ასეთი...

თორნიკე გელაშვილი: შეიძლება გარკვეული რაოდენობის იყოს, მაგრამ არა ყველა.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემაჯავს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

თორნიკე გელაშვილი: კრიტიკოსები არიან დღესდღეობით, მაგრამ არა ღირსეულები. მე ძალიან მიყვარს კრიტიკა.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ფიურის წევრობას ისურვებდით? როგორ ფიქრობთ, ძნელი იქნება?

თორნიკე გელაშვილი: ყველაზე მეტად ლიტერატურული კონკურსი „საბა“ მომწონს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე ობიექტურია. ფიურის წევრობას ნამდვილად არ ვისურვებდი, მაგრამ შემიძლია გითხრა, რომ ეს მართლაც ძალიან ძნელი იქნებოდა.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება... ხარისხი მოგწონთ?

თორნიკე გელაშვილი: არა (!)

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაბრუნება არ ვიფიქრიათ?

თორნიკე გელაშვილი: ძალიან ცუდად არის საგამომცემლო საქმე. რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე გამომცემლობა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვთქვა, მაგრამ წიგნების ხარისხი მოიკოჭლებს ამ შემთხვევაში.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდი?

თორნიკე გელაშვილი: ძალიან საინტერესო იქნებოდა „კეფისისტყაოსნის“ კინოვერსია (ილიმის).

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

თორნიკე გელაშვილი: რეალიზმის მიმდევარია.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორც მინდა ვიყო...

თორნიკე გელაშვილი: ჯანმრთელობის გამო დიდხანს ვერ ვწერდები წიგნთან და ალბათ, სწორედ ესაა მთავარი მიზეზი, რის გამოც არ ვარ ისეთი მკითხველი, როგორც მინდა – ვიყო.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილ კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

თორნიკე გელაშვილი: იძულებითი არაფერი ვარგა, რა თქმა უნდა. წიგნის სიყვარული პატარაობიდანვე უნდა შთაუნერგონ მშობლებმა შეიღს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

თორნიკე გელაშვილი: ყველაზე ხშირად ჩემს თავს ვეკითხები: „რატომ?“ მაგრამ მისი პასუხი ვერ გამიგია. მე მხოლოდ ჯერარდასმული კითხვების პასუხები ვიცი ზუსტად.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ელვა, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... დარწმუნებული ვარ, თქვენც წერთ, ამიტომ ტრადიციულ კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ელვა ფოლადაშვილი: ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ „ჩემი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა“. ვწუხვარ, თუ ასეთები არსებობენ და მე მათ არ ვიცნობ.

რაც შეეხება ჩემს „ლიტერატურულ და არა მხოლოდ ლიტერატურულ“ ბიოგრაფიას: დავიბადე 1971 წელს. დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ვეწევი პუბლიცისტურ მთავრეობას. ვარ ათასზე მეტი საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი, რადიოწამყვანი.

ახლანანს გამოვეცი წიგნი სახელწოდებით „წერილები საქართველოს“.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ელვა, ქართლელი ხართ, ქართლსა და ქართლებზე მომიყვით...

ელვა ფოლადაშვილი: მე ერთი „ებრაული“ თვისება მაქვს: როცა კუთხურ წარმომავლობაზე მეკითხებიან, ყოველთვის ვაკონკრეტებ, რომ მამით ქართლელი ვარ და დედით — ფშაველი. სწორად ხუმრობით იმასაც დაუძენ, რომ ჩემმა წინაპრებმა გვირბინეს იქით საქართველოს არსებობის შესახებ ეტყობა არ იცოდნენ და ეს „არცოდნა“ ჩემს პიროვნულ თვისებებზე თვალსაჩინოდ აისახა.

რაც შეეხება დედით ფშაველობის საზგასმას: ჯერ ერთი, გენეტიკურად ფშაურ ნასიათს არანაკლებ ვგრძნობ, ვიდრე ქართლულს; ხოლო მეორე და უმთავრესი ის განლაგა, რომ ჩემი აზრით, ნებისმიერ ადამიანს ეტყობა, როგორ ფასეულობებზე აღწრდილი დედის გაზრდილია.

ქართლიდან, ანუ მამის მხრიდან გენეტიკურ მეშვეობად მერგო: თვითდაჯერებულობა, ბრძოლისუნარიანობა, ქედმაღლობა (რომელიც, სამწუხაროდ და არცთუ იშვიათად, ამპარტავნებაშიც გადაქცევა), სიამაყე და სიკერბე.

დედით, ანუ ფშაური მაქვს: ყოველგვარი იერარქიულის არცნობა და უარყოფა (მთას არასოდეს ჰყოლია ბატონი, ხოლო ხევისბერს მისი გონებრივი და სულიერი შესაძლებლობებით ირჩევდნენ და არა მეშვეობით ან ცხვარ-ძროხის სიმრავლით), სამართლიანობა, ღვთისმოშიშეობა, ზნეობა, ბუნებისა და ლიტერატურის სიყვარული.

ერთი სიტყვით, ერთმანეთის მიმართ საკმაოდ ანტაგონისტურ გენეტიკას ვატარებ, თუმცა ეს დისკომფორტსა და დისბალანსს არ მიქმნის. პირიქით, მაძლევს საშუალებას – ცხოვრებისგან შემოთავაზებულ მრავალფეროვნებას ასევე მრავალფეროვანი პოზიციიდან ვუპასუხო.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვით, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი?

ელგა ფოლადაშვილი: ნამდვილად ვერ გეტყვით. პირადად მე თითქმის ოცწლიანი პრაქტიკა მაქვს ჟურნალისტობისა და გამუდმებით მაწუნებს იმის განცდა, რომ გაცილებით მეტი დრო გავფლანგე თუნდაც ყოველდღიურად (ანუ 24 საათში), ვიდრე რაციონალურად და ნაყოფიერად გამოვიყენე.

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დაგუბრუნდეთ. რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? თქვენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე მეტად და რატომ?

ელგა ფოლადაშვილი: არ მსურს ამ კონკრეტულ შემთხვევაში კრიტიკოსის ამბლუაში აღმოვჩნდე. არადა, თქვენი კითხვა სხვაგვარად გულწრფელი პასუხის გაცემის საშუალებას არ მაძლევს. ამიტომ თქვენი ნებართვით, ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ.

პასუხის არგაცემაც ერთგვარი პასუხია.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებმელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტურია, სშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ელგა ფოლადაშვილი: რიცხვი უდავოდ გაიზარდა, ხარისხი – სადავოა. ზოგადად, ლიტერატურისა და ლიტერატურული ჟანრების „სქესებად“ დაყოფა ჩემთვის მიუღებელია. მე წამიკითხავს მამაკაცის მიერ ვადმოცემული ქალის განცდები, რომლის ბადალიც ქალს არ შეუქმნია, და წამიკითხავს პირიქითაც.

შორს ვდგავარ ყოველგვარი ფემინისტური აზროვნებისგან როგორც ყოფაში, ისე ლიტერატურაში და ხელოვნებაში.

სიძარტლე გითხრათ, თვით საკუთარი გადაჭარბებული დამოუკიდებლობა და უამრავი მამაკაცური უნარისა თუ ჩვევის შექმნა ნამდვილად არ მახარებს და არც თვითდაჯერებულობას მმატებს. ქალი მხოლოდ მაშინაა თვითდაჯერებული, როცა ქალურ საწყისებზე დგას და არა მაშინ, როცა მამაკაცისას თვისებს საკუთარის დაკარგვის ხარჯზე. ორივე ერთად არათავსებადია. ასეთები შეგვქმნა უფალმა და ვერანაირი ლიტერატურა (თუნდაც ვინმესთვის სენსაციური და გენიალური) ამ პრინციპს ვერ შეცვლის.

ჩემთვისაც სწორად უთქვამთ, რომ მამაკაცური სიმტკიცის მქონე ხელწერა მაქვს, მაგრამ მე ეს კომპლიმენტად არახდროს მიმიღია, გამიღიმიდა და მითქვამს, რომ ისინი ქალებს კარგად არ იცნობენ.

ზოგადად ნიჭი, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გამოვლენილი, არ გახლავთ მხოლოდ მამაკაცის ნიშან-თვისება, არც ქალისა. იგი ადამიანური თვისებაა, რომლის გამოვლენაც (მტკიცე იქნება იგი თუ სინაზით სულის შემარნეველი) შემოქმედი ადამიანის პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული და არა მის სქესზე.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ელგა ფოლადაშვილი: ასეთი ანუ აკრძალული თემები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს, და (რადგან იდეოლოგობა მეტისმეტია საოცნებოდაც კი) „ცენზორის“ უფლება რომ მქონდეს, ბევრს აუცილებლად აკრძალავდა.

აზრის გამონატვის თავისუფლება ყველას აქვს, მაგრამ თავზე მოსკევისა – არავის!..

მით უფრო, როცა ტირაჟირებისა და პრობაგანდის გავლენისაგან არ არის დაცული თაობა, რომელსაც ჯერ არც ლიტერატურული გემოვნება და არც ცნობისეული ფასეულობათა სისტემა არ აქვს ჩამოყალიბებული.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ელგა, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „აქურნალისტიის მონოლოგს“ როდის დაგვიწერო?

ელგა ფოლადაშვილი: სიძარტლე გითხრათ, ამ ფორუმის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ ვაკვირე, რაც ინტერვიუსთვის მომმართეთ. ზოგადი წარმოდგენა, რომელიც ზედაპირული გადახედვით შემექმნა, დადებითია. ერთი რამ ახლავს შემიძლია გითხრათ – მონდომება და სურვილი არ გაკლიათ. ეს ცოტა ნამდვილად არაა; დანარჩენს უკეთ გაცნობის შემდეგ გეტყვით.

რაც შეეხება აქურნალისტიის მონოლოგს: აქურნალისტი, რომელიც ყოველი სტატიის დაწერის წინ ასეთ „მონოლოგს“ არ წერს საკუთარ

თავში და ფიქრში, ის ჟურნალისტი არაა... და ვერც ვერასდროს შექმნის რაიმე ღირებულს ჟურნალისტიკაში.

გიორგი კილაძე: მწერალ დაგით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავიხსენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და პროზა არ მომეკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ: მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტიკაში აიღეს, მორალური საკითხები – ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თსრობა... კითხვას არ დაგ-ისვამთ – უბრალოდ, კომენტარს გთხოვთ...“

ელგა ფოლადაშვილი: შეფასება რეალურია, თუმცა გაუგებარია, რატომ უნდა შეეგუოს მწერალი ამ „ფუნქციების დანაწევრებას“ და რატომ უნდა იგრძნოს თავი „განთავისუფლებულად“ იმისგან, რის გარეშეც მწერლად ვერ შესდგება და ვერც ფასეულს შექმნის?..

არც ის მესმის, რაში უშლის მწერალს ხელს ის გარემოება, რომ „სოციალური საკითხები ჟურნალისტიკაში აიღეს, მორალური საკითხები – ფილოსოფოსებმა“?.. ჟურნალისტიკისთვის პენსიის დროულად არდარი-გება ან მაწანწალა ბავშვების თემა მხოლოდ ნიუსია, მწერლისთვის კი – დრამა. თუ მწერალს დრამის აღწერა არ შეუძლია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ისევ მის უნიჭობაზე მიუთითებს და არა თემის არქონაზე ან იმაზე, რომ ჟურნალისტიკაში მწერლებს თემა წაართვის და „დაისაკუთრეს“.

უფრო მეტის თქმა შეიძლება მორალზე: ნებისმიერი ნაწარმოები რაღაც კონკრეტულ ან ზოგადმორალურ პრინციპზეა აგებული. არა მგონია, კაცობრიობის ისტორიამ იმაზე დიდი მორალისტური ნაწარმოები შექმნას, ვიდრე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია არც ილიას და არც ვაჟას შემოქმედებისთვის, მათსავე ეპოქაში (ანუ შვიდი საუკუნის შემდეგ) მორალისტების ფუნქციაც შეეთვისებინათ...

ასე რომ, ნიჭის, მორალისა და სამოქალაქო აზროვნების დეფიციტს (რაც დღეს ქართულ მწერლობაშია) პირადად მე (როგორც მკითხველი) ვერაფერს გადავაბრალე, მით უფრო, ფილოსოფოსებს.

სიმართლე გითხრათ, ეს ტერმინი განსაკუთრებულს არაფერს მეუბნება, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტს ნამდვილად არა, რასაც მწერალს მორალის ჯერ საკუთარ თავში არსებობა და შემდეგ პროპაგანდა უნდა ავადლებულელებს.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართული პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ელვა ფოლადაშვილი: ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობ, პასუხი უკვე გავცით.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ელვა ფოლადაშვილი: ფაქტია, კრიტიკაც ზუსტად ისეთი გვაქვს, როგორიც მწერლობა.

პარადოქსია – მწერალს ყოველ ფენის ნაბიჯზე შეხვედები, კრიტიკოსს – იშვიათად.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად თბიქტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდით? როგორ ფიქრობთ, ძნელი იქნება?

ელვა ფოლადაშვილი: შორს ვდგავარ ყოველგვარი კონკურსების, ნომინაციებისა და ჯილდოებისგან. ამ სკეპტიკური განწყობის დასაძლევად ცნობრებაში მსოლიად ერთხელ მივიღე ერთ-ერთ ლიტკონკურსში და ერთ ჟურნალისტურ ნომინაციაში მონაწილეობა. ორივეჯერ ამჯერად უკვე ფაქტით დავრწმუნდი, რომ ჩემი ნიჰილიზში საფუძველს არ იყო მოკლებული არა იმიტომ, რომ მე არ ამირჩიეს, – მსოლიად იმის გათვალისწინებით, თუ ვინ და რა აირჩიეს.

ლიტკონკურსის ფიურის წევრობაზე ნამდვილად არ მიფიქრია. დამაფიქრა თქვენმა კითხვამ, ვიფიქრებ შემოთავაზებამდე.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება. ხარისხი მოგწონთ?

ელვა ფოლადაშვილი: ნაწარმოების თარგმნისთვის უცხო ენის სრულყოფილი ცოდნა საკმარისი არაა. პირველ რიგში, ის ნაწარმოები უნდა იცოდე (ანუ გრძნობდე და გათავისებული გქონდეს), რომელსაც თარგმნი.

ჩემთვის კარგი მთარგმნელი ორჯერ აღებულ კარგ მწერალს უდრის.

სამწუნაროდ, მშობლიურის გარდა არც ერთ ენას არ ვფლობ სრულყოფილად და ოცნება, მარკესი ორიგინალში წამეკითხა, დღემდე ოცნებად დამრჩა...

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე: რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ ვიფიქრიათ?

ელგა ფოლადაშვილი: არ მიფიქრია, რადგან ისეთ ლიტერატურულ გაზეთსა თუ ჟურნალს, როგორსაც სიამოვნებით გამოვცემდი, ქართულ „ლიტბაზართან“ არანაირი საერთო და კავშირი არ ექნებოდა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

ელგა ფოლადაშვილი: თუ არ ჩამქოლაგდნენ და საქართველოში აღმოჩნდებოდა ასეთი ნიჭის მქონე კინოსცენარისტი – ჭილაძის „რკინის თეატრს“ და დოჩანაშვილის „სამოსელ პირველს“ გაგაერთიანებდი.

თუ ოცნებაა, ოცნება იყოს... ცალ-ცალკე არამც და არამც.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ მიყვარს მწერალი, რომელიც...

ელგა ფოლადაშვილი: მე მიყვარს მწერალი, რომელიც პირველ რიგში არის თავისი ქვეყნისა და ეპოქის შვილი, საზოგადო მოღვაწე და მორალისტი (რასაკვირველია, არა პირდაპირი გაგებითა და ქადაგებით);

რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი მისია და ამ მისიას კაცთაგან მიღებულ ჯილდოდ კი არა, უფლისგან დადებულ ჯვრად ატარებს;

მწერალი, რომელმაც ზუსტად იცის და რომელიც ზუსტად გრძნობს, სად, დედამიწის რომელ წერტილში უნდა დადგეს საიმისოდ, რომ გულწრფელად, მიწისა და ზეცისთვის სასარგებლოდ თქვას თავისი სათქმელი.

გაუასთვის ასეთი მთა იყო, ილიასთვის – საგურამო და ტფილისი.

„შგლის ნუკრის ნაამბობი“ მთვარის შუქზე უნდა დაწერილიყო, სურჯინით უნდა ჩამოეტანა ფიბიტაურით შემთვრალ ვაჟას ქალაქამდე... „თარაანთ ქვრივი“ თავადურ საგარძელში დაბრძანებულ, ევროპულ სამოსში გამოწვევილი ილიას უნდა დაეწერა...

თანამედროვე მწერალი კომპიუტერში წერს, მაგრამ არ უნდა წერდეს კომპიუტერისთვის!

როცა მწერალი ვერ გრძნობს დროსა და განზომილებას, რომელშიც ის იმყოფება; როცა მწერალს ავიწყდება, რომ მისი უმთავრესი საზრუნავი და საფიქრალი ადამიანია და პირველ რიგში ადამიანებისთვის უნდა წერდეს, მაშინ ის ან „შემოქმედებით ანანისტად“ ყალიბდება ან ავანტიურისტად, და ნიჭიც ამ შემთხვევაში მხოლოდ „დამამძიმებელ გარემობად“ შეიძლება ექცეს...

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორც მინდა ვიყო...

ელვა ფოლადაშვილი: ვფიქრობ, ვარ მკითხველი, რომელიც გაცილებით ადრე ვრძნობს სიყალბეს, ვიდრე ამას გონებით იაზრებს. არასდროს წამიკითხავს ნაწარმოები მსოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო, მით უფრო, არ გადამიფურცლავს და წიგნის დასრულებამდე არ წამიკითხავს ფინალი.

ბირველი სამი ფურცლის შემდეგ უკვე ვიცი, ბოლომდე ვკითხულობ თუ უკანასკნელად მიჭირავს ხელში; გვერდით გადამიდვია არაერთი კლასიკოსის აღიარებული ნაწარმოებიც ფიქრით – „ამის წაკითხვის დრო არ დამდგარა, ან არც არასდროს დადგება“.

არანაირ უხერხულობას არ მიქმნის და შესაბამისად, არასდროს მიჭირს იმის აღიარება, რომ, საყოველთაოდ აღიარებულ-ატაცებული ნაწარმოების შესახებ ან საერთოდ არ მსმენია, ან არ წამიკითხავს, ან სულაც არ მომწონებია.

რა დროსაც არ უნდა მკითხოთ, გეტყვით, რომ უკანასკნელად წავიკითხე ეგზოპერის „პატარა უფლისწული“. ჩვევად მაქვს – ნებისმიერ ახლად წაკითხულ წიგნს „დესერტად“ ვაყოფებ.

მასთან ერთად გავიზარდე. სხვაობა მსოლოდ ისაა, რომ მე ორმოც წელს მიუუახლოვდი, ის – ისევ „პატარა უფლისწულად“ დარჩა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მტყყვით?

ელვა ფოლადაშვილი: სიყვარული და იძულება ძალიან არათავსებადად მეჩვენება. თუმცა გააჩნია ადამიანს: ზოგზე იძულება დადებითად მოქმედებს, მით უფრო ბავშვობაში. ჩემზე, რაც თავი მახსოვს, უარყოფით გავლენას ახდენდა და ახდენს. არათუ წიგნის წაკითხვა, ვინმემ სიცოცხლე რომ დამაძალოს, დარწმუნებული ვარ, სიკვდილი მომინდება; თუმცა რჩევებს ყოველთვის ვიღებ და მაღლიერიც ვარ ყველა იმ მეგობრისა, რომელთა რჩევითაც არაერთი საინტერესო და სასარგებლო წიგნი წამიკითხავს.

რაც შეეხება კაცს, „რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, მე ვფიქრობ, რომ „კარცერ ლუქსიც“ ისევ და ისევ ლიტერატურის მოყვარულთათვისაა განკუთვნილი, ანუ ადამიანი გერასდროს გაიგებს „წაუკითხავი წიგნის ბედნიერებას“, თუ ლიტერატურა არ უყვარს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი წუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა)?

ელგა ფოლადაშვილი: მიყვარს გამოთქმა „წუსტად ვიცი“, ხშირად ვსარგებლობ კიდეც ამ ფრაზით, მაგრამ ლიტერატურასთან მიმართებით მაინც სიფრთხილეს გამოვიჩენ. ლიტერატურა წუსტი მეცნიერება არაა, აქსიომასავეთ დანამდვილებით და ბეჯითად ამტკიცო რაღაც. გონების არაა მსოლოდ, სულისმიერიცაა, უსასრულო და უკიდევანო; უსასრულოში კი ყოველთვის არის რაღაც ისეთი, თვალისა და გონების მიღმა რომ რჩება ადამიანს.

ერთადერთი, რაც დანამდვილებითა და დაწუსტებით შემიძლია ვითხრაო, პასუხია იმაზე, რაც თქვენმა კითხვამ ლოგიკური ქვეკითხვის სახით გამიჩინა – რა იქნებოდა ჩემი ცნოვრება ყველა იმ წიგნის, ზღაპრის, ლეგენდის, რომანის, მოთხრობის, ნოველის, პოემისა თუ ლექსის გარეშე, რაც აქამდე წამიკითხავს?.. რა იქნებოდა ჩემი ცნოვრება იმ ყველაფრის გარეშე, რაც აქამდე თავად დამიწერია?..

„და იმ კატეგორიული, მკაცრი და კრიტიკული ადამიანისგან, რომელსაც მთელი ინტერვიუს განმავლობაში თვითდაჯერებულობა არ აკლდა, საკუთარი თავის სახით ხელში ერთი უსუსური და შეშინებული არსება შემჩნა“, რომელსაც შეეშინდა, ძალიან შეეშინდა იმ დიდი სიცარიელისა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემამ რომ დაანახვა.

გიორგი კილაქი: ქეთი, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ქეთი სოსიტაშვილი: ჩემი ავტობიოგრაფია დაოჯახებასთან ერთად დასრულდა, აწი ბიოგრაფიის დროა. ეს სუპრობით, ისე კი ბედნიერი ვარ, რომ ძალიან ბევრი ლამაზი და ბობოქარი წელი მქონდა. მაღე 34 წლის ვნდები და მიხარია, ამდენი მოვასწარი. სიტყვა მწერალი და პოეტი მე ნაკლებად შექეფერება: პროფესიით, სისხლით და სოცით ჟურნალისტი ვარ, ვმუშაობ 1993 წლიდან (მაშინ საქართველოში სულ რაღაც 4-5 გაზეთი გამოდიოდა: „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „სოფლის ცხოვრება“ და მგონი „დრონი“), ანუ „ქვეის ხანის ვარ“, ასე გამოდის. ჟურნალისტიკაში 15 წლის ასაკში მოვსვდი და ეს არაჩვეულებრივი აღამიანის – თამარ შაიშვილაშვილის დამსახურებაა. ის ლიცეუმში პუბლიცისტკას მასწავლიდა, ჩემი თავისუფალი თემები მოეწონა და პრაქტიკანტად გაზეთში მიმიწვია, სადაც თვითონაც მუშაობდა...

მერე იყო გაზეთი „7 დღე“. იქ ბევრი რამ მასწავლეს და არაჩვეულებრივი მეგობრები შევიძინე. პარალელურად „მწვანეთა მოძრაობის“ აქტიური წევრი ვიყავი და ეკოლოგიურ პრობლემებზე ვმუშაობდი... მერე იყო ტელერადიომაუწყებლობა „ევრიკა“, ტელეკომპანია „იბერია“, სადაც მრავალი წელი ვიმუშავე. იქიდან სახელმწიფო ტელევიზიაში გადავედი – გაერთიანება „მოამბეში“ თითქმის 3 წელი ვიმუშავე. სხვადასხვა დროს გწერდი არაერთ გაზეთში, მაგრამ ტელევიზიას მაინც სხვა ნიბლი აქვს, – ერთხელ თუ „გადავისამქენ სისხლს“, მერე ძალიან ძნელია „განიკურნო“... მქონდა ცოცხალი სამუშაო. რამდენადაც კრიმინალისა და კონფლიქტების თემებზე ვმუშაობდი, სისტემატურად დაგდიოდი პანკისისა და კოდორის ნეობებში, ე.წ. სამსრეთ ოსეთში; ვურთიერთობდი ჩეჩნებთან, ყაჩაღებთან, ძებნილებთან... მოკლედ, იმ კატეგორიასთან, ვისგანაც ექსკლუზიური მასალების მოპოვება შეიძლებოდა. ვამაყობ, რომ ბევრი ასეთი რეპორტაჟის ავტორი ვარ, თუმცა დროს თავისი მოაქვს (თუ მიაქვს). დღეს ეს სიუჟეტები მარტო ჩემს ოჯახსა და მეგობრებს თუ ანსოვთ... კონფლიქტურ ზონებში უამრავი თავგადასავალი გადამხდა – სადაც ტყვიას ისროდნენ, იქ ვიყავი... საშინელი დრო იყო! უსუსურობისა და არასტაბილურობის განცდა გექონდა ყველას!

ჩემს მსრებზე გადაიარა „ვარდების რევოლუციამაც“. სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტებს გაღიზიანებული მოსახლეობა შეურაცხყოფას სისტემატურად ვაყენებდა. ეს დრო ძალიან მტკივნეულად მას-

სენდებ! რეკოლეუციურ პროცესებს არც აჭარაში ჩამოვრჩი. ყველაზე კრიტიკულ დღეებში იქ მომიწია მუშაობა; პირველი სიდიის აფეთქება ჩემი გადაღებულისა, გიორგი აბაშიძემ გაქცევამდე ბოლო ინტერვიუ მომცა. მე ვიყავი პირველი ჟურნალისტი, ვისაც ახალი, რეფორმატორი ხელისუფლების მხარეს გადასულმა ჯარმა პირველი ინტერვიუ მომცა, ასლანის გაქცევის შემდეგ ბათუმში პირველად შესული ზურაბ შვანიას ავტომანქანაში ვიჯექი... როცა ეს ყველაფერი დასრულდა, მანსოვს ტროტუარზე დავჯექი დაძაბული, ნაცემი, გადაღლილი და ცხარე ცრემლით ვიტირე! არ მჯეროდა, ამ რთულ დღეებს თუ გადავიტანდი!

აქტიურ ჟურნალისტიკას აქ გამოვემშვიდობე. შემდეგი წლები არანაკლებ საინტერესო იყო; მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განვაგრძე, სადაც პოპულარულ პროექტ „პატრულს“ 3 წლის განმავლობაში ვამზადებდი (ვიყავი პროექტის მთავარი პროდიუსერი).

ადამიანის ცნობრებაში დგება ის ეტაპიც, როდესაც გინდა ყველაფერი ერთად შეცვალო! მრავალწლიანი ბობოქარი წლების შემდეგ სწორედ ეს დამემართა, ვადავწყვიტე სამსახური და ქალაქი შემეცვალა. საინტერესო შემოთავაზებაზე უარი არ ვთქვი, საცნობრებლად და სამუშაოდ ბათუმში გადავედი. მოკლედ, მომდევნო წელიწადნახევარი ბათუმში ვიცნობრე, ვმუშაობდი აჭარის ტელევიზიის სამხატვრო ხელმძღვანელად და არნის მთავარ პროდიუსერად. ვადიარებ, რომ უცხო ქალაქში ცნობრება უზომოდ გამიჭირდა. თბილისის ფონზე ბათუმში ცნობრების ტემპი ძალიან დუნეა, იქ სულ წვიმს და რაგინდ უცნაურადაც მოგეჩვენოთ, არახოდეს იცი, თავისუფალი დრო რაში დანარჯო! მყავდა ერთი პატარა კატა, სახელად ბენჟამენი და ლამის თვეში ერთხელ ვიცვლიდი სახლებს... მოკლედ, დავიღალე!

ბათუმმა მაინც ბევრი კარგი დამიტოვა; შევიძინე მეგობრები, მივხვდი მართლაც ცნობრების სიაბტკბილობას, ბევრი დრო მრჩებოდა ფიქრისა და წერისთვის... ბოლოს და ბოლოს, ბათუმი ის ქალაქია, სადაც ჩემს მომავალ მეუღლეს შევხვდი!

ამჟამად უკვე 2 შვილის დედა ვარ. მყავს 3 წლის ელენე და 8 თვის ლუკა. ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს ჩემს ოჯახთან ერთად!

მეორე წელია ვმუშაობ ტელეკომპანია „რეალ-ტვ“-ს საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერად, მაქვს დაძაბული რეჟიმი და სამწუნაროდ, შვილებს ძალიან ცოტა დროს ვუთმობ.

კარიერაზე საუბარი ძალიან გამიგრძელდა, თუმცა რა ვქნა, ამისგან შევდგები... რაც შეეხება შემოქმედებით ცნობრებას, ლექსების წერა 5 წლის ასაკიდან დავიწყე. ვწერ მაშინ, როდესაც დებრესიული პერიოდები მაქვს, ან როცა ძალიან შეყვარებული ვარ! ჩემს ცნობრებას არც ერთი

აკლდა და არც მეორე ვასაკვირიც არ არის, რომ ძალიან ბევრი ლექსი მაქვს დაწერილი, თუმცა ყველას არ ვაქვეყნებ, როგორც წესი. საკმაოდ კრიტიკული ვარ და ბევრ ლექსს ისე ვინახავ, რომ არავის წაუგითხავს დღემდე... ვარ ერთი წიგნის – „ფოტოშეგრძობების“ ავტორი. პროზაში თავი რამდენჯერმე მოვსინჯე, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს მცდელობა მაინცდამაინც წარმატებული არ აღმოჩნდა.

გიორგი კილაძე: ვერ დაგეთანხმები, პროზაში წარმატება რომ არ გქონდათ... ამაზე ნუ ვიკამათებთ.. დიდი ხანია თქვენი ლექსი არ წამიკითხავს, ახალს ვგულისხმობ, ბუნებრივია. მიზეზი რა არის? – შემოქმედებითი კრიზისი, უდროობა თუ ორივე ერთად?

ქეთი ხოსიტაშვილი: დაძაბულ სამუშაო რეჟიმს და ოჯახს თავისი მოაქვს... დაახლოებით 3 წელიწადი გერაფერი დავწერე – არ მეცალა! ბოლო დროს რამდენიმე ლექსი შევქმენი, ისეთები, რომელთა გამოქვეყნებასაც ალბათ ვაგებდავ, თუმცა ჯერ არსად დამიბეჭდავს.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ქეთი ხოსიტაშვილი: არ ვეთანხმები! ჩემთვის ყველა ძველი სტროფი ძალიან მნიშვნელოვანია – ეს არის ჩემი ისტორია, ჩემი მოგონება, ჩემი განცდა, ჩემი ავტობიოგრაფია... ყველა მათგანი რაღაც ამბავს უკავშირდება – ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანს და სათუთს! როგორ შეიძლება რომელიმე ჩემი ნაწერის მიმართ გულგრილი ვიყო! თუმცა, თუკი შემოქმედებითი კუთხით შეგნედავთ, ხელოვანი მუდამ უნდა ფიქრობდეს ზრდასა და დახვეწაზე, ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერდეს!

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი?

ქეთი ხოსიტაშვილი: დრო! ეს ჩემი პროფესიის ადამიანისთვის ყველაზე ფასეულია! სულ ვფიქრობ, როგორმე შევამცირო ძილის საათები და ის უქმად არ დავკარგო! ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები! სწორად ხდება, რომ ერთი წამიც კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მან შეიძლება ადამიანის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალოს! დრო ყველაფერია!

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დავუბრუნდეთ, ქალბატონო ქეთი. პოეტის ბრძანდებით და პროზაიკოსიც. პოეზიით დაიწყეთ თუ პროზით?

მწერალი თონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში — ფინალს. თქვენთან როგორია საქმე?

ქეთი ხოსიტაშვილი: მე კრიტიკული ვარ თანამედროვე პროზაიკოსების მიმართ, თუმცა ეს არ ენება თონას, რომელიც ჩემი მეგობარი და არაჩვეულებრივი ადამიანია! შეიძლება ითქვას, რომ ჩემი თაობის პროზაიკოსებს შორის ის ყველაზე გამორჩეული და ღრმაა! მე ვიზიარებ პირველ წინადადებასთან დაკავშირებულ მის მოსაზრებას, ისევე როგორც კეკელიძის პოზიციას.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში „აკრძალული თემები“ ქართულში?

ქეთი ხოსიტაშვილი: მივიჩნევ, რომ თანამედროვე ლიტერატურა იმდენად გახსნილია (შეიძლება ითქვას, ლუსტრირებული), რომ აქ აღარაფერია აკრძალული და დამალული! ეს კარგია... ძალიან კარგი! მანსოვს, ათწლეულის წინ ასე თავისუფლად ვერაფერს გამართავდა პოეზიის საღამოებს. შეკრებები ე.წ. ანდერგრაუნდებში იმართებოდა. მეც სწორად ვიყავი მათი სტუმარი. არასდროს დამავიწყდება „ზემელზე“ ჩემი პირველი სტუმრობა ერთ-ერთი პოეტის სახლში — ვიღაცას თავისი ნახტი მოჰქონდა, ვიღაცას მუსიკალური ინსტრუმენტი ეჭირა, ვიღაც საკუთარ ლექსებს და ნოველებს ამზადებდა წასაკითხად — მერე იწყებოდა თავბრუდამსგვევი საღამო, სანთლებისა და ლამაზი მუსიკის ფონზე! ეს იყო რაღაც საიდუმლო რიტუალის მსგავსი, აქ ვსაუბრობდით აკრძალულ, კლიშედადებულ თემებზე. ძირითადად კი ის ადამიანები იკრიბებოდნენ, რომლებსაც მაშინდელ წყობაში შემოქმედებითი გასაქანი არ ჰქონდათ, იყვნენ ტაბუდადებულნი განსხვავებული მოსაზრებების გამო! ასლა ყველაფერი შეიცვალა. სწორად ვფიქრობ, დღეს რომ იყოს ასეთი აკრძალვები, თანამედროვე ქართული ლიტერატურა გაცილებით დასვეწილი იქნებოდა... მოზღვავებული პროტესტი შემოქმედებს სწორად შედეგებს აქმნევინებს!

ასლა ვისაც თუნდაც ერთი ლექსი (თუნდაც მდარე) დაუწერია, შეუძლია დაბეჭდოს, ფართო საზოგადოებამდე უმტკივნეულოდ მიიტანოს და აღიარებაც კი მოიპოვოს! თვითგამონატვის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მას თან ასლავს მინუსები — ძალიან ბევრი „ნაგავი“ გროვდება! თუმცა ვფიქრობ, დრო ყველაფერს დაახარისხებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს! გაიფილტრება ეს „ნაგავი“ აუცილებლად!

გიორგი კილაძე: ქალბატონო ქეთი, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ერთგული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „აქურნალისტის მონოლოგს“ როდის დაგვიწერთ?

ქეთი ხოსიტაშვილი: კარგად მახსოვს „ებლიტფოს“ შექმნის იდეა რომ გაჩნდა. მაშინ ამ სფეროში ღირებული ფორუმი არ არსებობდა! ერთი პერიოდი ისე მივეჩვიე, ვეღარ ვწყდებოდი... უამრავი მეგობარი შევიძინე ამ ფორუმით! ბევრი საინტერესო შემოქმედი გავიცანი! მიმაჩნია, რომ ასეთი ფორუმები უნდა არსებობდეს და რასაკვირველია, მის ავტორებს სელშეწყობა სჭირდებათ!

„აქურნალისტის მონოლოგს“ რაც შეეხება, დროს გამოვნახავ და აუცილებლად დაგიწერთ, რასაკვირველია, თუკი ეს თქვენთვის საინტერესო იქნება.

გიორგი კილაძე: რა თქმა უნდა იქნება, სულმოუთქმელად გვლით. ანლა კი პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვიან თქვენთვის საინტერესო ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავაიფიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

ქეთი ხოსიტაშვილი: ძალიან ბევრი საინტერესო ავტორი გაჩნდა, მათი გამორჩევა გამიჭირდება... გიორგი საჯაია მაინც ჩემი ფავორიტია!

რაც შეეხება ჩემს ლექსებს, ბევრი მიყვარს და ასე უცებ ვერ დავასახელებ!

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოინატრება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თველით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ქეთი ხოსიტაშვილი: გულწრფელად ვეტყვი: ადრე ვთვლიდი, რომ ლექსზე მუშაობა დანაშაული იყო! რომ ის უცვლელი სახით უნდა დამეტოვებინა, ანუ ის პირველი ემოცია არ უნდა დამეკარგა, რაც წერის დროს იბადება! ჩემი ლექსების 99 პროცენტი სწორედ ასე დაიბადა. თუმცა რაღაც პერიოდის შემდეგ გაცილებით კრიტიკული გავხდი როგორც საკუთარი თავის, ისე სხვთა შემოქმედების მიმართ. ახლა მიმაჩნია, რომ ლექსზე, ისევე როგორც პროზაულ ტექსტზე მუშაობა აუცილებელია, თუკი რასაკვირველია, თავს პოეტს უწოდებ და ჯანსაღი ამბიცია გაქვს!

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგ-

რძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შეიფასებლები?

ქეთი სოსიტაშვილი: ჩემი აზრით, ეს სფერო გარკვეულწილად „ჩა-ვარდნილია“. თუკი ვინმე ვინმეს აკრიტიკებს, უმეტესად მხოლოდ იმიტომ, რომ პირადი ანტიპათია ამოძრავებს... მე დღეს სერიოზულ კრიტიკოსს არ ვიცი, არ შემხვედრია!

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

ქეთი სოსიტაშვილი: ზოგადად, ასეთი კონკურსების მომხრე ვარ. ეს სელოვანებს დიდ სტიმულს აძლევს, თუმცა მეჩვენება, რომ სწორად კონკურსები არაობიექტურად იმართება. პოპულარულ კონკურსებში ძირითადად ერთი და იგივე ადამიანები იმარჯვებენ – ძალიან ბევრი საინტერესო ავტორი კი იჩაგრება! დაკონკრეტებისგან შიანც თავს შევიკავებ...

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოს, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

ქეთი სოსიტაშვილი: ეგ ზიუბერის „პატარა უფლისწულს“... ახლა უცებ მომინდა, თუმცა ეს ალბათ ძალიან ძნელი იქნებოდა!

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ქეთი სოსიტაშვილი: მამანსოვრდება!

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სწორად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა.

ქეთი სოსიტაშვილი: გამოვა თუ არა ოდესმე ჩემგან პროზაიკოსი? ამაზე სწორად ვფიქრობ, თუმცა პროზაულ ტექსტზე მუშაობას ლექსისგან განსხვავებით გაცილებით დიდი დრო და ცოდნა სჭირდება!

ბიორბი კილაძე - ნათია ჩხეველი

გიორგი კილაძე: ნათია, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა. ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნათია ჩხეველი: არა, ჩემი თაობის ჟურნალისტები ჯერ მხოლოდ სტაჟიორები არიან... მე კაგაკასიის მედიის სკოლის მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ჯერ არაფრის შექმნაზე არ მიფიქრია და მუზასაც არ მოუკითხავს ოლიმპოს მთიდან. ამიტომ მხოლოდ ვკითხულობ და ცოდნას ვიძენ. ყველაფერი წინ მაქვს...

გიორგი კილაძე: წარმოშობით აფხაზეთიდან ყოფილხართ, მომიყვით...

ნათია ჩხეველი: მასსოვს, როცა უფრო პატარა ვიყავი, სწორედ ვუსვამდი კითხვებს აფხაზეთზე ჩემი ოჯახის წევრებს. ბაბუა ცრემლმორეული სულ მიყვებოდა ამ ლამაზ მხარეზე და მეუბნებოდა, რომ აუცილებლად დაგბრუნდებოდი. მასთან ერთად სწორედ მიმღერია სიმღერა აფხაზეთზე. მის თვალბეჭდში ტკივილს ვხედავდი, არა მარტო ტკივილს, არამედ იმედსაც. მას ხელოვდა, რომ ჩვენ დაგბრუნდებოდი. მეც დამაჯერა...

გავიდა დრო. ეს ოცნება კი სულ ჩემთან ერთად არის დღემდე... ბაბუა კი — არა... დასაფლავების დღეს მის ოთახში შევედი და პატარა ფურცლის ნაგლეჯზე დაუწერე: „ბაბუ, ძალიან მიყვარხარ. ჩვენ აუცილებლად დაგბრუნდებით!“ ვფიქრობდი, რომ ამას წაიკითხავდა და გაუნარღებოდა.

მე მიყვარს ჩემი ლამაზი მხარე — აფხაზეთი. ვიცი, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაგბრუნდებით. არ მინდა ჩემს შვილებს, შვილიშვილებს

მასზე იმას ვუყვებოდე, რაც ბაბუამ მიაბო. მინდა მათ თავიანთი საკუთარი თვალთ იხილონ ეს მშვენიერება — სურათებში კი არ ნახონ, არამედ თავიანთი თვალთ. გულში ჩაიმარნოს მისდამი სიყვარული...

მე მჯერა — ჩვენ დაგვბრუნდებით!

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები, რატომ?

ნათია ჩხეკრიანი: მე ვერ დავეთანხმები ბატონ ბაჩოს. ჩემი აზრით, წარსული იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, როგორც აწმყო და მომავალი; შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს, განსაკუთრებით კი შემოქმედი ადამიანისთვის.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი?

ნათია ჩხეკრიანი: იყო ჟურნალისტი, არ ნიშნავს ხელში მიკროფონის ჭერას. იმისათვის, რომ მოიპოვო ინფორმაცია, დროა საჭირო. შემიძევ მისი დამუშავება, დანგვი, ფაქტების გადამოწმება და განთავსება საჭირო. ამ ყველაფერს დიდი დრო მიაქვს. ჟურნალისტებს ყველაზე საპასუხისმგებლო როლი აქვთ საზოგადოების წინაშე აღებული — მათ უნდა შეატყობინონ ახალი ამბავი, რომელიც იქნება ხანდა და ზუსტი, რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა მოახერხონ დროის უმცირეს მონაკვეთში.

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დაგვბრუნდეთ, ნათია. მწერალი ნათია დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში — ფინალს. თქვენთან როგორია საქმე?

ნათია ჩხეკრიანი: ჩემი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველ წინადადებას ანუ ლიდს სტატიის წერისას. ამ დროს ყურადღებით უნდა იყოს ჟურნალისტი, რადგან მკითხველმა უნდა გაიგოს, რაზეა მთელი სტატია ამ ერთი წინადადებით.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნათია ჩხეკრიანი: კი, არსებობს, არა მარტო ქართულში...

გიორგი კილაძე: მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმში „ებლიტფო“? რას შეცვლიდით?

ნათია ჩხენია: კი, მომწონს ძალიან. ეს ფორუმში საშუალებას გვაძლევს, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი აზრები და შევიძინოთ ბევრი მეგობარი.

გიორგი კილაძე: თვლით თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“? — იქნებ ყველა ლექსია ასეთი?

ნათია ჩხენია: შეიძლება. მე არც პირველი დამიწერია და არც ბოლო, ამიტომ გერაფერს გეტყვით.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობებში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემოფასებლები?

ნათია ჩხენია: ჯანსაღი კრიტიკა კარგია!

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად თბიქტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდით? როგორ ფიქრობთ, ძნელი იქნება?

ნათია ჩხენია: ძალიან მისარია, რომ იმართება ლიტერატურული კონკურსები. ეს მოტივაციას გაზრდის საზოგადოებაში. კი, რა თქმა უნდა, რთულია ფიურის წევრობა. მე ვფიქრობ, არ გამომივიდოდა. ისე, ვისთვის როგორ.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება... ხარისხი მოგწონსთ?

ნათია ჩხენია: რაც წავიკითხე, სიმართლე გითხრათ, არ მომეწონა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოთ, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

ნათია ჩხენია: ოჰ, ვერ ვაგაკანნიერებ. ჯერჯერობით მსოფლიო კურიოზებს ვიღებ და ხელებს...

გიორგი კილაძე: დაახრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ნათია ჩხენია: ძალიან მგრძნობიარეა. კარგად აღმიწერს და დამანახებს იმას, რასაც ხედავს თვითონ. მინდა, მისი თვალებით დავინახო მისი ნამუშევარი.

გიორგი კილაძე: დაბსრულებთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორიც მინდა ვიყო...

ნათია ჩხეკრიია: ალბათ იმიტომ, რომ წარმაცია ვარ.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიით?

ნათია ჩხეკრიია: ძალიან მიყვარს ეს ნაწარმოები... დიდი სიამოვნებით ვიცნოვრებდი „კარცერ ლუქსში“. დაწყებაა ცოტა რთული. გვეზარება კითხვა და არ გვინდა. თუმცა თუ ადამიანს კითხვას დაუაწყენიბენთ, ვთვლი, რომ მას კარგა ხანს ვერ მოგწყვეტთ. აუცილებელია ვიცოდეთ, რის მერე რა უნდა წავიკითხოთ. ბევრი წიგნის წაკითხვა არაა აუცილებელი. მთავარია, სწორად შევარჩიოთ წიგნი.

ვასიკო კეჟერაძე არის პერსონაჟი, რომელიც ყველას თავს გვაყვარებს. ძალიან საინტერესო პერსონაჟია. მე ბევრი შემსუვდრია მისნაირი ადამიანი და მათ ვაღმერთებ. ვცდილობ, დავემსგავსო, ბევრი ვისწავლო მათგან. რამდენიმე „ვასიკო კეჟერაძე“ ჩემი ლექტორია.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხს ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხს ზუსტად იცით? ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა.

ნათია ჩხეკრიია: გამოვა თუ არა ჩემგან კარგი ჟურნალისტი... ჟურნალისტი ზუსტად გამოვა, კარგი ვიქნები თუ არა, ეს უკვე შემდეგ საზოგადოებას უნდა ჰკითხოთ.

გმირები კილაძე - მარიამ წიკლაური

გიორგი კილაძე: ქალბატონო მარიამ, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა. ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მარიამ წიკლაური: ჟურნალისტად თავს ვერ ჩავთვლი. უბრალოდ, ვმუშაობ რადიოში უკვე მესამე წელია; ვწერ წერილებსაც, ხანდახან; მაქვს უნარი, ვფლობდე დიდ ინფორმაციას, მივიღო, შევაფასო და გავუზიარო სხვებს, ამიტომ კილაძეს ჟურნალისტი ვგონივარ და ნუ დაუჯერებთ. CV მოკლედ ასეთია: დავიბადე 1960 წელს თბილისში, დაგამთავრე მე-10 სკოლა, მერე უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი, მერე გავსდი ორი შვილის დედა. რთულ დროში ვიცნოვრე... ვნახე, როგორ ეომებთან საქართველოს და ართმევენ მიწა-წყალს, უკლავენ მოქალაქეებს, უწვავენ სოფლებს... ვწერ... ბავშვობიდან ვწერდი, არ ვაქვეყნებდი ბოლოს გვიან, 37 წლისამ გამოვაქვეყნე პირველად და იმის მერე აგერ, 14 წელია ვიბეჭდები. გამოვეცი წიგნები, ვმონაწილეობ სხვადასხვა საგამომცემლო პროექტებში, მაქვს რამდენიმე პრემია, ვარ კონკურსებში გამარჯვებულიც, მყავს მკითხველიც, თუმცა ბევრს საერთოდ არ სმენია ჩემი გვარი. ზოგს ვუყვარვარ და ზოგს არ ვენატები გულზე, მაგრამ ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვცოცხლობთ, ვცნოვრობთ და გვიყვარს ლიტერატურა, მეტს არაფერს. დარწმუნებული ვარ, რომ მთავარი სულ სხვა რამ არის... სულ სხვაგან, სულ სხვა განზომილებაში...

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვიოთ, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი? „ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები!“ – თქვენ კოლეგის ინტერვიუდანაა. თქვენთან როგორაა საქმე?

მარიამ წიკლაური: ჩემს დღე-ღამეში რომ 31 საათია, ეს ყველამ იცის, წელიწადში რომ სული დროა — ესეც, და სულ რომ დამატებით ორ წელს ვნატრობ, ეგეც არაფერი. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რატომ ერთი სამი არ ვარ, რამდენ საქმეს მოვასწრებდი-მეთქი, და სინამდვილეში მთის მყუდროებაში ჩამსვა სადმე და მაცხოვრა ადამიანურად... ვანა რამეს ვაკეთებ, მაგრამ მიანც სულ ვფორიაქობ... მე მგონი, ცხოვრების ბრალია.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

მარიამ წიკლაური: წარსული ცალკე არ არსებობს. წარსულიც, მომავალიც და აწმყოც და არა მარტო შენი, სხვისიც, ერთიანობაში გვქმნის იმად, რაც ვართ... და ის წარსულიც კი, საერთოდ რომ არც გვანსოვს... სწვა არ ვიცი, რას გულისხმობს ლიტერატურულ წარსულში, მე კი სულ მეჩვენება, რომ ყოველი ახლად დაწერილი უფრო მნიშვნელოვანია ადრე დაწერილზე... და საერთოდაც, ჯერ ყველაფერი საუკეთესო დასაწერი მაქვს... რატომ? იმიტომ რომ, შემოქმედი მძიებელია ბუნებით და თუ დაკმაყოფილდი არსებულთ, ზრდას წყვეტ. ეს ცუდია! უფრო ცუდია, რომ გეძალება ტკობა საკუთარი შემოქმედებით; ამას მოსდევს ამბიციაც და ათასი ცუდი რამ... სჯობს, არასდროს გახსოვდეს შენი პოეტობა, უბრალოდ, ქმნიდე... დასავიწყებლადაც მხოლოდ საკუთარი თავი ღირს.

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მთონრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აზრს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში — ფინალს. თქვენთან როგორაა საქმე?

მარიამ წიკლაური: ყველაფერი მნიშვნელოვანია ზუსტად თანაბრად...

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში „აკრძალული თემები“ ქართულში?

მარიამ წიკლაური: ლიტერატურაში არა, ცხოვრებაში არსებობს და ეს ლიტერატურაშიც აისახება.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მარიამ, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ერთგული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „უუნაღლისტის მონოლოგს“ როდის დაგვიწერთ?

მარიამ წიკლაური: მე მიყვარდა ძველი „ებლიტფო“, ალბათ იმიტომაც, რომ მაშინ ავიდგი ფენი როგორც ინტერნეტმომხმარებელმა და ეს იყო ჩემთვის ახალი გარემო ახალი შთაბეჭდილებებითა და თამაშის წესებით. იყო საოცრად ცოცხალი საურთიერთო გარემო საერთო ინტერესების ადამიანთათვის... იმდენად ვენდობოდი, რომ ბევრი მასალა მხოლოდ მანდ მქონდა განთავსებული და ებლიტფოსთან ერთად დაიკარგა და ჩაეშვა ვირტუალური ოკეანეთის ფსკერზე სამუდამოდ... ვისწავლე, რომ ტექნიკის ნდობა არ შეიძლება. ახალიც მიყვარს, პატივს ვცემ, მაგრამ აქტიური წევრი არ ვარ, სამწუხაროდ... ვისურვებდი, მეტი ადამიანის ინტერესად იქცეს... მადლობასაც ვუტყვოდი, რამდენი კარგი პროექტი აქვს განსორციელებული... რამდენ რამეს გეგმავს... წარმატებებს ვუსურვებდი „ებლიტფოს“.

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენნი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

მარიამ წიკლაური: ეს კითხვა ჩემი სუსტი წერტილია. მომწონს, აბა რა?! ან რა უფლება მაქვს, არ მომწონდეს ის, რასაც უნიჭიერესი ადამიანები ქმნიან მარადისობის სახელით. პოეზიაში სწორედ ეს მიყვარს: ყველაფერი წამიერი, წარმატალი რომ მარადისობაზე ფიქრობს, იძენს ისეთ ძალას, სულიერს, სიტყვიერს, რომელიც თან ადამიანური სისუსტისა და უძლეურობის გამოვლინებაა და თან უძლიერესი, სულიერი სიმტკიცის, სამყაროს ჭკრეტისა და შეცნობის ვნების და სულიერების მარადიული მეუფების ნიშნით აღიბეჭდება. პოეზიას აქვს უნარი შექმნას სრულიად ახალი ფიქრი, აზროვნება, ესთეტიკა, სინამდვილე... პოეტი სიტყვიერების ოკეანეში გასული მოგზაურივითაა – რას ვადაგყრის, თავადაც არ უწყის სოლმე. ის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც თავის თავში იტყვს ადამიანურს, დემონურს, ღვთაებრივს... შეუძლია სამყაროს ახსნაც, მიღებაც, თავისუფლების ზეიმი აქვს სულში, ადამიანადაც ბედნიერია და სხვა-საც იგვიყვს ანდომებს. რას აღარ დასტრიალებს პოეტის ფიქრი, როგორ იზიარებს და დაატარებს იგი თავისი კულტურის, ერისა და მთელი კაცობრიობის ტკივილებსა და სინარულს, ტანჯვასა და იმედს... შეუძლებელია, ეს არ ვსიბლავდეს... დღევანდელი მდგომარეობაც, წარსულიც და მომავალიც სულ ასეთი იქნება პოეზიაში, სულ და მარად – უამისოდ პოეზია არ იარსებებს, და თუ ის დაკარგავს ამ თვისებებს, აუცილებლად დაკარგავს ბრძნობის, ძიების, განცდის, იმედიანობის სახეს – ის უბრალოდ აღარ იარსებებს, რადგან მას ადამიანები ქმნიან და მაშინ ადამიანიც არ იარსებებს... დაგვიფაროს უფალმა!!!

სავიზიტო ლექსი მე არ მაქვს. ისე, „ვაჟას საფლავს“ სწორად ახსენებენ სრულიად განსხვავებული რანგის მკითხველები.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღობვაა... — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღობვა“; ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღობვას მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო. „ჟარგონი“, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, — შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს ხელში“, — ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... შენთვის რა არის იგი?

მარიამ წიკლაური: ყველა დროს აქვს საკუთარი ენა და „ჟარგონი“ საკუთარი, ხომ? ანუ ეს ცოცხალი ენის თვისებაა... „ჟარგონი“ ხომ გარკვეული სოციალური ქმნის, თავისი აზროვნების ენად აყალიბებს. ლიტერატურაში ზოგი ამას იყენებს წარმატებით, ზოგი — ხელაწიურად და უშნოდ, ზოგი საერთოდ არ ეკარება. საერთოდ, ენა აზროვნებს, და მეტერლინიკის სიტყვები მახსენდება „ამ ენაზე მოაზროვნე ყველაზე გონიერადამიანებზე მეტად“. იქნებ ასეა მართლაც, მაშინ ეს ჩავთვალოთ ცუდ მოდად, გადაივიდეს... მე ერთ-ორ მოთხრობაში ზედმეტად გამოყენებულ „ჟარგონზე“ მეტად ის მაღელვებს, რომ ცოცხალ მეტყველებაშია მოძალებული ძალიან უხამსი გამოთქმები, „ჟარგონსაც“ რომ სცდება უკვე. უფრო ეს მესახება პრობლემად, თორემ კარგი ლიტერატურა დარჩება, ცუდი გაქრება... მაგრამ ეს მოძალებული ბილწისიტყვაობის მიზეზები უფრო ღრმადაა საძიებელი ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში... მგონი, კვიციანისა და გინება აკრძალული და არც არსებობს, იმიტომ რომ მიწა ნაყოფიერებას კარგავს... წარმოვიდგენიათ?

აბა, აქ ჩვენთან ამას ვერაფრით ვუშკლავდებით, ვიფიქროთ ამაზე. ლიტერატურა კი, რა თქმა უნდა, კარგი მწერლის ხელში გაარჩევს ერთმანეთისგან, სადაა ბილწისიტყვაობისა და „ჟარგონის“ გამოყენების აუცილებლობა და სადა არა... როცა გაყიდვის რეიტინგებში ქურდული მენტალობის მატარებელი წიგნები მაქსიმუმს აჩვენებს, რა გასაკვირია, რომ „ჟარგონი“ ბევრი იქნება ლიტერატურაში? ეს იმაზეა დამოკიდებული, რა ხანის ლიტერატურაზეა მოთხოვნა საზოგადოებაში... ცუდია, როცა მწერალი თვლის, რომ ბილწისიტყვაობა მოსაწონს გახდის ნაწარმოებს... „ჟარგონის“ ფლობას კი ოსტატობაც სჭირდება, ზომიერებაც და ბევრ კარგ მწერალს გამოუყენებია იგი, მაგრამ ეს თვითმიზანი არ

უნდა იყოს — ეს გმირის ან პერსონაჟის სამეტყველო ენა უნდა იყოს, და არა მწერლისა...

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

მარიამ წიკლაური: ლექსზე მუშაობას ადრე ამრეზით ვუყურებდი, და ახლა, რაც მეტად „ვხსუცდები“, მეტად ვაფასებ ამ სიტყვას და პროცესსაც, მაგრამ მუშაობა ერთია და ჯახინი — მეორე... აი, ჯახინს ვერ ვიტან და არც შემიძლია. მუშაობა მნიშვნელოვანი რამ არის, როცა პასუხისმგებლობის გაცდა გაქვს მკითხველის წინაშე... ვწერ ჩვეულებრივად, მომდის რაღაც ფრაზა თავში, ხან იდეა, ხან უბრალოდ აზრი, ხან რაღაცას დავინახავ, ხან ვიგრძნობ, ხან სიტყვას წაგაწყდები ისეთს, რომელსაც შუბლზე აწერია: „ეს ლექსია“, ხან კარგი ნაწარმოები ამძრავს საწვერად... ხმაურში არ მიყვარს მუშაობა, სიმშვიდე და მარტოობა მინჩევნია... გათენება მიყვარს ძალიან, ადრე ღამით ვწერდი... ბუნება განმაწყობს საწვერად, მთა, ნისლი, ცა... კინაღამ დამავიწყდა — სიყვარულიც; და მაინც ტანჯვა — ტკივილი, რომლისგანაც ცდილობ თავი დაიძვინოს. პოეზია იმაშიც მენსმარება, ჩემი პიროვნული ღირსება დავიცვა, ინდივიდუალობა შევიინარჩუნო, ჩემი რწმენა მქონდეს, თავისუფალი ვიყო...

გიორგი კილაძე: „მომწონს (თანამედროვე ქართული პოეზია) ერთი მხრივ, თუმცა მეორე მხრივ, ძალიან დიდი ურთიერთგავლენაა სხვადასხვა ავტორში“. თქვენი კომენტარი,

მარიამ წიკლაური: ოთარ ჭილაძე წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ მწერლის საქმიანობა ძალზედ ინდივიდუალურია, მწერლობა მაინც კოლექტიური შრომის ნაყოფია“. აქ სულიერ, კაცობრიობის შრომაზე, აზროვნებაზე და ღირებულებებზეა საუბარი... ადამიანებს ერთნაირად სტკივათ, უყვართ, იტანჯებიან ან უხარიათ... ამიტომაც გავლენა ცუდი რამ არის, მაგრამ გარდუვალია. აი, მერე ამ გავლენებისა და „კოლექტიურობის“ (თუნდაც მსოფლიო „კოლექტიურობაც“ იყოს და ძველ ეგვიპტურთან, ჩინურთან ან ელინებთან „კოლექტიურობა“) მიუხედავად ამოვა ერთი ყვაველი ჭრელ, ღაღანა მინდორში და არვის ემსგავსება, იქნება განსხვავებული და განუყოფელი თავისისავე კულტურულ წიაღში... ახლო პლანია ეგ გავლენები და შორი პლანი, ვნანოთ, რას დაიტოვებს... ვის დაინჩენს...

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა,

რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამთარხევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული, სამაგიეროდ ქალების პროზა უფრო ინტუიტური, სწირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ? თამარ ერგემლიძის შემოქმედებაზე რას იტყვიან?

მარიამ წიკლაური: ქალები ზოგადად ყოჩაღობენ დედამიწაზე იმდენად, რომ შეილებსაც აჩენენ და პროზა და პოეზია შეაშინებს? მაგრამ თვითონონია, იუმორი და კიდევ ბევრი რამ აკლია მაინც დღეს ლიტერატურას; აკლია ოჯახური პრობლემები, მოზარდი, აკლია გმირი, რომელიც დაიად იდეალს ეწირება და ადამიანებსაც აძლევს ამ ყოველდღიურობის რუტინიდან დახსნის იმედსა და საშუალებას, წუთით მაინც... აკლია ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის მადლი, დაცლილი სოფლის თემა, მიტოვებული წიადის თემა, აკლია ფულის დიქტატისადმი პროტესტის თემები; მძაფრია სოციალური გარემო, მაგრამ მნიშვნელოვან პრობლემებს ვერ ვხსნიით... არადა, ბევრგან ვხვდები მეძავიც, ქურდიც, მაწანწალაც, ნარკომანიც, ზედაპირულად მსოფლოდ... არ არის სრულიად განსხვავებული გმირი – ადამიანი, საკვს ინდივიდუალურობით, რომელიც ჩაიდენდა სრულიად განსხვავებულ საქციელს, აირჩევდა სულ სხვა გზას სამყაროს შეცნობისა... (რა ადვილია ლაპარაკი და რა ძნელია წერა)

გიორგი კილაძე: ერთვნიული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიტფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „გეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „გეფხისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

მარიამ წიკლაური: სკოლაში შეკდიოდი. 800 წლის საიუბილეო ფაციფუცი მასსოვს იმით, რომ მამა მასწავლიდა და თვითონაც სწავლობდა. ხანში ბებუის მამის ნაქონი „გეფხისტყაოსანიც“ მაქვს, ზინისეული ნახატებით და სხვა ბევრი გამოცემაც. ვიცი, რომ ეს წიგნი საქართველოს სინდისია. აი, ესაა ქართული ენის დღესასწაული; ესაა ის, რაც ხალხმა შეინახა: ამბავი სიყვარულზე, მეგობრობაზე, ღმერთსა და ადამიანებზე და ესაა ცოდნის წიგნი, სიბრძნის წიგნი! მაგრამ მე სულ მაინტერესებს, წარმოვიდგინო და დავინახო ასეთი სურათი: ზის და წერს, მერე ხეხს და ყრის რუსთაველი, და ხვეწს ფრაზას და მუშაობს, და ცვლის და ისევ წერს... და ვერ წარმომიდგენია, არ მოდის ეს ნატები, ისევე, როგორც გურამიშვილისა.. ასე მეონია, მათ ჯერ სულში, თავში, გულში წერეს და ასწორეს და ფურცელს ერთადერთხელ შეესენ...

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

მარიამ წიკლაური: როგორ არ ჰყავს?! მაგრამ თავისებურად მიკერძობებას ვამჩნევთ ხოლმე მაინც და ამიტომ ვერ ვენდობით ბოლომდე ამა თუ იმ კრიტიკოსს და ამიტომ გვგონია, რომ არ გვყავს... მაგრამ ჩვენ გვინდა იცით, როგორი ადამიანი? რომელიც იტყვის და ყველა დაიჯერებს – ექსპერტი!!! რომელიც დააღაგებს სახელებს, ფასეულობებს, ღირებულებებს, ტყუილ-მართალს, სიცრუესა და სიბრძნეს... მითიური კრიტიკოსისა. ზოგჯერ მგონია, რომ ეს გაზარმაცებული მკითხველის თუ არა, ათასი სხვა საქმით არეულ-გადაღლილი და გართული საზოგადოების მთხოვნა და კაპრიზია, თორემ ის, ვინც კითხულობს და თვალსაც ადევნებს ლიტერატურას, მშვენივრად იცის, რაა კარგი და რა – ცუდი... კრიტიკოსებიც ჩვენივე საზოგადოების წევრები არიან და ვერ იქნებიან განსხვავებულნი, მათაც სჭირდება შრომის ადეკვატური ანაზღაურება, მათაც სჭირდება დაცულობა, მათაც სჭირდება უამრავი ხელშეწყობა, რომ უმაღლესი პროფესიონალები გახდნენ... და ასეთი ბევრიდან მერე ცოტა და სულაც რამდენიმე გახდებით უკვე ექსპერტი, რომელსაც არაგის ხათრი და რიდი არ ექნება და ხან მწარეს იტყვის და ხან ტკბილს და წყალიც არ ვაუჯა მის ნათქვამს, მაგრამ ამას სჭირდება საზოგადოებაც თავისუფალი იყოს... აზროვნებაზე იყოს მოთხოვნა და ღირებულებები იყოს სხვა... ანუ ერთი ერთმანეთზეა დამოკიდებული ბევრი რამ... თან ჩვენ ანლობლები ვართ ყველა ერთმანეთისა და ხანდახან ხათრიანობა კრიტიკოსების სათქმელსაც ცვლის... აი, რომ იყოს ძალიან პრესტიჟული გამოცემა, რომელშიც დაბეჭდილ „განაჩენს“ „წყალი არ ვაუჯა“... მაგრამ ეს ყველაფერი შორსაა რეალურობისგან. გვაქვს ლიტერატურული გამოცემები და იბეჭდება უამრავი ანალიზი, რეცენზია და ვისაც აინტერესებს, კითხულობს... გურამ ასათიანის ტიპის კრიტიკოსს თუ გულისხმობთ, ის პიროვნული ღირსებითა და ცოდნით შემკული ადამიანი ყოფილა, რომელიც დღესასწაულებს ქმნიდაო. ასეთი ტიპისა არ მეგულება, თუმცა საქმის მცოდნენი არიან ბევრნი... აი, გურამ ასათიანმა რომ დაასახელა ახალგაზრდები, რომლებიც შემდგომში მართლა იქცნენ ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებად, ასეთი რაღაც თითქოს აღარ ხდება... დროც სხვანაირია. არსებობენ კრიტიკოსებიც, ჰყავთ თავიანთი ფავორიტებიც, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ძველი ანდაზა ამართლებს: „საქმემან და ნაწერმან შენმან გამოვჩინოს და არა კრიტიკოსმამო“ (თვითირონია საუკეთესო რამ არის თვით კრიტიკოსებზე საუბრისას. სერიოზულად კი

– კარგ ანალიტიკურ წერილს შეუძლია დაენმაროს მწერალს მკითხველთან მისვლაში. კატალიზატორივითაა კრიტიკოსი – ან ააჩქარებს პროცესს, ან შეანელებს...

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განუვარძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ, ლიტ. კონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

მარიამ წიკლაური: ძალიან კარგია, კონკურსები რომ მომრავლდა. ბევრი სსვა კონკურსიც შეიძლება დაემატოს ამას მომავალში, რომ მოსდეს მწერლების მატერიალური დახმარება და ცოცხალი პროცესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ცუდია, რომ ეს საბავშვო ლიტერატურაში არ ხდება... ობიექტურობაზე საუბარიც პირობითია, რადგან ჟიურის წევრები არიან თავიანთი გემოვნებითა და მოსაზრებებით აღჭურვილი ადამიანები და არა მანქანები მათემატიკური ფორმულები-სათვის ერთადერთი ჭეშმარიტი პასუხის დასადასტურებლად... ამდენად, საზოგადოებას ყოველთვის მოეჩვენება, რომ შეიძლებოდა სსვა შედეგის ჩვენება, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო ან რაღაც ასეთი. წშირად ვამბობ, რომ კონკურსებს, როგორც ლიტერატურულ თამაშს ისე უნდა ვუყუროთ, როგორც ლატარეას. მაგრამ მეორე მხრივ, უნდა მივიდეთ იქამდე, რომ კონკურსი ავსებდეს ყველანაირ ნარეკვს, პასუხობდეს ყველა კითხვას, რაც შეიძლება მკითხველ საზოგადოებას უჩნდებოდეს წლიდან წლამდე, რომ აი, ვერა და არ მუშაობს კრიტიკა, აი, რა უნდა ვიკითხოთ, ვისგან ვავიგოთ შეუმცდარი შეფასებები და ვის ვენდოთ. აი, ამ და მსგავს კითხვებს თუ დააკმაყოფილებს კონკურსის შედეგები, ეს უკვე იდეალური იქნებოდა... ობიექტურობა არის თავისებური კულტურული პოლიტიკის ნაწილი, არის კონკურსის ორგანიზატორთა ღირსების საქმე და პრესტიჟი. პატარა ქვეყანაში უფრო თვალნათელია „ჩაწყობა-ჩაღიჩის“ სურათი და ობიექტურობის სურათიც, ამიტომ ასე ვთქვათ, თუ უნდა კონკურსსა და მის მესვეურს იყოს ღირსეული და არავინ ღანძლოს ღიად თუ ზურგსუკან, კეთილი ინებოს და იყოს ასეთი, ვინ უშლის? თუ ხელს შეუშლიან, უნდა ჰქონდეს იმის რესურსი და ძალა, რომ თავი დაიცვას. ჟიური უნდა იყოს ღია! დე, შეეჩვიოს მწერალიც და პროტეჟეც, რომ თავადაც დაიცვას თავისი ღირსება და პრემიის „მოხოვრად“ არ იქცეს... მოკლედ, შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდევ ობიექტური, თუ არადა, სულ ნუ ჩატარდება: ფინანსური დახმარების გაღება ამა თუ იმ მწერლისთვის სსვანაირადაც შეიძლება.

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

მარიამ წიკლაური: არ ვიცი... დღეს კარგი ზურგი გჭირდება, გავრცელების კარგი სამსახური, სპონსორი. ლიტერატურული ჟურნალით მოგება ძნელი წარმოსადგენია, თუ არ ხარ რაღაც დიდის ნაწილი. დამოუკიდებლად ძნელია, მგონია... პატარა ქვეყნის პატარა ბაზარი და ამას დამატებული ლიტერატურისადმი არცთუ ისე მაღალი მოთხოვნები... მაგრამ ჩვენი მთავარი ნაკლი მხოლოდ საკუთარ წევნში ხარშვაა და აი, რომ იყოს ისეთი ჟურნალი, რომელიც უცხოურს დაბეჭდავდა, ან ვთქვათ მხოლოდ წერილებსა და კრიტიკას დაბეჭდავდა, არ ვიცი, რაც ვამოდის, ძალიან კარგია, მაგრამ მაინც არის ცარიელი ნიშები ამ სფეროში. და საბავშვო ლიტერატურის ჟურნალი ხომ საერთოდ არ გვაქვს, ეს ცუდია, არსად აისახება ცოცხალი პროცესი... ინტერნეტი ძალიან დიდი და ამორფული სივრცეა, ჟურნალი მაინც სსკაა... მექნებოდა რუბრიკები: „ესსე ახლობელ მწერალზე“ და „მწერლის აზრით“, რომელშიც უმწვავეს პრობლემებზე ვესაუბრებოდი მწერლებს და მათეულ სედვას გავაცნობდი საზოგადოებას, უმწვავესზე!!!

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

მარიამ წიკლაური: მაქსიმალურად.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდი?

მარიამ წიკლაური: ნიკოლაძის ცხოვრებაზე გადავიღებდი კარგ ფილმს, ხანძთელის ცხოვრებაზეც, ვაჟა-ფშაველაზე გადავიღებდი მაგარ ფილმს და ნიკო სამადაშვილზე, ბარათაშვილზეც, დავით სარაჯიშვილზე, ილიაზე განა არ უნდა გვქონდეს ფილმი? მოკლედ, ბევრზე ძალიან... ტერენტიზე... ყაზბეგზე... ყველა თავისებურად საინტერესო და დრამატული პიროვნებაა და კიდევ გადავიღებდი აუცილებლად ერთ ამბავზე, რომელიც ძალიან საინტერესო თეთრი ლაქა კავკასიური ისტორიისა, მაგრამ არ ვიტყვი ინტერვიუში.

გიორგი კილაძე: დაახრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

მარიამ წიკლაური: საწერად განმაწყობს, შემძრავს, აღმაფრთოვანებს, გამაოცებს.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას

შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეუერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

მარიამ წიკლაური: შეიძლება სიყვარულმა ზოგადად, წიგნისა იქნება, ლიტერატურისა, სამშობლოსი, ბუნებისა თუ ადამიანისა, გარკვეულწილად დაკარგა რომანტიკულობა. და ამდენად აღარ ჰგავს... იძულებითაც კარგი იქნება..

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე ვეკითხებით, რა თქმა უნდა)

მარიამ წიკლაური: როდის მოგვარდება ჩვენი უძლიერესი ავტორების თარგმნის საკითხი სახელმწიფოებრივად? არ ვიცი. როდის მიიღებს ქართველი მწერალი „ნობელს“? არ ვიცი. რატომ აღიზიანებს ეს საკითხი ბევრს? არ ვიცი. რატომ არაფერს ვაკეთებთ საამისოდ? არ ვიცი. არ ვიცი, არ ვიცი...

რომელია ჩემი ერთი საუკეთესო ლექსი? არ ვიცი. ნეტავ, დავწერ კიდევ? არც ამის პასუხი ვიცი. და თუ დავწერე, მაქვს ბედნიერების განცდა და არც ეგ ვიცი, რატომ?

აღმოჩნდა, რომ არაფერი ვიცი... პასუხი მაქვს მხოლოდ იმაზე, რომ მიყვარს პოეზია...

გითრბი კილაძე თამარ კიკნაშვილიძე

გიორგი კილაძე: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თამარ კიკნაშვილიძე: მე მკითხველი ვარ, რაც არანაკლებ საბასუხისმგებლო საქმე მგონია...

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ფურნალისტებს დღეში 24 საათი?

თამარ კიკნაშვილიძე: მართლაც არ მყოფნის... თუნდაც მსოფლიო იმიტომ, რომ მართლაც ამ საქმეზე მიჯაჭვულ-კონცენტრირებული არ ვარ. პროფესიამ და სამეცნიერო მუშაობამ თანდათან, ეტაპობრივად გადაწონა ქვეყანაში მიმდინარე კულტურული სიანდეების ყოველდღიური გაანალიზების, შეფასებისა და ფურცელზე გადატანის აუცილებლობა, რითაც 10 წელი ვცხოვრობდი, მაგრამ 24 საათი არც მაშინ მყოფნიდა... ზღვა ინფორმაცია, როგორც ქართული, ასევე უცხოური თავს ყოველწამიერად „გვატყდება“ და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის გასაანალიზებლად და ოპერატიულად შესაფასებლად ერთი დღე-ღამე საკმარისი აღარ არის. ამიტომაც არის სოლმე ზედაპირული და დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომელიც ჩვენამდე აღწევს... თანამედროვე ფურნალისტიკა რომ ანალიტიკას არის მოკლებული, ერთი მხრივ, ესეც დროისა და კიდევ იმ აუცილებელის ნაკლებობის ბრალი მგონია, რითაც ჩვენი დროის ფურნალისტი უნდა იყოს „დაჯილდოებული“... აქცენტი სწორად მოვლენის მსოფლიო გამოხატულებაზე კეთდება და არა ანალიზზე, თუმცა საგამომცემლო პოლიტიკასა და თანამედროვე ფურნალისტიკაზე მსჯელობა საუბრის სულ სხვა თემაა...

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, სელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

თამარ კიკნაყელიძე: შეკითხვა არ მეჩება, მაგრამ მაინც ვუბახუხებ, რომ მწერლისთვის წარსული „თითქმის არაფერზე“ მეტს ნამდვილად უნდა ნიშნავდეს, რადგან თანამედროვე ადამიანის, როგორც მატრიცის აღქმასა და ჩამოყალიბებაში წარსულს უმნიშვნელო როლი არ უჭირავს, მით უფრო სელოვანისთვის, თუმცა განმსაზღვრელი მაინც თანამედროვეობა მგონია თავისი მონაქროლ-მონაბერით...

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ქართული ლიტერატურაში „აკრძალული თემები“?

თამარ კიკნაყელიძე: ლიტერატურაში თანამედროვე საზოგადოების ჯანსაღი კრიტიკის ნაკლებობა ყველაზე მეტად მაწუხებს, რაც ვფიქრობ, არაჯანსაღი პროცესია და რეალობის გაუანალიზებლობის ბრალი შეიძლება იყოს, თორემ გარშემო იმდენი რამ ხდება, ვნებავთ ახალი, ვნებავთ ტრანსფორმირებული, რომ აკრძალული თემები კი არა, გაშიშვლებული უნდა იყოს ყველაფერი....

გიორგი კილაძე: თამარ, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „ჟურნალისტიკის მონოლოგს“ როდის დაგვიწერთ?

თამარ კიკნაყელიძე: მომწონს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ მიზნები, უყვართ „ებლიტფოს“ სივრცე, არ ენანებთ მისთვის გამოყოფილი და დათმობილი დრო... თქვენი გულშემატკივრების ლიტერატურისადმი დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებ, თამამად შევთავაზებდი მათ დიალოგსა და მსჯელობას, თუნდაც ძალიან კრიტიკულს რომელიმე კონკრეტულ თანამედროვე ნაწარმოებზე... დიალოგისა და ერთმანეთის მოსმენის კულტურა ჩვენში ვერ ვიტყვით, რომ მაღალია და იქნებ კრიტიკული აზრის დასაბუთებულად გამოთქმისა და შემდეგ მიღების, გაზიარება-გაუზიარებლობის კულტურა გამოვიშვათ? ამით იმასაც გავიგებთ, ვინ რამდენად ხშირად კითხულობს და ნამდვილი მკითხველია თუ არა... მონოლოგს რაც შეეხება, ვერ შეგპირდებით – დიალოგი მირჩევნია.

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართული პოეზიაზე? თქვენს აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

თამარ კიკნაველიძე: მთავარი მაინც ის მგონია, რომ არ ვაწვევტი-
ლა ჯაჭვი, რომლის სათავესთანაც საუკუნეები გვაშორებს... პოეზია გან-
საკუთრებით მიყვარს და ჩემი რჩეულებიც მყავს, მაგრამ სიძარტლე რომ
გითხროთ, ანლებიდან ჯერ რომელიმეს გამოჩნება მიჭირს, ყველაფერი
ნაცნობი და ნათქვამი მგონია, თანაც უფრო დიდი გულისტკივილით, აღ-
მაფრენითა და სიყვარულით... თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალი
თაობის ნამუშევრებს არ ვეცნობი. ამაში რამდენიმე გამომცემელი და პოეზი-
ის მოყვარულ-ინიციატორი მენშარება და მათი თანადგომა პოეტებისთვის,
დარწმუნებული ვარ, უმნიშვნელოვანესია... მხოლოდ თანამედროვე კი არა,
ძალიან საყოველთაოდ ჩემთვის ოთარ ჭილაძის პოეზია და... თანამედ-
როვე ავტორებიდან მანსოვს, როგორ ვისიამოვნე, როდესაც ლალი კეკელ-
ძისა (მისი ლექსების კრებული, სამწუხაროდ, არ გამოცემულა და იმე-
დია, გამომცემლები დაინტერესდებიან) და ბელა ჩეკურიშვილის „ღია
ბარათებში“ მოყოლილი ცერცვისა და კედლის ამბავი წაგიკითხე... წარ-
მატება მინდა ვუსურვო თითოეულს, ვინც დღეს ასეთ უსიყვარულო,
გაუბრალოებულ და ზედაპირულ ხანაში ცხოვრობს და მაინც პოეტია...

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკო-
სს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნო-
ბა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები,
შემფასებლები?

თამარ კიკნაველიძე: რატომღაც თანამედროვე ლიტერატურის კრი-
ტიკა უფრო რთული საქმე მგონია, ვიდრე ქართული თეატრისა, რომელსაც
ვცდილობ ვემსახურო. კრიტიკა არსებობს და ქართული დადგმებისა არ
იყოს, ლიტერატურის კრიტიკოსებსაც ალბათ ძალიან ბევრი დაბალი წარისს-
ის პროდუქცია უვარდებათ ხელში. ამაში შარშან დავრწმუნდი, როდესაც
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსის –
სახელწოდებით „წლის საუკეთესო რომანი“ – ჟიურის წევრი ვიყავი, რამ-
დენიმე ათეული ნაწარმოები წაგიკითხე და ძალიან რთული, არასახარბიელო
რეალობის წინაშე აღმოვჩნდი. რეჟისორების მსგავსად, მწერლებიც მეჩვენე-
ბა, რომ გვერდს უვლიან იმას, რაც სათქმელი შეიძლება იყოს, მაგრამ თქ-
მასაც სომ ცოდნა უნდა? ეს ძალიან რთული საქმეა, თავს ადვილად ვერ
დაიძვრენ და არც ადვილად გამოვივა რამე, მხოლოდ სახელის მოპოვების
სურვილია კი შესაძლოა ლიტერატურას მკითხველი დაუკარგოს. ამიტომაც
საჭიროა და აუცილებელია კრიტიკა, რაც გაკრიტიკებას კი არ გულისხმობს,
არამედ შეფასებას, ხოლო კრიტიკოსთა აქტიურობა და მათი ხმა ისეთი
მქუხარე არ არის, როგორიც უნდა იყოს.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობ ლიტკონკურსებზე, რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

თამარ კიკნაველიძე: რაც მეტი ლიტერატურული კონკურსი იქნება, მით მეტი წახალისებული მწერალი გვეყოლება; ხოლო სტიმული რამდენად საჭიროა ხელოვანი ადამიანებისთვის, უკეთესად მოგვხსენებთ... მართალია, კონკურსებში ხშირად ერთი და იგივე სახელები და გამომცემლები იმარჯვებენ, რაც ეჭვსა და გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ ეს კონკურსების გაუქმების მიზეზი არ უნდა იყოს... საერთოდ, ძალიან ბევრი რამის ორგანიზების კულტურა გვაკლია და იმედი მაქვს, დადგება დრო, როცა ყველა ღირსეული გამოვლენილი სუბიექტურად კი არა, ობიექტურად აღიარებული იქნება.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

თამარ კიკნაველიძე: ამას წინათ ერთ-ერთ ფესტივალზე ვნახე წარმოდგენა, სადაც სცენაზე ასული რეჟისორი „დავინახე“ და ამან ისე ცუდად იმოქმედა, რომ პროტესტის გრძნობა გამიჩინა. ჩემთვის რეჟისორი საინტერესოა პარტერში და თეატრში იმის სანახავად კი არ მივდივარ, რომ სცენაზე ვნახო და აღმოვაჩინო ის, ვინც მხოლოდ საკუთარი „ეგოს“ წარმოჩენას ცდილობს, არამედ ის, რაც ხელოვნების ნიმუშად უნდა განვიხილო, სადაც შემოქმედებითი ჯგუფის ოსტატობა, პროფესიონალიზმი უნდა წარმოჩნდეს. ლიტერატურის მიმართაც ასეთი დამოკიდებულება მაქვს. ძალიან მიყვარს ავტობიოგრაფიული რომანების კითხვა და ავტორი, მით უფრო ლიტერატურაში, რომელიც თეატრისგან განსხვავებით ხელოვნების სინთეზური დარგი არ განლაგთ და საკუთარი რაობით ალბათ ყოველთვის გამოჩნდება ნაწერში. მაგრამ განსაკუთრებით მსიბლავს და მიტაცებს, როდესაც მწერალი მომითხრობს ისე, რომ ახერხებს „დაიმალოს“ ან ისეთი კუთხით გამოვლინდეს, ისეთ პერსონაჟში ჩახსნდეს, რომელშიც ძალიან რთულად ამოვიცნობ.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვახიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

თამარ კიკნაველიძე: ყველაფერს საქმის მცოდნე სჭირდება. პროფესიონალი თუ ხარ, მაშინ შეგიძლია სცადო და მიუხედავად იმისა, რომ არაფითარი იძულების მომხრე არ ვარ და კარგად მიწოდების, შეთავაზების ეფექტურობის მჯერა, დაე, არაერთხელ სცადონ კეჟერაძეობა.

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

თამარ კიკნაველიძე: ამის ამბიცია არ მაქვს. წლებია მხოლოდ პროფესიულ თეატრალურ კრიტიკისმომცველ პერიოდულ გამოცემაზე ვოცნებობ... თუმცა იმის გამო, რომ მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარება ნომერ პირველ პრობლემად და თანმიმდევრულად გადასაწყვეტ საკითხად მიმაჩნია, ერთ-ერთი გამომცემლობის მხარდაჭერითა და ინიციატივით ვახორციელებ პროექტს, რომლის ფარგლებშიც ქართულ ენაზე თარგმნილი მსოფლიო დრამატურგიის თანამედროვე ნიმუშები სერიულად გამოიცემა. ყველანაირი საავტორო უფლება მოგვარებული გვაქვს, ვმუშაობთ მთარგმნელებთან და მისწრაფებით, რომ პროექტი, რომელიც საკმაოდ მასშტაბურია და მკითხველს რამდენიმე ნიშნით დააინტერესებს, მაღე გამოიწვევდებოდა. ასე რომ, ხელის შეშლის კი არა, მხოლოდ თანადგომის იმედი გვაქვს.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

თამარ კიკნაველიძე: კარგად წერს და ღრმა არის!

გიორგი კილაძე: ქალბატონო ინგა, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ინგა მეტრეველი: ბევრი არაფერი მაქვს საამბოთი. ვსწავლობდი ონში, მერე თბილისში. უნივერსიტეტი, მეგობრები, საშუალო, ხეტიალი... და ერთ მშვენიერ დღეს, სიმშვიდის მონატრებამ დამაბრუნა რაჭაში. ჯერ სოფლის სკოლაში ვიმუშავე, გაგეცინებათ და, ბიოლოგიის მასწავლებლად, მერე აღვადგინე გაუქმებული ადგილობრივი გამოცემა, რომელიც დღემდე სტაბილურად გამოდის. რაც შეეხება ლიტერატურულ წარსულს, ბავშვობიდან ვწერდი სევდიან ლექსებს და ჩანახატებს, „შინდისფერი საღამოს“ მასპინძელიც კი ვიყავი ერთხელ (ასეთი საღამოები იმართებოდა ლიტერატურულ კაფეში, ონში). ახლა ცოტა მრცხველია ამ ყველაფრის გამო...

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვიოთ, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი? „ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები!“ – თქვენი კოლეგის ინტერვიუდანაა. თქვენთან როგორაა საქმე?

ინგა მეტრეველი: ამ მხრივ ძალიან კარვად მაქვს საქმე, გაზეთი თვეში ერთხელ გამოდის. მაქვს დრო შვილებისთვის, კითხვისთვის, მუსიკისთვის, ტყისთვის, მთისთვის და რაც ძალიან მიყვარს, ურთიერთობისთვის მათთან, ვინაც ჩემი კოლეგები ზოგჯერ „უბრალო ადამიანებს“ ეძახიან. ვაკეთებ ჩემი კუთხის მეცნიერებების ფოტობორტრეტებს გაზეთისთვის და ამით მადლიერებას გამოვხატავ მათ მიმართ, რომ აქაურობა არ მიატოვეს.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა?

ინგა მეტრეველი: ასე უცებ ვერ დავკეთანხმები. მე მგონი შემოქმედებითი წარსული მნიშვნელოვანია, რომ გადახედო და მისგან, იცვლება, იზრდება, თუ რა მოგდის... იქნებ ვინმეს ცოტა შერცხვეს კიდევ ვადახედვისას (ჩემსავით)...

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში – ფინალს. თქვენთან როგორაა საქმე?

ინგა მეტრეველი: უურნალისტიკაში ეს აუცილებლად შესავალია, ეგრეთწოდებული ლიდი, რომელიც ლამის ცალკე მეცნიერებად არის მიჩნეული. მათხრობასა და ლექსში კი, მკითხველის პოზიციიდან, არც კი აქვს ჩემთვის მნიშვნელობა ტექნოლოგიურ ნიუანსებს. მთავარია გემრიელად წაიკითხო და ისიამოვნო.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ინგა, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? უურნალისტის მონოლოგს“ როდის დაგვიწერთ?

ინგა მეტრეველი: ახლახანს დავუმეგობრდი ლიტფორუმს. დასაწუნი არაფერი სჭირს. მონოლოგზე ვიფიქრებ...

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენ აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

ინგა მეტრეველი: სამწუხაროდ არ ვიცნობ თანამედროვე ქართულ პოეზიას. უნდა გავამხილო, რომ არ გამჩენია სურვილი, შემეძინა რომელიმე ასეთი კრებული. ერთი უცნაურობა მჭირს – უცნობ ავტორებსა და უცხო კერძებს სელაღებით ვერ ვუხსინჯავ გემოს. მომენატრება ლექსი და აქვე მყვანან თაროებზე ჩემები, ძვირფასები...

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოსნატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ინგა მეტრეველი: ვთვლი, რომ ლექსს, რომელსაც ჭეშმარიტი შთაგონება დაგაწერინებს, ბევრი სელის შევლება არ სჭირდება. ნაძაღვადვე ლექსს ესაჭიროება სერიოზული მუშაობა და ეს როგორღაც ემჩნევა კიდევ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული, სამაგიეროდ ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, სშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ინგა მეტრეველი: ზოგადად, ხარისხობრივად და რაოდენობრივად მამაკაცი მწერლები სჭარბობენ თავიანთი სუსტი სქესის კოლეგებთან შედარებით.

გიორგი კილაძე: ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიტ-ფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „ვეფხისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

ინგა მეტრეველი: ძალიან კარგი წამოწყებაა. 90-ანების ბოლოს, უშუქობის პერიოდში, ოჯახში დავიწყეთ „ვეფხისტყაოსნის“ ნმამალა კითხვა. მგონია, რომ პირველად მაშინ აღმოვაჩინე ეს საოცარი სამყარო მთელი თავისი სიბრძნით, ეგზოტიკითა და სილამაზით. თუ მივიქცევით ყურადღება ერთი ნიუანსისთვის, როგორ გულუნვ საჩუქრებს უძღვნიან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ერთმანეთს? ასეთივე გულუნვ ძღვნად რჩება ჩვენი მოდემისთვის ეს საოცრება.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ინგა მეტრეველი: მიმჩნია, რომ დღეს არ არსებობს ნამდვილი ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც თავის ადგილს მიუჩენდა ყველას და ყველაფერს.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვავრდით. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

ინგა მეტრეველი: ლიტერატურული კონკურსები პოზიტიური მოვლენაა. ობიექტურობაზე ვერაფერს ვეტყვით.

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

ინგა მეტრეველი: ძველისა და ახლის პაექრობას გავმართავდი სხვადასხვა ჟანრებში. მგონი, ასეც იქცევიან რედაქტორები.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

ინგა მეტრეველი: როგორც არ უნდა ეცადოს, ვერ დაიძალეება მწერალი თავის ნაწარმოებში. როცა ბიოგრაფიებს ვეცნობით, მაშინვე გვხვდება-

ით, მწერლის ცხოვრების ამა თუ იმ რთულმა პერიოდმა სად და როგორ იწინა შემოქმედებაში თავი.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდი?

ინგა მეტრეველი: საყვარელი ნაწარმოების ეკრანიზაცია ხშირად იმედებს გვიცრუებს. თუმცა ჩემი პატარა გოგონასთვის გადავიღებდი კალე ბლუმკვისტის თავგადასავალს.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ინგა მეტრეველი: აგატინებს, გაგაცინებს, მოსვენებას დაგაკარგვინებს, ღამეს გაგატყინებს...

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ინგა მეტრეველი: ყველა, რაღაცით ძალიან გატაცებული ადამიანი ერთნაირად საინტერესო, საყვარელი და ცოტა ახირებულიცაა. თანამედროვე, ალბათ „ქინდლიან“ ვასიკო კეჟერაძეს არ შევსვენდრივარ, სიამოვნებით გავიცნობდი, როგორც რიგითი მოსალოცთაგანი.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ინგა, „გემოვნებისანი მკითხველის“ თქვენებური განმარტება გვითხარით.

ინგა მეტრეველი: ვთვლი, რომ ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იკითხოს ის, რაც სიამოვნებას ანიჭებს, ოღონდ მთაფარი, არ გაჩერდეს... გემოვნებას რაც შეეხება, ის ცვალებადია ასაკთან, თვალსაწიერის ზრდასთან ერთად.

ბიორგო კილაძე - ლია კილაძე

გიორგი კილაძე: ლია, ალბათ დამეთანხმებით, შენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ლია კილაძე: უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ლიტერატურული CV არ არსებობს. შესაბამისად, არც ამ შეკითხვას ველოდი. ლექსებს ვწერდი და მომწონდა კიდევ, მაგრამ ეს იყო ჩემი სიყმაწვილის გარიჟრაჟზე. თითქმის მთელი ჩემი ცნოვრება ვწერდი დღიურებს, მაგრამ ბოლოს მოძალეებულმა უარყოფითმა და ალბათ ასაკმაც ამაზეც ხელი ამადებინა (იქნებ ის ჩანაწერები გადავაკეთო საჯაროდ).

მთელი ჩემი ბავშვობა ვკითხულობდი ლიტერატურას, დავდიოდი ბიბლიოთეკებში, ვცნოვრობდი გამოგონილი პერსონაჟების ცნოვრებით... ბებიჩემი, ანეტა მასხულია, დაუღლელოდ მიკითხავდა ზღაპრებს, მიყვებოდა, მღეროდა ხალხურ სიმღერებს...

ჩემი ბავშვობის ერთადერთი ოცნება იყო — მეც ბებიასავით შემძლებოდა კითხვა (რაზეც ვოცნებობდი, მალეც ამინდა). მას მერე ვკითხულობ ლინგრენს, მარკ ტვენს, ეგზიუბერს, ვერნს, რემარკს, მედვედევს, ფადეევს, ოსტროვსკის, ჰემინგუეის, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს, დუმბაქეს, ბიოლს... პოეზიას... „ვეფხისტყაოსანს“... მოკლედ, ყველაფერს. უამრავი ავტორის გვარიც არ მახსოვს, უამრავი ნაწარმოებიც დამავიწყდა... სამწუხაროდ, ალაღბედზე ვიწყებდი კითხვას, ბევრი ყალბი რიტორიკის წიგნიც შემსგედრია... არ ვიცი, საბჭოთა რეჟიმის ბრალი თუ იყო, მაგრამ ჩემი საყვარელი მწერლები უცნოელები იყვნენ. პირველ რიგში, ლინგრენი და რემარკი, ბიოლი. ვაღიარებ, რომ დღესაც ასეა.

ჰო, ვსწავლობდი ოზურგეთის პირველ და მესამე სკოლებში, სკოლა-ინტერნატში და ოსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ვცნობობდი და ვცნობობ ოზურგეთში. ეს ქალაქი დიდად არ მომიწონს, მაგრამ მიყვარს.

გიორგი კილაძე: გურული ხართ, გურიასა და გურულებზე მომიყვით...

ლია კილაძე: გურიასა და გურულებზე საუბარი ჩემთვის ნიშნავს ჩემზე, ჩემს სახელობლოზე საუბარს. მიყვარს გურია და მეამაყება იმდენად, რომ შეიძლება ტრაბახში გადავიდე კიდევ. გურია ჩემთვის არის გალაკტიონის ფრაზა: „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“, „და გზაც ვარდის ნაფერია“ ... გურია არის ექვთიმე თაყაიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ფილიმონ ქორიძე, ნოე რამიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, პაატა ბურჭულაძე, ანუ განსწავლულობა, ერთგულება, შრომა, ფოლკლორი, ხალასი იუმორი, რომელიც აქაურების გენეტიკური კოდია და თავის გადარჩენის ელემენტსაც შეიცავს. მამათელი ვარ და გურია ჩემთვის ედუარდ შევარდნაძეცაა – ბიძაჩემის კლასელი, მამაჩემის სკოლედი, დიდი დიპლომატი, რომლის საქმიანობა ჯერ არ არის სწორად შეფასებული, რომელიც მსოფლიო ისტორიის კუთვნილებაა უკვე.

დღეს გურულების ინდიფერენტიზმს, უძღურებას ვხედავ. ბევრი დაუსაქმებელი, ღარიბი და შეგუებულია. ამას ჩვენი მაქსიმალიზმით და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არარსებობით ვხსნი. ნგრევის პერიოდს შესანიშნავად ავუწყვით ფენი: დაგანგრიეთ ყველაზე მეტი ეკლესია, შეჩაიებოთ მოვსპეთ უფრო კომფორტული საქმის იმედით, სოფლები ნანგრევებით გაავსეთ, მეცატრუსებობას ვეღარ მივხედეთ, ჯართად ვაქციეთ ყველაფერი და ჩვენს პატარა ქალაქებში კანალიზაციის თავებიც კი მოვაპარეთ, ქალები გადაჭარბებულად გადაედაკაცდნენ, კაცები... დაიკარგნენ... საკუთარი თავის პოვნის დროა. დარწმუნებული ვარ, გურია მალე ყველაზე გაღვთილიდან ყველაზე განვითარებულ, რაციონალურ, პრაგმატულ და შემოქმედებით მხარედ იქცევა. ამის მაგალითებს უკვე ვხედავ აქა-იქ.

გიორგი კილაძე: ლია, მამაზე უნდა გკითხოთ... არა, არ გკითხავთ, მომიყვით...

ლია კილაძე: გიორგი, დიდი მადლობა ამ შეკითხვისათვის. ხშირად მითქვამს, საზოგადოების აზრს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ჩემს პირად ცნობებში-მეთქი, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, როგორი მადლობელი ვარ იმ ადამიანების, ვინც მამაჩემს იხსენებს. ჩემთვის სრულიად უცნობებისაგან ბევრი კარგი რამ მსმენია მასზე. ეს ჩემი ოჯახის სიმდიდრეა.

მამამ მოახერხა ჰქონოდა უზარმაზარი ძალაუფლება და ეს არ გამოეყენებინა პირადი ინტერესებისათვის. ის 45 წლის მანძილზე იყო ოზურგეთის გაზეთ „ლენინის დროის“ რედაქტორის მოადგილე, ანუ კომუნისტურ მხარაძეში (ოზურგეთში) მმართველთა ათეულში მანც გადიოდა და მე მეჩვენება, რომ ეს არც უგრძობია. ცნობობდა მოკრძალებულად, ყიდულობდა წიგნებს, ზოგი ავტორი თავად ჩუქნიდა. ასრულებდა თავის მოვალეობას რედაქციაში, ბევრისათვის გაუკაფავს გზა, თავისი კარიერული წინსვლისათვის ხელიც არ გაუხსნევია. გამოიძია ოზურგეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მოგონებები, შემოინახა საინტერესო სახეები.

უკვე მე-მ წელიწადია თბილისის ერთ-ერთ სტამბაში ჩარჩენილია მამია კილაძის წიგნი „სანთელი და სარკე“, რომელიც ოზურგეთში ნაბეჭდი პროდუქციის შექმნასა და პერიოდიკის ჩამოყალიბებას, ოზურგეთელთა ცნობებს ეხება. მადლობა ბატონ ვანო ჩხარტიშვილს, რომ მისი შემწევობით შევძელი მამია კილაძის პოეზიის გამოცემა. „ბაქმანი ქადრების ბაღში“ ბევრ მარგალიტს შეიცავს. მოკრძალებული ავტორის მოკრძალებულად გამოცემული წიგნი ოზურგეთის წიგნების მაღაზიებში თითქმის ვერ გაიყიდა.

წელიწადი ვთქვი, ბებია სულ წიგნებს მიკითხავდა-მეთქი. მანსოვს მამა წიგნით ხელში, ხან უბრალო ფანქარი ეჭირა და რაღაცას ინიშნავდა წიგნშიც და რეუელშიც. მეც წიგნის კითხვა გვერდების გადახაზვა მეგონა და საბავშვო წიგნების ორფერი ქიმიური ფანქრებით „დამუშავებაზე“ არ გამბობდი უარს. ეს უფრო სახალისო იყო, ვიდრე მერე ანბანის შესწავლა აღმოჩნდა.

მამამ გაავზავნა ქართული ფულის დასახელების შემუშავებელ კომისიაში თავისი წინადადება, რომლის მიხედვით ფულს ლარი უნდა შერქმეოდა. უკვე ჯანშერყეული იყო, როცა ტელევიზიით მოისმინა, რომ ქართულ ფულს „ლარი შეერქვა“. სინარულით ტაში შემოტკრა, მაგრამ წინადადების ავტორი სხვა აღმოჩნდა. ეს მოხდა მისი წერილის გავზავნიდან 2 წლის შემდეგ. მამას ისე ლამაზად ჰქონდა დასაბუთებული — რატომ ლარი და არა სხვა, რომ ის სტატია ახლაც ლამაზი ლექსით იკითხება. იგი „სანთელი და სარკის“ 300 გვერდიან წიგნში შევიტანე. იქნებ მამაზე ამ საუბარსაც მოჰყვეს ვინმე გურიის გულშემატკივარი სპონსორის გამოხმაურება.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ლია კილაძე: არ ვიცნობ ბატონი ბაჩოს შემოქმედებას. ალბათ საინტერესო იქნებოდა, რა კონტექსტში ბრძანა ეს სიტყვები. ჩემთვის წარ-

სული ის გზაა, რომელიც მომავალში მიმიყვანს და ის ძალაცაა, რომელიც ქვეშემართებას, საკუთარ თავსა და ადგილს მაპოვნინებს.

საერთოდ, ძალიან ტრადიციული მენტალობის ვარ და წარსულის, აწმყოსა და მომავლის უწყვეტი კავშირის მჯერა. აქ ილია ჭაჭავაძის მოხმობაც მინდოდა... ილია ჭაჭავაძის მტკვერწაყრილი წიგნები ანლაც ბევრ საგულისხმო დარიგებას მისცემდა ქართველობას...

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი?

ლია კილაძე: დღეგანდელ აჩქარებულ ეპოქაში დროის დეფიციტი ყველას აქვს. სტუდენტობისას ბატონმა ნოდარ ტაბიძემ ამ თემაზე ჩანახატები დაგვაწერინა. მანსოვს, ჩემი კურსელის, გულნარა გორდელაძის ფრაზა: „ვიწვი და ჩაფერფვლას ვერ ვასწრებ, ისევ ვიწვი“.

ჟურნალისტებზე მოკლედ გეტყვი, იმიტომ რომ ჟურნალისტმა ამ დღის დაფიქსირებაც უნდა მოასწროს და სამომავლოდაც გადადოს ერთი მუგუზაღაქტივობა მაინც, იმიტომ რომ ჟურნალისტებს ყველაზე კარგად უნდა ჰქონდეთ შეგრძნობილი წუთის ფასი, პირდაპირი გაგებითაც კი. სასურველია, ყოველდღიურმა რუტინამ არ ჩაგითრიოს და ეს პირად ცხოვრებაშიც გაითვალისწინო.

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დაგუბრუნდეთ. მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში — ბოლოს. რომელ მათგანს ეთანხმები? ორივეს?

ლია კილაძე: სიცოცხლის ბოლომდე მემანსოვრება ფრაზა: „ტომ! პასუხი არ არის“ ... ამ ფრაზის მერე სულმოუთქმელად ჩავიკითხე ტომ სოიერის ამბავი, მგონი მე-7 კლასში ვიყავი. ალბათ კარგია, როცა ნაწარმოები პირველი ფრაზით გიზიდავს. თუშცა შთაბეჭდილება ბოლომდე უნდა ვაგყვეს.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? თქვენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ლია კილაძე: თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ძალიან შეერიო ბარბარიზმები, გრამატიკის ნორმების დარღვევა. საწყენია, რომ ჩემთვის ავტორიტეტულმა მწერალმაც კი განაცხადა, ეს თავისთავად დაინგეწებაო. მირჩევნია, ამაზე დღესვე დაიწყოს საუბარი. ამ სფეროში ნაკლებად ნაკითხი ვარ. ქართველი პროზაიკოსები შეეხნენ კომუნისტების ტაბუდადებულ თემებს და ეს საინტერესოა. ზაზა ბურჭულაძეს ვხე-

დავ წიგნის მოყვარულთა სოლიდურ ღონისძიებებზე, მისი ნაწერი არ წამიკითხავს, შორიდან არც მიმაჩნდა წასაკითხად, მაგრამ სიამოვნებით მოვისმენდი მასზე კრიტიკოსის აზრს.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმოებულთა და ნაკლებ მელიოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, სშინად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ლია კილაძე: ქალ-პროზაიკოსთა და პოეტთა რიცხვის ზრდას ორივე სქესის განვითარების თანაბარი პირობებით ვხსნი. ნაწარმოების კითხვისას ავტორზე მაგ ნიშნით არასოდეს მიფიქრია. ნებისმიერი ავტორი რაღაცნაირად მაინც თავის თავს დებს ნაწარმოებში და ლოგიკურად ქალი-ავტორები ალბათ ქალების თვალთახედვიდან დანახულ სურათებს გუთავაზებენ უკეთ. საგულისხმოა, რომ ყველაზე კარგი საბავშვო მწერალი ქალია. ქალი-მწერლების გაბედულება მათ მეტ გულწრფელობასა და ემოციურობას უკავშირდება.

საქართველოს, კონკრეტულად გურიის მაგალითზე რომ ვთქვა, 21-ე საუკუნემ გადააფხა ქალისა და კაცის როლები და ალბათ მენტალობაც შეიცვალა. დღეს ხშირით მებრძოლი მამაკაცი აღარავის სჭირდება. ყოველდღიური ბრძოლის ველზე ჯერჯერობით ქალები უფრო ვაჟაკობენ. ისინი თავგანწირულად შრომობენ ოჯახის სარჩენად მაშინ, როდესაც მამაკაცების უმრავლესობა „ძველ დიდებს“ მისტირის. ძველი პრესტიჟული სამსახური მათ ვერაფრით ჩანაცვლეს. უცხოეთში გადახვეწილი მეუღლეებისგან ან ქუჩაში წვრილმანებით მოვაჭრე ცოლების იმედად არიან და თან „ოჯახის თავის“ ფუნქციას ინარჩუნებენ.

ეს პროცესები წესით ლიტერატურაშიც უნდა აირეკლოს.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ლია კილაძე: თანამედროვე ლიტერატურაში და თანამედროვე ცხოვრებაში აკრძალული თემა აღარ მეგულება, მაგრამ ლიტერატურა ისაა, რომელიც ამას ლამაზად და მისაღებად მომიყვება.

გიორგი კილაძე: მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმში „ებლიტფო? რას შეცვლიდით? „ჟურნალისტიკის მონოლოგი“ როდის დაგვიწეროთ?

ლია კილაძე: ძალიან კარგ და საჭირო საქმეს აკეთებთ, რასაც „ებლიტფოზე“ გამართული დისკუსიები და შეხვედრებიც ადასტურებს. კარგი იქნებოდა, თუ „ებლიტფოზე“ პროფესიონალი კრიტიკოსების სტატიებსაც ვიპოვიდი.

„ჟურნალისტიკის მონოლოგი“... უცებ აღსარებასთან გაგაიგივე. ორივე ძალიან საინტერესო თემაა. თუ მონოლოგი ახლა არსებულ „იყიდე-გაყიდე“ პოლიტიკაზე დაგწერე, იქნებ ეს სგალაც გაგაკეთო.

გიორგი კილაძე: „ებლიტფო“ ლიტსივრცის ნაწილია. ისაუბრეთ...

ლია კილაძე: „ებლიტფო“ მუდამ საქმის კურსშია, მუდამ განახლებადი, ლიტერატორთა თავშეყრის ადგილი, სადაც ახალი იდეები იბადება და სადაც ლიტერატურისა და ლიტერატორთა პიპოლარნიზაცია და წახალისება ხდება.

გიორგი კილაძე: მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გაგისხნო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და პროზა არ მომეკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ: მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტიკაში აიღეს, მორალური საკითხები – ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და, უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, გერაფერი ისე ვერ ვადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თნობა“. – კითხვას არ დაგისვამთ, უბრალოდ, კომენტარს გთხოვთ...

ლია კილაძე: მართლაც შეუძლებელია დღეს ბალზაკივით წერა. ისიც მართალია, რომ სფეროების სპეციალიზაცია მოხდა, მაგრამ კარგად თნობა მაინც ყველაფრის მომცველია და ბევრი ფიქრის მიზეზებს გიტოვებს. დღეს დიდ თემატიკაზე პატარა ზომის ნაწარმოებთაც მშვენივრად საუბრობენ. მაგალითისათვის ჰემინგუეის მოთნობებიც გამოდგება. დღეს ლიტერატურა აისბერგს დაემსგავსა, გურულად რომ ვთქვა, „ორი იმდენი მიწისქვეშა“. აზრს სიღმეებში, სტრიქონებს შორის უნდა მისდიო.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ: მოგწონს თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართული პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ლია კილაძე: მომწონს თანამედროვეთა ლექსები. მათ ბედს მომაჯალი გადაწყვეტს. მანამდე კი სასურველია წიგნის გამოცემა ხელმისაწვდომი იყოს მათთვის. იქნებ ისევ „ებლიფტოს“ დახმარებით გაერთიანდნენ ეს ადამიანები და საერთო კრებულის გამოცემაზე იფიქრონ? ეს ნარჯების პრობლემას შეამსუბუქებდა და წიგნიც უფრო გაყიდვადი გამოვიდოდა.

გიორგი კილაძე: თვლით თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“... იქნებ ყველა ლექსია ასეთი...

ლია კილაძე: ვეთანხმები, რომ ლექსი ბოლო, ბოლოს წინა და შემდეგ, რომელიც რაღაც მომენტში ბოლო იყო, სულის თავგადასავალია და შესაბამისად, ეგოისტური ამბავიც. თუმცა, ეგოისტური იქ მთავრდება, სადაც ლექსი მკითხველს სვდება.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ლია კილაძე: პროფესიონალი კრიტიკოსის წაკითხვის სიამოვნება იშვიათად მქონია. ცოტას მასმედიაც სცოდავს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ლიტერატურას, თავად ლიტერატორთაგანაც უნდა იზრუნონ და საზოგადოების მსჯელობის საგნად აქციონ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ნაწარმოები. დღეს პოპულარიზაცია და რეკლამა ყველაფერს სჭირდება. საჭიროა პროფესიონალი კრიტიკოსების წარმოჩენა. გიორგი, იქნებ „ებლიფტომ“ გამოიწვიოს კრიტიკოსები?

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვავრდით. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ჟიურის წევრობას თუ ისურვებდით? როგორ ფიქრობ, ძნელი იქნება?

ლია კილაძე: კარგია, რომ ასეთი კონკურსები იმართება და შემოქმედების მოტივირებას ახდენენ, შემოქმედებაც და მისი შეფასებაც რაღაც დოზით არის სუბიექტური, რადგან ჩემთვის ეს ემოციას უკავშირდება. ამიტომ ჟიურში მოსგედრას თავს აგარიდებდი.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება... ხარისხი მოგწონთ?

ლია კილაძე: ინგლისურენოვან ორიგინალს ვერ ვკითხულობ, რუსულს — იშვიათად. ამ გადასახედიდან თარგმანები ჩემთვის მისაღებია. არ მომწონს ინგლისურის გადამეტებულ კალკირება არა მარტო

მთარგმნელების, არამედ ჟურნალისტების ენაში. არ მომწონს, როცა ამბობენ „ბოზარდ“ და არა „საბჭო“, „თინეიჯერი“ და არა „ყმაწვილი“... „პრევენცია“, „სიღაბუსი“...

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის?

ლია კილაძე: საგამომცემლო საქმე დღითიდღე ვითარდება, ლიტერატურული პერიოდიკის წილი მცირეა, რაც დღევანდელ სოციალურ პრობლემებს უკავშირდება. კარგი იქნებოდა მენილა საქართველოს მასშტაბით ისეთი პოპულარული ლიტერატურული გამოცემა, როგორიც იყო „ლიტერატურული საქართველო“. ამას ჯერ ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერება უნდა უძღოდეს წინ.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოთ, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

ლია კილაძე: ამაზე არ მიფიქრია. გადავიღებდი „ვეფხისტყაოსანს“ და კიდევ ბიოლის „ჯამბაზის თვალთახედვას“.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ლია კილაძე: რომელიც წაკითხვის შემდეგაც ბევრჯერ გამახსენდება; რომელიც დამენმარება უკეთესი და უფრო წარმატებული ვიყო და ასე ვიძეგობრებო.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორიც მინდა ვიყო...

ლია კილაძე: იმიტომ არ ვარ კარგი მკითხველი, რომ ვერ ვახერხებ დროის სწორად გადახაწილებას და პრობლემების მოგვარებას.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს?

ლია კილაძე: კითხვა ჩემი ვატაცება კი არა, ცნობრება იყო და ახლა პირველად ვიფიქრე, რომ ნებაყოფლობით „კარცერ ლუქსში“ ჯდომამ და კიდევ სხვა მომენტებმაც ალბათ რეალობას მომწვევითა. ვეძებდი ყოველივე ამაღლებულს, მჯეროდა იდეების, სათნოების. სამყაროში უარყ-

ოფითი მომენტები იშვიათობა მეკონა. ამასობაში ჩემს ირგვლივ სამყარო აყირავდა... გაძარცვულად და არშემდგარადაც სწირად ვგრძნობ თავს...

ანლა სხვა მომენტებთან ერთად, რაშიც ადამიანები და მათი განწყობანი იგულისხმება, ზურგს ბაოლო კოელიო მიმაგრებს. მისი „აღქიმიკოსი“ და „თერთმეტი წუთი“, გაბრიელ გარსია მარკესის ფრაზები ცხოვრებაზე, გალაკტიონი, იაშვილი... თუმცა ანლა იშვიათად ვკითხულობ...

გიორგი კილაძე: „კარცერ ლუქის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ლია კილაძე: შიში შეიქმნ სიყვარულსაო... იქნებ დაძალებაც გამართლებული იყოს. ვასიკო კეჟერაძეს თანამედროვე ვასიკო კეჟერაძე ჰგავს ქართული სიტყვების პატივისცემაში, ლიტერატურის სიყვარულში, თითქმის ყველაფერში, მაგრამ იგი იძულებულია დღეს უფრო პრაგმატული იყოს და მეტი დრო დაუთმოს თავისი საქმიანობის მენეჯმენტს ანუ დღეს ვასიკო „ჩამოლაბორანტებულია“.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სწირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა)?

ლია კილაძე: გიორგი, ამ კითხვას ერთხელ გუბასუნე, მაგრამ ანლა ვეცდები, უფრო ანლოს დავრჩე ლიტერატურასთან.

ჩემი პასუხგაუცემელი კითხვებია: რამდენად შევძელი წაკითხულის შეცნობა? ლიტერატურა შეძლებს ადამიანების გაკეთილშობილებას? რატომ მოდიან ადამიანები ალტაცებაში ზნეობრივი ლიტერატურის კითხვით და რატომ ირჩევენ უზნეობას?

რა ვიცი ზუსტად? ბევრი არაფერი. ვიცი, რომ საქართველოში არასოდეს იქნება მწერლებისა და პოეტების დეფიციტი. ვიცი, რომ ყველა ანალი წიგნი ცხოვრების ანალი ფურცელია, ანუ ანლებურად დანახვის შანსია და მასში რასაც ეძებ, ყოველთვის იმას იპოვი. საყვარელი წიგნის ბოლომდე შეცნობა თუ გინდა, ბევრჯერ უნდა წაიკითხო.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ია, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ია გეგუა: ამ მხრივ გამონაკლისს წარმოვადგენ, რადგან არასდროს მიცდია მწერლობაში ძალების მოსინჯვა. ვამჯობინებ ვიკითხო, ვიდრე ვწერო, მით უმეტეს, რომ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ისედაც ძალიან ბევრის წერა მიწევს. თუმცა მცირედი, უმნიშვნელო მცდელობა მაინც მქონდა – სამიოდე წლის წინ literatura.ge-ს ფორუმზე პატარა აბსურდული მოთხრობების წერა დავიწყე, რამაც ისე გამიტაცა, რომ საბოლოოდ ერთგვარი ჟანრიც კი შევქმენი. სამი მოთხრობა (თუ მათ შეიძლება მოთხრობები ვუწოდოთ) „ლიტერატურულ პალიტრაშიც“ დაბეჭდეს.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვიოთ, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი? „ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები!“ – თქვენი კოლეგის ინტერვიუდანაა. თქვენთან როგორაა საქმე?

ია გეგუა: ვფიქრობ, ჩემი კოლეგა აჭარბებს, რადგან კარგი განაწილების შემთხვევაში დრო ყოველთვის გრჩება. მე ამჟამად სუთ გამოცემასთან ვთანამშრომლობ (ყოველდღიური გაზეთი „24 საათი“, ჟურნალები: „ამარტა“, „ფოკუსი“, „მაუწყებელი“ და „თბილისი აუთი“) და დამიჯერეთ, პირადი ცნობრებისთვისაც მრჩება დრო, კინოში სიარულისთვისაც, თამაშისთვისაც, ლაშქრობებისთვისაც და უსაქმურობისთვისაც.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას

(თითქმის არაფერს) ნიშნავს“, — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ია ვეკუა: კარგი სელოკიანი მუდმივად იზრდება, მისი დღევანდელი დღე უფრო ნაყოფიერი და სავსეა, ვიდრე გუშინდელი. გენიოსად არავინ იბადება, ამ წოდებამდე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიხვიდე. ნებისმიერმა ჩვენგანმა გაიხსენოს, რას და როგორ წერდა კარიერის დასაწყისში. პირადად ჩემთვის ჩემი პირველი სტატიები ბავშვურ ღლაბუცს წააგავს. ამრიგად, ეთანხმები ბაჩოს, რომ შემოქმედებითი წარსული არაფერს ნიშნავს. მთავარია, რას წარმოგადგენთ დღეს და რა შეგვიძლია გაგაკეთოთ სვალ.

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მთხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში — ფინალს. თქვენთან როგორია საქმე?

ია ვეკუა: ჩემთვის მთავარი სათაური და შესავალია. მიმაჩნია, რომ ეს ორი კომპონენტი სწორედ იმ მარცვლისა და ნიადგის ფუნქციას ასრულებს, რომლებიც შემდგომში მთავარ შედეგს განაპირობებს. სათაურისა და შესავლის წერა ჩემმა პირველმა რედაქტორმა, ლია ტოკლიკიშვილმა (გაზეთი „ახალი 7 დღე“) მასწავლა. არ დამავიწყდება, როგორი მოთმინებით მისწინდა მათ მნიშვნელობას; ამიტომ სათაურზე შეიძლება იმაზე დიდხანს ვიფიქრო, ვიდრე სტატიის დასაწერად მჭირდება.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში „აკრძალული თემები?“ ქართულში?

ია ვეკუა: თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურას, ვფიქრობ, ამ მხრივ შეზღუდვები არ აქვს, ქართულ ლიტერატურაში კი კვლავაც რჩება ღია თემები, სწორედ ის თემები, რომლებზეც არა თუ წერას, არამედ საუბარსაც გაუზრბავართ. ასევე პრობლემად მიმაჩნია ისიც, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, მცირედ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, არ აქვს ათვისებული რამდენიმე საინტერესო ჟანრი: ტრილერი, დეტექტივი, ფანტასტიკა, ფენტეზი. ეს სწორედ ის ჟანრებია, რომლებიც განსაკუთრებულ ფანტაზიას, დიდ ცოდნას, გარკვეულ განათლებას მოითხოვს, ალბათ, ამიტომაც რჩებიან ისინი სელშეუხებელ ჟანრებად. ამას შესაძლოა ისიც განაპირობებს, რომ ჩამოთვლილი ჟანრები (უფრო ფანტასტიკა, ფენტეზი) მკითხველშიც ნაკლებად პოპულარულია, ძალიან ცნობილი ნაწარმოებების გარდა ქართულად პრაქტიკულად არ თარგმნიან, არადა, ისინი საბავშვო საკითხავსაც შეგვიძლია მიგაკუთვნოთ და უფროსებისთვისაც საინტერესო იქნება.

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვი თცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ია ვეკუა: პოეზიაში დაახლოებით ისე ვერკვევი, როგორც ძველგვიბტურ დამწერლობაში...

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასაკითაა“, — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემომღალწუნებელს მეორე ლოცა უნდა მიუშვირო“. „ჟარგონი, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, შორისდებულებით ორგანულია. იმისთვის, რომ ეხატაჟი არ შეგვრჩეს ხელში“, — ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... თქვენი კომენტარი?

ია ვეკუა: თუ ვწერთ თანამედროვე მკითხველისთვის, მაშინ მისთვის გასაგები ენით უნდა ვისაუბროთ. „ჟარგონს“ საგაზეთო სტატიების წერისას თავადაც არ ვერიდები; ვფიქრობ, ის საკითხავს ახალისებს, უშუალოს ხდის, ამსუბუქებს. თუმცა ცხადია, „ჟარგონი“ ზომიერად უნდა გამოვიყენოთ — ლიტერატურას ხომ მკითხველის გაზრდის ფუნქციაც გააჩნია.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული, სამაგიეროდ ქალების პროზა — უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ია ვეკუა: ზოგადად ქალის როლი იმდენად გაზრდილია, არ არის გასაკვირი, რომ ლიტერატურაშიც ჩვენს ადგილს ვიკავებთ. ქალი-ავტორები მამაკაცებზე არანაკლებ თამამები და გამომგონებლები არიან. თუნდაც ის ფაქტი, რომ ფენტეზის ჟანრში მართლ ქალი-ავტორი, ნატო დაგითაშვილი მუშაობს, ჩემთვის ძალიან საგულისხმო და დასაფასებელია. გარდა ამისა, საბავშვო ლიტერატურასაც ძირითადად ქალი-ავტორები წერენ. ეს ნიშნავს, რომ მათ საკუთარ თავზე აქვთ აღებული ახალი მკითხველის გაზრდის მისია.

გიორგი კილაძე: ერთგული ბიბლიოთეკის ლიტერატურაში „ებლიტ-ფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო — „ხელნაწერი „გეფენისტყაოსანი““. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „გეფენისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

ია ვეკუა: უბრალოდ ამაყი ვარ, რომ ეს ნაწარმოები ქართული კულტურული საგანძურის ნაწილია.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოს-სს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ია ვეკუა: რა თქმა უნდა ჰყავს, უბრალოდ სხვა საქმეა, რამდენად მნიშვნელოვანია მათი აზრი მკითხველისთვის. პირადად მე არასდროს მიმიქცევია ყურადღება კრიტიკოსის შეფასებისთვის, ვყიდულობ და ვკითხულობ იმას, რაც მინდა და შემდეგ უკვე საკუთარ აზრს ვიქმნი ამა თუ იმ ნაწარმოებზე.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე. რამდენად თბიქტურად იმართება საქართველოში?

ია ვეკუა: ზოგადად კონკურსების სიმრავლე მოწმობს, რომ ქვეყანაში ლიტერატურული პროცესი არსებობს, რაც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. არის კონკურსები როგორც უკვე შემდგარი ავტორებისთვის, ისე დამწყებთათვისაც, რაც გამარჯვების შემთხვევაში მათთვის წახალისების ფუნქციასაც ასრულებს. ვიცნობ დამწყებ ავტორებს, რომლებიც სპეციალურად კონკურსებისთვისაც წერენ, რაც სულაც არ მიმაჩნია არასწორად. ასეთ დროსაც შეიძლება ძალიან კარგი ლექსი ან მოთხრობა დაწერონ.

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

ია ვეკუა: ახალი ავტორების აღმოჩენა, ჟანრული მრავალფეროვნება და ჩვეულებრივი მკითხველისთვის გასაგები ენით დაწერილი კრიტიკული წერილები ალბათ მთავარი პრიორიტეტები იქნებოდა.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

ია ვეკუა: როგორც წესი, ჩანს, რაც ნაკლებად მომწონს. ზედმეტად პირადი ისტორიები და განწყობები არ მიზიდავს. მირჩევნია სრულიად გამოვლინებული ისტორია, განწყობა, ნახიათი, პერსონაჟები და ასე შემდეგ.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

ია გეკუა: ეკრანიზაცია ერთ-ერთი ყველაზე სათუთი და რთული კინოჟანრია, რომლის კარგად გადაღებაც ასიდან ორ რეჟისორს თუ შეუძლია, ამრიგად, ამ თემაზე ფიქრსაც გავუბიჯარ. თუმცა სიამოვნებით ვნახავდი რობერტ ჰაინლიანის საკულტო რომანის „უცხო უცხოთა შორის“ (შტრანგერ ინ ა შტრანგე ანდ) ეკრანიზაციას. ეს ნაწარმოები უდიდეს ნამუშევრად მიმაჩნია და რა სამწუნართა, რომ მისი ეკრანიზაცია პრაქტიკულად არაფის ძალეუძს.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი რომელიც...

ია გეკუა: ...იმაზე ნაკლებს სვამს, ვიდრე წერს.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

ია გეკუა: იძულებით ვერაფერს შეაყვარებ და არც უნდა ეცადო. „ყველამ უნდა აკეთოს ის, რაც სურს და ისე იცხოვროს, როგორც საჭიროდ მიაჩნია. ამრიგად, კარცერ ლუქსების მსგავსი გამოგონებების წინააღმდეგე ვარ. მას არაჩვეულებრივი ალტერნატივა გააჩნია – ადამიანს ბავშვობიდან უნდა შეაყვარო კითხვა. საბავშვო ლიტერატურა იმდენად დიდი საოცრებაა, რომ შეუძლებელია ბავშვი არ დაინტერესდეს – თუნდაც „ტომ სოიერის“ დასაწყისი ხომ ლიტერატურის სამყაროს საუკეთესო თიწერია.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ია გეკუა: ექვსი წლის ვიყავი, როდესაც სკოლიდან დაბრუნებულს შინ მხოლოდ უფროსი ძმა დამხვდა. მთხოვა, თვალები დამენუჭა და მის ხმას გავყოლოდი. გავყევი. ორიოდე წამში მითხრა, რომ თვალების გახელა შემიძლო. გავახილე და წ წლის ბავშვისთვის ალბათ ყველაზე დიდი სასწაული ვიხილე – ფერადი ტელევიზორი! ეკრანთან ახლოს მივედი, მის მხუსნავ ზედაპირს ცხვირის წვერით შევეხე და ფერად წერტილებში

ჩაკარგული ვცდილობდი, სულ ცოტათი მაინც მივმსჯდარიყავი, როგორ გაფერადდა მუდამ შავ-თეთრი გამოსახულება, საიდან მოდიოდა სანახაობა, რომელიც კლასელებთან სატრახანოდ და ძილის წინ საოცნებოდ რამდენიმე დღის განმავლობაში გამყვა. იმის მერე თითქმის 30 წელი გავიდა და ჩემს გარშემო არსებული სამყარო სულ უფრო იცვლებოდა, ვითარდებოდა: ვნახე პირველი კომპიუტერი, უკაბელო ტელეფონი, დნმ-ის სტრუქტურის გაშიფრვა, კლონირებული ცხვარი, სენსორული მონიტორები, სამგანზომილებიანი გამოსახულება, ვიდეოთამაშების შეშლილი სამყარო, მარსის ზედაპირის გამოსაკვლევეად გაგზავნილი ზონდი, უამრავი სხვა რამ და ჩემი მთავარი კითხვაც სწორედ აქ ჩნდება: კიდევ რამდენის მიღწევა შეუძლია ადამიანს, რომელსაც წინ ალბათ უცხო ცივილიზაციასთან კავშირის დამყარება, სხვა გალაქტიკაში კოლონიების დაარსება, სინათლის სინქარით გადაადგილება, ტელეპორტაციის მეთოდისა თუ დროის მანქანის გამოგონება და ვინ იცის, კიდევ რა ელის. და ნურავინ იტყვის, რომ ადამიანს ეს არ შეუძლია, რადგან ამ ტექსტს მის მიერ გამოგონილი იმ ნივთის მეშვეობით ვწერ, რომლის არსებობაც რამდენიმე ათეული წლის წინ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა...

როგორ უნდა მქონდეს რაიმე კითხვაზე ზუსტი პასუხი, როცა წესიერად ისიც კი არ ვიცი, როდის დავიბადე – 27 თებერვალს თუ 28-ში. ბავშვობაში დაბადების დღეს 27-ში მისდიდნენ, დაბადების მოწმობასა და ყველა საბუთშიც ეს თარიღია მითითებული, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა: ალბათ 12 წლის ვიქნებოდი, როდესაც კარადის უჯრაში, სადაც დედაჩემი და ჩემი ძმის პირველი თმის კულულს და სამშობიაროში მიწერილ წერილებს ინახავდა, თოკით შეკრული ცისფერი მუშაბის ნაგლეჯი ვიპოვნე (სწორედ ის, ადრე ახალშობილებს მაჯაზე რომ აბამდნენ), რომელზეც ჩემი დაბადების დროდ 28 თებერვალი იყო მითითებული. ეს ერთადერთია, რაც ჩემი დაბადების ალტერნატიულ თარიღს ასახელებს, თუმცა მაინც იქცა იმ ჩემთვისვე აუხსნელ მიზეზად, რის გამოც გადავწყვიტე, საკუთარი დაბადება ერთი დღით გადამეწია. მას შემდეგ, როდესაც მეკითხებიან, თუ როდის მაქვს დაბადების დღე, ვპასუხობ, რომ ზუსტად არ ვიცი, ან როგორ უნდა მქონდეს ზუსტი პასუხები, როდესაც ყველაზე ხშირად ადამიანის შეუზღუდავ შესაძლებლობებზე ვფიქრობ...

ბიორეზი კილაჰი - მაია მიქაია

გიორგი კილაჰი: ქალბატონო მაია, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა. ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მაია მიქაია: დაბადების თარიღი — 9 აპრილი, 1969 წ;

პროფესია — ფილოლოგი, ჟურნალისტი, სამართალმცოდნე;

განათლება — ფილოლოგიური (ასუ), ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (ასუ), სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი (ოსუ);

1982-92 წწ. ქ. გალის რაიონული გაზეთის „სათანჯოს“ კორექტორი და კორესპონდენტი;

1990-92 წწ. ქ. გალის რაიონული რადიოს რედაქტორი;

1993-95 წწ. გაზეთ „შანსის“ კორექტორი და კორესპონდენტი;

1997 წწ. გაზეთ „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტი;

2009-2010 წწ. გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ სტილისტ-კორექტორი და რედაქტორი;

2010-11 წწ. ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ სტილისტ-კორექტორი და მონივე რედაქტორი;

ვიყავი სტილისტ-კორექტორი და რედაქტორი გამოცემებისა: „უანლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, „ქართული პროზის უანლესი ანთოლოგია“, „დედა ქართულ პოეზიაში“, „შავი წიგნი“ (კიტა ბუაჩიძე, ქართულ-რუსული გამოცემა), „მართალს ვიტყვი...“ (ვანუშტი კოტეტიშვილი), „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“ (გელა სულაძე), „სკოლის ფსიქოლოგია“ და „ბავშვის ფსიქოლოგია“ (მამია ყოლბაია), „ლოცვა ლექსებით“ (ვაჟა ოთარაშვილი), „სამთავისი“ (ვაჟა ოთარაშვილი), ლექსები (მურად ნებიერიძე), „მისტიკური მოთხრობები“

(იმიერი), „ბოჰემური მისტერია“ (სვინა ყალაბეგაშვილი), „თამაში მარ-გალიტებით“ (სალომე გოგოლაძე), ზღაპრები (მაკა სეფაშვილი), „ქართულ-სვანური ლექსიკონი“ (ასლან ლიპარტელიანი) და სხვ.

მეუღლე – ზურაბ ყოლბაია, შვილები – ელენე (16 წ.), თამაზ (6 წ.).

რაც შეეხება ლიტერატურულ მოღვაწეობას, 14 წლიდან ვაჟკაცებს ლექსებს და მოთხრობებს სწავლას სვანულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის, „ლიტერატურა და ხელოვნება“-ში, „ოლე“-ში და „ლიტერატურულ პალიტრა“-ში.

გიორგი კილაძე: აფხაზეთიდან ბრძანდებით... აფხაზეთზე მომიყვით...

მაიკო მიქაია: უსაზღვროდ მიყვარს და ტკივილამდე მენატრება... მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვით, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი? „ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები!“ – თქვენს კოლეგის ინტერვიუდანაა. თქვენთან როგორაა საქმე?

მაიკო მიქაია: სამწუხაროდ და საბედნიეროდ, საკმაოდ თავისუფალი გრაფიკი მაქვს. სამწუხაროდ იმიტომ, რომ ჟურნალი, რომლისთვისაც ვწერდი, ფინანსური პრობლემის გამო შეჩერებულია. სვანულ სტაბილურ სამუშაოს ვერ ვპოულობ (შეიძლება ცუდად ვეძებ). ძირითადად სახლში ვმუშაობ, ვაკეთებ ლიტერატურული თუ არალიტერატურული წიგნების რედაქტირებას; ვწერ, ვთარგმნი. საბედნიეროდ კი იმიტომ, რომ ახლა ჩემი დროის უდიდესი ნაწილი ჩემს შვილებს ეკუთვნით...

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

მაიკო მიქაია: არ ვეთანხმები! შემოქმედებითი წარსული, თუნდაც სუსტი და დაუსვეწავი, ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილების ყველაზე გულწრფელი ასახვაა. როცა ვკითხულობ ძველ, ბავშვობისდროინდელ ლექსებს, მიუხედავად სუსტი, დაუსვეწავი რითმებისა, ძალიან დიდ, პოზიტიურ ენერჯიას ვგრძობ და ჩემი ცხოვრების ბევრ მომენტს აღვიდგენ მენსიურებაში. ესეც ნომ გარკვეულწილად ჩვენი (შემოქმედებითი) ისტორიაა!

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ

მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში – ფინალს თქვენთან როგორაა საქმე?

მაიკო მიქაია: ორივეს ვეთანხმები: პირველმა წინადადებაში კითხვის გასაგრძელებლად სტიმული უნდა მოგცეს ფინალი კი ლექსისთვის ბოლო აკორდია, რომელმაც საბოლოო განაჩენი უნდა გამოუტანოს წაკითხულს.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ. არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში „აკრძალული თემები“? ქართულში?

მაიკო მიქაია: არსებობს და ვფიქრობ, ზოგიერთ მათგანს ნელ-ნელა ეხსნება ტაბუ, ზოგიერთი კი აჯობებს, ბოლომდე იყოს ტაბუირებული (ჩვენი ეროვნული მენტალიტეტიდან გამომდინარე).

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაიკო, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „ეჟურნალისტიის მონოლოგს“ როდის დაგვიწეროთ?

მაიკო მიქაია: მომწონს. განსაკუთრებით ის, რომ ასე აქტიურად გვეკონტაქტებით და ჩვენც გვაძიებთ, ვიაქტიურით.

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენ აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

მაიკო მიქაია: რა თქმა უნდა, ყველაფერი არ მომწონს. მყავს ჩემი ფაგორიტი ანაღვაზრდა პოეტები და ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო თაობა მოდის. მომავალში ალბათ გამოიკვეთება, ვინ არის მათგან ყველაზე ნიჭიერი, ვის უწერია, ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავისი კვალი დატოვოს.

ასე გამოკვეთილად სავიზიტო ლექსი არ მაქვს, მაგრამ (რადგან ეს გამოკითხვაც ინტერნეტით ხდება) გამოვგზავნი ერთ ლექსს, რომელიც ჩემს ვირტუალურ მეგობრებს ყველაზე ძალიან მოეწონათ.

გამიცანით!
(Facebook-ელებს)

...ახლა ინტერნეტს შენიწუნლნი ვერთობთ მოწყენას,
ვთამაშობთ, თითქოს ყველაფერზე გული შეგვტყავა
და ინტერესით ვაფიქსირებთ ყველა მოვლენას...

ერთმანეთს ვიცნობთ? გამიცანით, მე ასეთი ვარ:
 მადლობელი ვარ, რომ გამინდა მეგობრად მტერი,
 მადლობელი ვარ იმ გზის გამოც, რაც გავიარე.
 თუმცა ღალატის გემოც ვიცი... გემოც და ფერიც...
 დღემდე ვენდობი გაღიმებულ ადამიანებს;
 საკუთარ თავზე სშირად მწარე მომსვლია ბრაზი,
 რომ მაგიჟებდა სულელური, ბინძური ჭორი...
 ვარ სამყაროში დაკარგული პატარა ხაზი —
 ზოგჯერ ჩაწერაც ავიწყდებათ ტყუბ სიტყვას შორის;
 გამომიციდია, რასაც ცრემლის გაშრობა ჰქვია,
 (თუ დამიჯერებთ, უგულობას სულაც არ ნიშნავს)...
 და რომ იმსჯერებლა, თურმე, ვილაც წუნელის ტყვიამ,
 იყო მსოფლოდღა სამწუნნარო ფაქტის აღნიშვნა;
 ვნებასაც ვიცნობ ბალახებზე მცოცავი ნამის,
 მიწამ რომ უნდა შეისრუტოს ხარბად... და კიდევ,
 როდესაც მიყვარს, სამყაროზე დიდი ვარ ღამის —
 წარსულის ყველა დავიწყებულ სინარულს ვიტევ;
 რას უფრო მეტი აქვს სიღრმე და აქვს სიღამაზე —
 ქართულ ზეცას, თუ ქართულ ფესვებს, თუ ქართულ ბგერას?
 რაც გვაქვს და გვიყვარს, უფრო მეტად თუ დავაფასებთ,
 ვფიქრობ, (თუ მჯერა), არ დაგკარგავთ... მინდა და... მჯერა!
 სამწუნნაროა, დრო ისეთი სისწრაფით გარბის,
 ვერ ვასწრებთ სელი გაუწოდით და სითბო გავცეთ...
 როცა სეგლისთვის გონებაში ვამზადებ სადილს,
 მაშინდა გსგდები, დღე გასულა და დავიქანცე;
 მე ასეთი ვარ! ბევრი რამე, ალბათ, დაჟმალე,
 ბევრ რამეს თვითონ მისვდებოდი, ბევრიც გამომრჩა...
 და მაპატიეთ, თუ აქამდე ჩემით დაგღალეთ,
 ანლა თქვენ უნდა ამომივსოთ სიტყვებით სონჩა.
 ხან „სმაილს“ გზავნით, ხან სურათებს „დამილიაკებთ“,
 ხან წერილს მომწერთ, ხან ლექსებით მიქმნით განწყობას,
 მაგრამ არ მიცნობთ... ჩამომართვით სელი, გაიგებთ —
 მართლა ძალიან მინარია თქვენი გაცნობა!

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო
 ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონ-
 იც“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა, — ბრძანა
 ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვირტიას აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის

„შემოღლაწუნება“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითხროვს, ასეთ დროს შემომღლაწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო. „ჟარგონი“, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ებატაჟი არ შეგვრჩეს სელში“, – ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... თქვენი კომენტარი.

მაიკო მიქიაია: იცით, ზოგიერთ შემთხვევაში ჟარგონი აუცილებელიც კი არის. „შემოღლაწუნება“ მოსათმენია, თუ ეს ჟარგონი ყურით მითრეული არაა და... ჟარგონსაც გააჩნია.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

მაიკო მიქიაია: თვით ეს გამოთქმა – „ლექსზე მუშაობა“ ცოტა მენამუშება, თუმცა ახეგრად მძინარეს ლექსი რომ გიტრიალებს თავში, მოსვენებას არ გაძლევს და იძულებული ხარ იკადრო, ადგე და ფურცელზე გადაიტანო, ეს უკვე მუშაობაა! არა?

გიორგი კილაძე: „მომწონს (თანამედროვე ქართული პოეზია) ერთი მხრივ, თუმცა მეორე მხრივ ძალიან დიდი გავლენებია ერთმანეთის სხვადასხვა ავტორში“ – თქვენი კომენტარი.

მაიკო მიქიაია: კი, გავლენა ნამდვილად არის: ერთმანეთისაც, ქართველი თუ უცხოელი კლასიკოსებისაც... თუმცა, ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. დაინვეწებიან, მეტ ცნოვრებისეულ გამოცდილებას შეიძენენ და პოეზიაში საკუთარი, მსოფლიო მათთვის დამახასიათებელი სახეებითაც მოვლენ. რა თქმა უნდა, ეს იმ ბედნიერ ერთეულებს ენებათ, ვისაც პოეტად ქცევა უწერია.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მითხრობების ნაწილი უფრო თავმობშულია და ნაკლებმელოდრამატული, სამაგიეროდ ქალების პროზა უფრო ინტუიტიურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ? თამარ ერგემლიძის შემოქმედებაზე რას იტყვით?

მაიკო მიქიაია: ჩემი აზრით, ნამდვილი შემოქმედისთვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

გიორგი კილაძე: ერთვნილი ბიბლიოთეკის ლიტერატურაჲმ „ებლიტ-ფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „გეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „გეფხისტყაოსანი“ მესაუბრეთ...

მაიკო შიქაია: ხშირად ამბობენ, რომ „გეფხისტყაოსანი“ სკოლაში სწავლის დროს არ უყვარდათ და მხოლოდ მერე გააცნობიერეს მისი მნიშვნელობა. საბედნიეროდ, მყავდა მასწავლებელი, რომელიც ჩემი მეგ-ზური იყო ლიტერატურაში (და არა მხოლოდ) და ეს გენიალური ნაწარ-მოები ბავშვობაშივე შემაყვარა. მანვე მთხოვა, როცა უნივერსიტეტს და-ვამთავრებდი, კიდეც ერთხელ ყურადღებით წამეკითხა.

ერთხელ მომიწია წერილის დაწერა ნიდერლანდებში ქართული დღეე-ბის შესახებ. ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც ამ დღეების ფარგლებში ჩატარდა, სწორედ „გეფხისტყაოსანს“ ენებოდა. ჰოლანდიაში, ლეიდენში, მსოფლიოს ასი შედეგრიდან ნაწყვეტები განთავსებულია დიდი შენობების კედლებზე. ამ ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ ქუჩაზე ახლა „გეფხისტყაოს-ნიდან“ ნაწყვეტია განთავსებული ქართულ და ჰოლანდიურ ენებზე...

ძალიან მიყვარს და ვამაყობ ასეთი ლიტერატურული წარსულით!

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკო-სი ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნო-ბა დღეს ეს სიმძაფრე თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

მაიკო შიქაია: სამწუხაროდ, დღეს ლიტერატურას მხოლოდ მკითხ-ველი აფასებს. მკითხველს კი, განსაკუთრებით დამწეებს, აუცილებლად სჭირდება ჭკვიანი მეგზური.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

მაიკო შიქაია: ზოგი ობიექტურია, ზოგი – არა... თუმცა, კონკურსე-ბი აუცილებელია, თუნდაც იმისთვის, რომ მონაწილე პოეტებმა და მწერ-ლებმა გაიცნონ და თავისებურად შეაფასონ ერთმანეთი.

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქ-ტორი იყოთ...

მაიკო შიქაია: ძალიან ბევრ ახალგაზრდა შემოქმედს შეგუწყობდი ხელს. გავმართავდი საღამოებს, სადაც ისინი შეგვგებოდნენ უკვე ჩამოყ-ალიბებულ ლიტერატორებს... ახალგაზრდებისთვის სტიმულის მიცემა

აუცილებელია. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ „პატარა პოეტები და მწერ-
ლები“ ზოგჯერ ზედმეტად თავდაჯერებულები არიან და არ მოსწონთ
შენიშვნები.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

მაიკო მიქაია: ნაწერი ავტორის სულის (და ცოდნის) სრული ასახვაა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოს, რომელ ლიტნაწარ-
მოებს გადაიღებდით?

მაიკო მიქაია: ამაზე რატომღაც არასოდეს მიფიქრია...

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

მაიკო მიქაია: ...სულს მიფორიაქებს.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარ-
და“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას
შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით
ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს?
ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძუ-
ლებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

მაიკო მიქაია: სანამ ლიტერატურა არსებობს, ყოველთვის იქნებიან
აღამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ ეყვარებათ კითხვა.

ისე, მე „ნებაყოფლობითი იძულების“ მომსრე ვარ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკ-
უთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის
პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა).

მაიკო მიქაია: ზოგჯერ ვუსვამ საკუთარ თავს კითხვას: რატომ ვწერ?
ეს უფრო მაშინ სდება, როცა სხვის დაწერილ ძალიან კარგ ლექსს ან
მოთხრობას წააკითხავ. მართლა არ ვიცი, რატომ ვწერ!

სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი პასუხი კითხვაზე: რატომ ვკითხულობ?

– ვკითხულობ ყველაფერს, იმიტომ რომ ვკმატდები საინტერესო ნაწარ-
მოებს. საინტერესო ნაწარმოებს კი რამდენჯერმე ვკითხულობ, იმიტომ
რომ ეს აუცილებელია ჩემთვის, არსებობა ცხოვრებად რომ ვიქცეო.

გმადლობთ, რომ ჩემით დაინტერესდით. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო
იყო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და თქვენთან ურთიერთობა.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნატა, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის უურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნატა ვარადა: გამარჯობა, გიორგი, რამდენი ხანია ჩვენ აღარ გვი-საუბრია. გმადლობთ საინტერესო კითხვებისთვის, ყველანი გულწრფელად ვიპასუხნოთ. ერთიც, საქალბატონე, ჯერჯერობით.

დათანხმებით კი ნაწილობრივ დაგეთანხმები და აქვე ერთ შესწორე-ბას შევიტან, თქვენი ნებართვით. თუ ადამიანს გააჩნია წერის ნიჭი და რაც მთავარია, სათქმელი, არ არის აუცილებელი ფილოლოგიური გა-ნათლება ჰქონდეს მიღებული. უურნალისტიკა მეტ-ნაკლებად ანლოს არის მიმდინარე პროცესებთან, ანალიტიკური აზროვნება და ფიქრი, ზოგჯერ არღვევს სწორედ უურნალისტ-რეპორტიორის ჩარჩოებს და შე-საბამისად ვიღებთ მხატვრულ ლიტერატურას. მწერლობა კი, ჩემი აზრით, ისეთი საქმეა, არანაირად არ მოითხოვს ზედმეტ ჩარჩოს.

რაც შეეხება CV-ს, ეს ყველაზე მოსაბუზრებელი რამ არის, რისი გაკეთებაც სწორად მიწევს სოლმე. გეტყვით, ვცდილობ იმ ორბიტის გარშემო ვიტრიალო, რასაც ჩემი პიროვნება ჰქვია და აქედან გამომდინარე, თავს გადასდენილ ამბებს შესაბამისად მემუარისტულ სტილში განვიხ-ილავ. რა იყო და რა იქნება შემდეგ, ამას წინასწარ ვერანაირად ვათვლი, სოლო რაც ხდება, ხდება ბედისწერისა და ზეგანგების ნებით. ამიტომ არ მიყვარს კონკრეტიზაცია თარიღებში.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვით, რატომ არ ჰყოფნით უურნალისტებს დღეში 24 საათი? „ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები“! – თქვენი კოლეგის ინტერვიუდანაა. თქვენთან როგორაა საქმე?

ნატა ვარადა: შესაძლებელია, ისინი გახეთ „24 საათში“ მუშაობენ. მართალია, მე ვმუშაობ იუსტიციის სამინისტროს საგამომცემლო სამ-სახურში, მაგრამ დროის დანაკლისს დიდად ვერ განვიცდი. თუ რამის წერის სურვილი ამიტანს, ეს ძალიან სწრაფად ხდება და როგორი სასწრაფო საქმესაც არ უნდა ვაკეთებდე, იმ დროს პროგრამა Word-ის ფაილი, ჩემი ახალი მხატვრული ჩანაწერით ივსება.

გიორგი კილაძე: ლექსსაც წერთ და პროზასაც. მაინც რომელი დგას წინ?

ნატა ვარადა: ჩემთვის მთავარია ლიტერატურასთან ვიყო ანლოს და ის იყოს ჩემთან სახლოვეში. უანრებთან ცოტა არ იყოს, ირონიული

დამოკიდებულება მაქვს. აი, ახლახანს გამოსცემს გამომცემლობა „საუნ-ჯე“ ჩემს პროზაულ წიგნს „დედის კერძი“. იქ რაც ამბები მაქვს აღწერ-ილი, ლექსის ჩანასახიცაა... მესამე წიგნსაც ვგეგმავ — იქ უკვე ლექსების ფორმის ნაწარმოებებს მოვუყარე თავი და „მინიატურები“ ვუწოდე. დღეს შემოქმედი ჟანრებით არ უნდა იყოს შემოსაზღვრული.

სხვათა შორის, რადიოპიესაც შემომეწერა. ნოემბრის შუა რიცხვებში „ჩვენს მწერლობა“ დაბეჭდავს, დეკემბერში კი რადიოდადგმა საქართველოს რა-დიოს პირველ არხზე ზურაბ კანდელაკის რეჟისურით უკვე მზად იქნება.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიან-ისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნატა ყარადა: რაღაცნაირად, სადღაც გულის კუნჭულში ვეთანხმე-ბი. ეს ჰგავს ადამიანის განვლილ ეტაპებს, წლებს, რომლებიც, როგორც ბავშვობა, მაგალითად, მთავრდება, მაგრამ რომ არა, იგივე ჩვენი, თუნდაც მუცლადყოფნის ამბები და მისტიკური თავგადასავალი, განა ცნობიერე-ბის ნაკადები გაგვწვდებოდა წერის პროცესში?!

გიორგი კილაძე: „წარსული ცალკე არ არსებობს. წარსულიც, მო-მავალიც და აწმყოც და არა მარტო შენი, სხვისიც ერთიანობაში გვქმნის იმად, რაც ვართ...“ — თქვენი კომენტარი...

ნატა ყარადა: ჰო, მე უფრო აქეთ ვიხრები, ამ პასუხისკენ ვარ (აქ ვიცინი).

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მითხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში — ფინალს. თქვენთან როგორაა საქმე?

ნატა ყარადა: ჩემთან ყველაფერი ერთი სიტყვით იწყება. მომწონებია სიტყვა და მას მოუცია შთაბრძნობა, იდეა, სტილი და სათქმელი.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტ-ერატურაში „აკრძალული თემები“? ქართულში?

ნატა ყარადა: ასეთი თემები არსებობს მსოფლიო ჩამორჩენილი აზროვნებითა და გაი-ჭკუისაგან რომ სჭირთ ნოლმე, ისეთ სტიმაგატირე-ბით დაავადებულ გარემოსა და წრეებში. რკინის ფარდისა და კომუნის-

ტური ჩაკეტულობის დრო დამთავრდა. ქართული ლიტერატურა ერთ დროს აღმოსავლურ ვარდბუღბუღიანს ჰყავდა დატყვევებული, მაგრამ დავით გურამიშვილმა შეძლო, რუსთაველზე დაყრდნობით გადაერჩინა მწერლობაც და ენაც, და დასავლური რაკურსი აეღო.

თუ შეგნებათ თუნდაც ცურტაველის რომანს, იქ მხატვრულობა და ადამიანური, ვნებათ ვნებები თვალსაჩინოდაა წინააღმდეგე წამოწვეული.

შემოქმედი თუ არ არის ბოლომდე გახსნილი და თავისუფალი, გულწრფელობის კოეფიციენტი თუ არ არის ზე, მაშინ არც ერთ წერტილს არ აქვს მნიშვნელობა ტექსტში. გულიდან უნდა მოდიოდეს ნებისმიერი ნაწარმოები, ხოლო ტაბუირებული პიროვნება, რომელიც თამაშობს კაი მამულიშვილს, რწმენისა და რელიგიის მოგულშემატკივრეს, სინამდვილეში საშინლად ყალბია და უნიჭო, თუნდაც პროფესიონალი იყოს.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნატა, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ერთვნილი ბიბლიოთეკის ლიტფორში „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „ჟურნალისტის მონოლოგს“ როდის დაგვიწერო?

ნატა ვარადა: გიორგი, „ებლიტფო“ – ეს ხომ წარსულია?! თუ ვცდები, მაპატიე. არამეულ ენასავით თუ იგი მარადიულად ცოცხალია, მაშინ გეტყვი, რომ „ებლიტფო“ იყო ძალიან კარგი უტრირების საშუალება – გაგცნო და გენახა ფსიქოლოგიური ტიპაჟები სხვადასხვა ნიჭიერი და ნაკლებად ნიჭიერი ადამიანებისა. მონოლოგების დრო აღარ მაქვს, თან ჟურნალისტად ნაკლებად ვთვლი თავს.

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენს აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

ნატა ვარადა: თანამედროვე ქართული პოეზიაა დავით გურამიშვილის მიერ შვილად გამოცხადებული მისივე შექმნილი პოემა „დავითიანი“ და შოთა რუსთაველის უკვდავი ძეგლი. ნამდვილად კარგად წერს პოეტი და მხატვარი ესმა ონიანი თავის ჩანაწერებში ამ სიტყვის ირგვლივ (ძველი რვეულებიდან) (ისევე გონებასთან დაკავშირებით): არაფერი მალიზიანებს ისე (უფრო სწორად – მეცინება) – როგორც სიტყვა „თანამედროვე“. რამდენად რამდენად რამდენად უფრო თანამედროვეა ბარათაშვილი ახლანდელ პოეტებთან შედარებით. ესენი შესაძლოა კოსმოსზე წერდნენ, ადამიანის მთვარეზე დაფრენაზე, რადიოტორებზე, როგორც ხანლის დაგრეხილ ნერვებზე, ალუმიანზე, მინაზე, თვითმფრინავზე, ფიზ-

იკაზე, ატომზე, თავიანთ (ვითომდა) თანამედროვედ განერვიულებულ ფსიქიკაზე, ტელეფონების უეცარ ზარებზე, მაგრამ ესენი უიმიოდ უფრო მოპყვლებულნი არიან, გონების მუდმივ თანამედროვეობას უაღრესად ჩამორჩენილები.

ესმა ონიანი ყველაზე ცხადად და ნამდვილად ასახავს დღევანდელ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მშ-იან წლებში მოღვაწეობდა. აი, ეს არის მარადიულობის განსახიერება.

რაც შეეხება სავიზიტო ლექსს, ნუთუ ასეთი რამ არსებობს?! ეს ცოტა იუმორისტულ განწყობაზე მაყენებს. და ძალიან ჰგავს იმ პოზას, გამოთქმით რომ კითხულობენ ავტორები საკუთარ ლექსებს.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონ-იც“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა, — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“, ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითხროვს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო. „ჟარგონი“, ისევე, როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, შორისდებულივით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს ხელში“ — ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... შენთვის რა არის იგი? თქვენთვის რა არის იგი?

ნატა ვარადა: ჟარგონი ენისთვის აუცილებელი, მეტიც, — სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ჩემი აზრით, ეს შემოღალწუნებაზე მეტიცაა, — ადვილი შესაძლებელია, ტრანსში ჩავვარდეთ. ჟარგონი ენას კვებავს. თუ ცარიელი, ქუჩიდან მთორეული სიტყვების გროვაა ტექსტში, ის ეპატაჟი კი არა, უბრალოდ თრეშია და ისე, ყველაფერს აქვს არსებობის უფლება.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ნატა ვარადა: მე მგონია, რომ მუშაობა კარგი რამეა — ადამიანურობას და მორჩილებას ასწავლის, აგრეთვე ამპარტაკნებაში ჩავარდნილებსაც კურნავს. წერის პროცესი არის ძალიან ცხოვრებისეული, ჩვეულებრივი. სპეციალურად დილის რიტუალებს არ ვაწყო და არც თეფშის დატრიალებასა და იოგას სანთლის პოზას არ ვიკავებ, როცა ლექსს ვწერ. რაც მოდის და რასაც ჩავაგლებ ხოლმე, ის არის და ის. გაელვება მოწმენდილ ცაზე — აი, ამას შეგადარებდი.

ხშირად, გულაღაღად გამცინებია, როგორ წინეზავენ სიტყვებს და ამას მერე ეძახიან ლექსზე მუშაობის პროცესს. მე მაბატიეთ და ეს უფრო სადო-მაზონიზმია და ლიტერატურას ყველაზე მეტად უნდა ეჯახერებოდეს ეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

გიორგი კილაძე: „მომწონს (თანამედროვე ქართული პოეზია) ერთი მხრივ, თუმცა მეორე მხრივ, ძალიან დიდი გავლენებია ერთმანეთის სხვადასხვა ავტორში“ – თქვენი კომენტარი.

ნატა ვარადა: გავლენები – ეს არის ასევე ლიტერატურის თანმდევი პროცესი. არ მჯერა იმ ლიტერატორის, ვინც ამბობს, რომ გავლენებისგან შორს არის. ჩვენ ვცხოვრობთ ერთ ეპოქალურ დროში, გვაქვს საერთო ტკივილები და განცდები, ვართ ერთმანეთთან დაახლოებული და მოწამლული მომაკვდავი სამშობლოს ხილვით. მითხარით ახლა, სადმე არ გადავიკვებეთ ამდენი პარალელის გამო?! არის ასეთი რამ კიდევ, – მიგნება ფიქრისა და აზრის, ვნებაზე მეტაფორის, ორი მოაზროვნის მიერ ერთ დროში, მაგრამ სხვადასხვა სივრცეში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ასეც ხდება. აი, საღამოს ცხრაზე მომიწია სამსახურიდან გამოსვლა. ვდგავარ ცარიელ ქუჩაში, მთვარე ანათებს და ვსედავ, ისეთი ნათელია, ლურჯია ცა. უნებურად გავიფიქრე, ჰაერის დანახვა შემიძლია-მეთქი, ოღონდ ძალიან გამჭვირვალეა, და თან, ეს სილურჯე და აბრეშუმივით ნახია ცა. და რა გამოვიდა, თუ იცა?! ჰაერი ლურჯი აბრეშუმი. მერე კიდევ კარგი, გამახსენდა ვალაკტონი, თორემ, მე რომ ეს რომელიმე ვირტუალურ ფორუმზე ამეტვირთა ლექსის ფორმატში, წარმოვიდგენია, რა ზღაპრებს შეთხზავდნენ?!

ზოგიერთი ჩვენი დროის ვაი მწერალ-პოეტესა თუ ნახავს რაიმეს თავის ახლად მოხსანნილ ლექსში სხვა პოეტის ლექსის მსგავსს, აყვირდება, ცრუ პოპულისტურ ჩანახატებს შეთხზავს, – არიქაა, ვაი-უშველებელი მჭირს, პლაგიატები მდევნიან, – ნევროტულ სიცოცხლს დაიმართებს და კრუნჩხვებამდე მივა. ეს უბრალოდ, დიდი გოიმობაა.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი-პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მითხრობების ნაწილი უფრო თავმობზულია და ნაკლებმელოდრამატული“, სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიახუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნატა ვარადა: საკითხის ასე დასმა არაა სწორი, თქვენ ნუ გეწყინებათ, ვიორგი. თუ ტექსტში იგრძნობა სექსი, კი არაა სექსი, მაშინ დაპერწმუნე, ეს არაა კარგის ნიშანი. იცით, მე ვფიქრობ, რომ მწერალი შემოქმედებითი ღწვის დროს არანაირ სექსს არ მიეკუთვნება. იგი არის ისე, როგორც პირველქმნილი ადამი, ევასთან შესისხლსორცებული და გარშემო კი ყველაფერი ლიტერატურაა, ოღონდ ბეწვის ხიდზე გავლა-გამოვლა სჭირია, რომ მაკულატურად არ გადაიქცეს.

გიორგი კილაძე: „თვითირონია, იუმორი და კიდევ ბევრი რამ აკლია მაინც დღეს ლიტერატურას. აკლია ოჯახური პრობლემები, მოზარდი, აკლია გმირი, რომელიც დიად იდეალს ეწირება და ადამიანებსაც აძლევს ამ ყოველდღიურობის რუტინიდან დახსნის საშუალებას, წუთით მაინც... აკლია ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის მაღლი, დაცლილი სოფლის თემა, მიტოვებული წიაღის თემა, აკლია ფულის დიქტატისადმი პროტესტის თემები..“ – თქვენი კომენტარი.

ნატა ვარადა: არაფერიც არ აკლია. პირიქით, ყველაფერი ზომასზე მეტადაც კი არის. წამკითხველი აკლია, კარგი მკითხველი, დახარჩენი ყველაფერი თავის ადგილზეა. ნახეთ, რა მაგარ რამეებს წერს თამთა მელაშვილი?! ეპოქალურ რამეს. წაგიკითხავთ მის წიგნზე, ნორმალურს ვინ ჩივის და, რაიმე სახის კრიტიკული წერილი?! არა? რატომ?! მითხარით, ახლა ვის რა აკლია.

გიორგი კილაძე: ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიტფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „ვეფხისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

ნატა ვარადა: არ ვიცი, რა შეიძლება ვთქვა ახალი და ჯერუთქმელი ამ უკვდავ პოემაზე. ერთია, ვეთანხმები ელგუჯა მაღრაძის ვერსიას, რომ ავტორმა ჰომოგრაფიულ საგალობლებს და მგონი, თვით ხანარეზასაც კი აჯობა თავის დროზე. უბრალო ხალხის სიმღერის, შაირის კილოზე დაწერილი მარადიული ღირებულებების ასახვა – არა მგონია, შოთა რუსთველის მარკეტინგული გათვლა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ქართველებს თავიანთ იაპარქმნილ წარსულში უფალმა ამ დიდი საჩუქრით გაუქვითა და დაგვაჯილდოვა და „ვეფხისტყაოსანი“ გვისახსოვრა.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ნატა ყარადა: სად არიან კრიტიკოსები?! დღეს რაც ყველაზე მეტად გვაკლია, სწორედ კრიტიკის უქონლობაა. წელს „საბაზე“ იყო სწორედ ეს ნომინაცია დაშვებული, ცხრა წლის მანძილზე პირველად. შესაძლებელია, „საბამ“ წაახალისოს ლიტერატურათმცოდნეობა. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ უკვე კლასიკოსად აღიარებულ როსტომ ჩხეიძეს, რომელიც თითქმის უკანასკნელი მოჰიკანოვით დაუღალავად, უშრეტო კალმით წერს და წერს ძალიან სასარგებლო წერილებსა და რეცენზიებს, გამოთქვამს თვალსაზრისებს და ვარაუდებს. ჩემი წიგნის წინასიტყვაობაში იმდენად ნათლად აღწერა ჩემი შემოქმედებითი ლაბორატორია, რომ თავადვე ახლებურად წამაკითხა ლექსები და საერთოდ, ჩემს შემოქმედებაზე რამდენიმე ძალიან კარგი წერილი არსებობს. ამ მხრივ მართლაც გამიმართლა, რადგან ისინი არიან: ნინო სადღობელიაშვილი, მათა ჯალიაშვილი, ნანა კუცია.

ამ ბოლო დროს გამოჩნდა სოფით წულაია – საინტერესო ანალიზს გვთავაზობს ახალი ტექსტებისას.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვავრცოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

ნატა ყარადა: აუცილებელია ლიტერატურაში, როგორც ხელოვნების სხვა ნებისმიერ სინთეზურ თუ არასინთეზურ დარგში, კონკურსების არსებობა.

ობიექტურობა არ ვიცი და მე პირადად პატარა ექსპერიმენტი ჩავუტარე საკუთარ თავს. ეს წელი გამოვაცხადე კონკურსების ექსპერიმენტულ წლად. მოკლედ, თუ სადმე გამოცხადდა რაიმე სახის კონკურსი, უმეტესობაში მივიღე მონაწილეობა და რა?! აღმოჩნდა, რომ საქართველოში ყვავ-კოდალ-ჩხიკვის მამიდობა ძალაშია. ჩემი სუბიექტური დასკვნაა, ჩემდამთავად არანაირ ლიტკონკურსში მონაწილეობას არ მივიღებ. აი, სილამაზის კონკურსზე კი, ბატონო. იქ მაინც წინასწარ იცი, რა მოხდება, ამას ავიხრები და ორგანიზატორი ვირტუოზული შემართებით არ ნიღბავს (აქაც ვიცინი).

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

ნატა ყარადა: დარწმუნებული იყავით, რომ ჩემს ჟურნალში ლიტერატურულ-ხელოსნური, ძალიან შეთითხნილი არ გაჭაჭანდება.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

ნატა ყარადა: მაქსიმალურად. დიან, მწერალი ანარეკლია თავისი თავისა თავისსავე ნაწარმოებში. მე მაშინვე ვხვდები, ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის პროცესში როგორი სულიერი მდგომარეობა ჰქონდა ავტორს.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტ. ნაწარმოებს გადაიღებდით?

ნატა ყარადა: იცით რა, მე გადავიღებდი ავტობიოგრაფიულ სცენარს. ეს სუბრობით. ისე, ფილმ „ჩიორას“ სცენარს გაგაგრძელებდი. თუ არ ვცდები, რუსია ავტორი, ფილმის სცენარისტი. გადავიღებდი ახალ სოსუშიში როგორ ჩადიან მარისა და ნიკას შვილები და იქ სვდებოთ ჩიორა, რომელიც არსად წასულა და მოლოდინის უწყვეტი ძაფით თმაგათეთრებული ბერიკაცი ახალ თაობას ფანტასტიურ არდადეგებს უწყობს.

გიორგი კილაძე: დაახრულეთ: მიყვარს მწერალი რომელიც...

ნატა ყარადა: რომელი ერთი?! (აქაც ვიცინი).

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იშულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ნატა ყარადა: გურამ დოჩანაშვილი უსაყვარლესი ადამიანია. მისი საუბარი და ინტერვიუები ძალიან მიყვარს, მაგრამ იშულებამ, მით უმეტეს სიყვარულში, არა მგონია, გაამართლოს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა).

ნატა ყარადა: ერთი ვიცი, რომ შვილს აუცილებლად გაგაჩენ. სხვა შეკითხვები საკუთარ თავთან არ მაქვს ჯერჯერობით.

ბიორგო კილაძე- გვანცა ჯობაჯა

გიორგი კილაძე: გვანცა, ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

გვანცა ჯობაჯა: სულ იმას ვფიქრობ, რომ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება განყენებულია ყოფითისგან და ეს მახდენიერებს. ლიტერატურული CV რომ დავწერო, ეს ნომ ძალიან დაემსგავსება ცხოვრებისეულს. CV-ის დაწერის დროს ჩვენ არ ვართ ხოლმე გულწრფელები, ვწერთ ისე, რომ რაც შეიძლება დახუნძლული და საინტერესო გამოგვივიდეს, რათა მერე ვინმე დამსაქმებელს თავი მოვაწონოთ და იქნებ გავაცუროთ კიდევ, არ ვიცო, ვინ შეიძლება იყოს ჩემი ლიტერატურული დამსაქმებელი, ალბათ, უფრო მკითხველი. მკითხველს კი, მით უმეტეს, არ მინდა რამე მოგატყუო. ამიტომაც მოდი, CV იყოს ის, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. ოღონდ აქვე დავდებ პირობას, რომ ვისაუბრებ აუცილებლად გულახდილად. მანამდე კი, როგორც CV-ის ვაგზავნის წინ ვქცევით ხოლმე, შესავალ წერილს დავწერ:

მოგესალმებით,

გივზავანით ჩემს CV-ს – გაურკვეველ ადრესატს. თუ შემთხვევით თქვენამდე მოაღწია, გთხოვთ, გაეცნოთ და ჩემი შემოქმედების სამსახურში აყვანის სურვილის შემთხვევაში დამიკავშირდეთ ჩემს ელექტრონულ მისამართზე: oh,esleqsiweriebi@gmail.com

წინასწარ გინდით მადლობას,

პატივისცემით

გვანცა ჯობაჯა.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვით, რატომ არ ჰყოფნით აუზნალობის ტებს დღეში 24 საათი?

გვანცა ჯობაჯა: ვერ გეტყვით. ისეთი აუზნალობის ტური ცხოვრებით, რომ მაგ საქმისთვის არ მყოფნოდა 24 საათი, ათასში ერთხელ ვწერდი რეპორტაჟს და ამიტომ აუზნალობის ტობას ხომ არ დავიბრალებ?!

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

გვანცა ჯობაჯა: რა თქმა უნდა, ვეთანხმები. არ ვიცო, მან კონკრეტულად რა იგულისხმა, მაგრამ ჩემთვის შემოქმედებითი წარსული ცოტას

იმითომ ნიშნავს, რომ ჩემი შემოქმედება ჩემთვის პირადად საკვებია, — რაც არ უნდა გემრიელი საკვები მივირთვა დღეს, მხოლოდ დღეს თუ დაგნაყრდები, თორემ სვალ და ზეგ ორი დღის წინ მირთმეულით რომ ვერ ვისულდგმულვებ. ასევეა ჩემთვის შემოქმედებაც — რამხელა წარმატებასაც არ უნდა მივაღწიო დღეს, ყოველდღე თუ არ გამოვიკვებე, ალბათ დიდხანს ვერ ვიცოცხლებ.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პოეტი გიორგი კეკელიძე — ფინალს; თვლის, რომ „მთელი ლექსი მის ირგვლივ იგება“. — თქვენ რას იტყვიან? საერთოდ, რა ხდება ლექსის დაწერისას? მოვარდება თუ მოდის და ნელ-ნელა იხვეწება?

გვანცა ჯობაჯა: თეონასაც დავეთანხმები და გიორგისაც. ნაწარმოების პირველ წინადადებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმითომ რომ მკითხველი პირველი წინადადებიდანვე შეიგრძნობს, რასთან აქვს საქმე და შეიძლება მთელი ნაწარმოები პირველი შთაბეჭდილების გავლენით წაიკითხოს. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ფინალსაც. როდესაც მკითხებიან, როგორ მომწონს წიგნი, რომელსაც იმ დროს ვკითხულობ, ხშირად ვპასუხობ სოლმე, რომ ჯერ კიდევ არ ვიცი, ვნახით, როგორ დამთავრდება. ლექსში, მით უმეტეს, ძალიან მნიშვნელოვანია ფინალი, რომელმაც უნდა შეკრას მთელი ლექსი და შესაძლოა, დიდი ემოციაც მოიტანოს. მაგრამ სინამდვილეში ალბათ მწერალმა უნდა შეძლოს, რომ ერთხანია ყურადღება მიაქციოს და თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭოს თითოეულ სიტყვას. არც ერთი საქმის კეთება არ შეიძლება სანახევროდ. მაგალითისთვის, თუ პიანისტი ხარ, მსმენელს ვერ მიანიჭებ სიამოვნებას, თუკი მხოლოდ კომპოზიციის დასაწყისს ან ფინალს უკრავ მთელი გრძობით.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

გვანცა ჯობაჯა: ჩემი წერის პროცესი ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირია. არის ლექსი, რომელსაც, ასე ვთქვათ, „ჰაერში ვწერ“, ფურცლამდე ძლივს რომ ასწრებ მისვლას და უკვე დაწერილია; არის ლექსი, რომელზეც ძალიან ვწვავლობ და მთელ ენერგიას ვხარჯავ; არის შემთხვევა, როდესაც დაგწერ და არაფრით აღარ გუბრუნდები იმ ლექსს; არის შემთხვევა, როდესაც დაგწერ, რამდენიმე დღე ხელს არ ვახლებ და მერე გუბრუნდები და უფრო კრიტიკული თვალით ვახსოვრებ. თუმცა ვიტყვოდი, რომ ძირითად შემთხვევებში ლექსზე მუშაობა აუცილებელია.

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, „სავიზიტო ბარათი“ თუ გაქვთ? იქნებ მიზეზებზეც გვითხრათ. აქვე გკითხავთ: რატომ ეს და არა სხვა ლექსი?

გვანტა ჯობაფა: არ ვიცი, რატომ მოხდა ასე, მაგრამ თუკი ვინმე იცნობს ჩემს ლექსებს, თითქმის ყველამ იცის ლექსი „მე თახმინი ვარ“. ვიტყვოდი, რომ მეც გამორჩეულად მიყვარს, მაგრამ უკვე თითქმის აღარსად ვკითხულობ, სხვა ლექსები რომ არ დაგჩაგრო და მკითხველსაც არ მოყაბეზრო. განსაკუთრებული ემოციით დაგწერე ეს ლექსი, ძალიან დიდი ხნის მანძილზე ნაგროვები ემოციები გადმოვიტანე და წერის პროცესიც განსაკუთრებული იყო. ეს იყო პერიოდი, როცა საოცრად მქონდა გათავისებული ებრაელთა გენოციდის პრობლემა, ძალიან ბევრს ვფიქრობდი ამაზე. მაგრამ სინამდვილეში ლექსი არ ეძღვნება მხოლოდ ებრაელებს და მათ შიშვე წარსულს. როდესაც ვწერდი, მე ვფიქრობდი ზოგადად ომსა და იმ ტრაგედიაზე, რაც ომს მოაქვს.

იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ყველა ჩემი ლექსი ერთნაირად მიყვარს. ყოველთვის ვგრძნობ იმ ლექსს, რომელიც ძალიან არ გამომივიდა და არ შემოიღია მისი შეყვარება, იმიტომ რომ იქ მე დავმარცხდი. ლიბ.გე-ზე ჩემი ლექსები საერთოდ არ დევს, მხოლოდ 2 ლექსის აუდიოჩანაწერი დევს, რომლებიც უსინათლოებისთვის ჩაიწერა და ასევე ერთი ესსე.

გიორგი კილაძე: გვანტა, თვლით თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი“ ადამიანური, ეკოისტური ამბავია“...

გვანტა ჯობაფა: ყოველი ბოლო ლექსი გამორჩეულად მიყვარს იმ დღეს, როდესაც დაგწერე და მგონია, რომ ის საუკეთესოა (თუმცა ყველა შემთხვევაში – არა), მაგრამ მეორე დღეს ისიც უკვე წარსული შემოქმედება ხდება და უკვე შემოიღია მისი ობიექტურად შეფასება. ასე რომ, ყოველთვის ველოდები მეორე დღეს იმისთვის, რომ გავივო, რა გამომივიდა.

გიორგი კილაძე: „ლიტერატურა ელიტურ სფეროდ იქცა, ამ სიტყვის არასწორი გაგებით“ – თქვენი კომენტარი.

გვანტა ჯობაფა: მართლა? არ ვიცი, შესაძლოა. ამაზე არ მიფიქრია. ვიცი მხოლოდ ის, რომ ყველა სფეროს და მათ შორის ლიტერატურულ სფეროსაც ჰყავს თავისი ობიექტურად ან არაობიექტურად შედგენილი ელიტა. შესაბამისად არსებობენ „ელიტური ლიტერატორები“ და მათი ლიტერატურაც „ელიტურია“.

გიორგი კილაძე: პოპულარული რომ ხართ, უდავო ფაქტია. „პოპულარობა ადრე რაღაც სხანადი მეგონა. თუკი უკვალოდ და უშრამოდ მოინ-

დიდი, სომ კარგი, თუ არადა, მთელი ცხოვრება ივლიდი მისი „ყვავილით“. ახლა ამაზე ცოტა მეცინება, რადგან პოპულარობაც ჩვენთან სნობიზმის დიდი „ასპარეზია“, – მითხრა ინტერვიუში ნინო სადღობელაშვილმა. თქვენ რას მეტყვოდით?

გვანცა ჯობაჯია: პირველ რიგში გეტყვოდით იმას, რომ მე საერთოდ არ ვარ პოპულარული და რომც ვიყო, ალბათ შექმენდებოდა ამის. ნინოს ძალიან ბევრ რამეში ვეთანხმები სოლმე, რადგან ის არის ჩემთვის უდიდესი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება ადამიანი იყოს უსაზღვროდ ნიჭიერი და უსაზღვროდ თავმდაბალი. მის ამ ნათქვამსაც წუნს ვერ ვუბოვი. იდეალური ნათქვამია: „პოპულარობაც ჩვენთან სნობიზმის დიდი „ასპარეზია“. ზემოთ ვთქვი, შექმენდებოდა-მეთქი და სწორედ ამიტომ, რაც ნინომ თქვა, შექმენდებოდა, რომ სნობიზმის დიდ ასპარეზზე შემთხვევით ფეხი არ წამიცდეს. ახლა დაცული ვარ ამისგან.

გიორგი კილაძე: კრიტიკაზე საუბარი გაგაგრძელოთ: როგორ ფიქრობთ, „ინსის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენსიტივანა“? კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. 2007 წელს „ებლიტ-ფოზე“ მომზადებული სტატიის სათაურია, სტატია კი პოეტ გიორგი საჯაბას ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ფაქტია, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე უნდა შემოჰქონდეს. რამდენად იგონება დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურის კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

გვანცა ჯობაჯია: ცალკეულ ადამიანებს, მკითხველებს, რა თქმა უნდა, უთქვამთ, რომ არ მოეწონათ ჩემი ლექსი, რომ ვთქვამთ, ეს ბოლო ლექსი არ გამომივიდა და ასე შემდეგ... მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ვინმე კრიტიკოსს ჩემზე კრიტიკული წერილი დაეწეროს, ან რატომ უნდა დაეწერათ ჩემზე, – მე სომ არასდროს მიყვირია, რომ პოეტი ვარ და მით უმეტეს ნიჭიერი. მე არ მიყვარს სმაური და გულწრფელად მგონია, რომ არც მაქვს სმაურის საფუძველი. და თუკი რამეს უნიჭოდ ვაკეთებ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ეს არავის მოსვენდრია თვალში.

ზოგადად კრიტიკა კი, რა თქმა უნდა, აუცილებელია. მით უმეტეს დღეს, როდესაც ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გარდა, სადაც ამ სფეროს პროფესიონალები ან ამ სფეროში ჩახედულები მაინც წყვეტენ, ვის შემოქმედებას გაუხსნან გზა თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში, არსებობს სხვა უამრავი (უმეტეს შემთხვევაში, არაკვალიფიციური) საშუალება, რომელიც თავის თავზე იღებს, მიუთითოს საზოგადოებას, რა არის კარგი და წარისწიანი.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობასაც გვითხარით.

გვანცა ჯობაჯა: მე არ მჯერა, რომ შემოქმედი შეიძლება ქმნიდეს და არ ფიქრობდეს მკითხველზე, მსმენელზე და ასე შემდეგ. როდესაც წერ, რა თქმა უნდა, ვინდა, რომ ვინმემ მაინც წაიკითხოს. ცხადია, რომ წერის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს მწერალს, მაგრამ მკითხველის გარეშე შეუძლებელია, რომ იარსებოს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოსულა სრულიად უცხო ადამიანი, ან მოუწერია და უთქვამს, რომ უყვარს ჩემი ესა თუ ის ლექსი. ეს დიდი ბედნიერებაა. ვერ ვიტყვი, რომ სწორად ვკითხულობ ლექსებს პოეზიის სადამოებზე, მაგრამ პერიოდულად, რა თქმა უნდა, აუცილებელიც კია. მკითხველთან შეხვედრა გავსებს იმ ენერგიით, რასაც წერის პროცესში ხარჯავ.

გიორგი კილაძე: „სიზმრების (გ)ახსნა“ გაიხსენეთ. პირადად მე ისე მომეწონა, სტატიაც კი „შევაკოწიწე“ ... აქვე გვითხავთ: „5“ შენთვის განსაკუთრებული ციფრია?

გვანცა ჯობაჯა: „სიზმრების (გ)ახსნა“ იყო პოეტური პერფორმანსი, მაგრამ ისეთი პერფორმანსი, სადაც მონაწილეებს არ გვითამაშია. გადავწყვიტეთ, იმ ერთი საათით მაინც პირდაპირ სცენაზე გვეცნოვრა ისეთებს, როგორც სინამდვილეში ვიყავით. ჩვენ ეს გამოგვივიდა და მაცურებელმა იმიტომაც დააფასა ის საღამო. ალბათ, ყველაზე ემოციური დღე იყო ჩემს შემოქმედებით ცნოვრებაში, მით უმეტეს, რომ თეატრალური სცენა ჩემთვის განსაკუთრებული მისტიკაა და იმ დღეს სცენაზე დგომის ოცნება ავიხსენე. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ პოეტურ პერფორმანსზე ამდენი ადამიანის შეკრებას შევძლებდით სუთი გოგონა, რომელთაგან არც ერთი ვყოფილვართ განსაკუთრებულად პოპულარული. დღემდე მომეყვება ის ემოცია, როდესაც კულისებიდან გაოგნებული ვუყურებდი, გაიხსნა თუ არა დარბაზის კარი, როგორ წამიერად გაივსო სორავას მსახიობთა სახლი, ხალხი ფეხზე იდგა. ეს უბრალოდ წარმოუდგენელი რამ იყო. წარმოუდგენელი იყო ის ემოციაც, რასაც ჩვენ სცენიდან გავცემდით და რასაც დარბაზიდან ვიღებდით. ზოგჯერ მგონია, რომ შესაძლოა მსგავსი არც არასდროს განმეორდეს. მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ერთხელ მაინც მოხდა. ციფრ 5-თან რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება არ მაქვს, უბრალოდ, დამთხვევაა.

გიორგი კილაძე: გვანცა, დროა თქვენს ახალ წიგნზე ვისაუბროთ: „5 ბავშვი – 5 თბილისი“ – იდეიდან – გამოცემაამდე...

გვანცა ჯობაჯა: „5 ბავშვი — 5 თბილისი“ 21 წლისამ დავწერე. მასში „ეღფის გამომცემლობაში“ გამოიცა წიგნი „5 ბავშვი — 5 სტამბოლი“, რომლის რედაქტორიც ვიყავი. შემდეგ დაიბადა თურქებთან ერთობლივი პროექტის იდეა, რისთვისაც უნდა დაწერილიყო წიგნი „5 ბავშვი — 5 თბილისი“ და აღმოჩნდა, რომ პირველი საბავშვო წიგნიც შემომეწერა. თუმცა საკმაოდ დიდხანს იდო ჩემი ზღაპარი გამომცემლობის თაროზე და 3 წლის შემდეგ დაიბეჭდა, 2010 წლის დეკემბერში. მას შემდეგ კიდევ ერთი ერთობლივი საბავშვო წიგნი გამოვეცი სოფიო კინწურაშვილთან და შეგე მწერალ ლილიან ედვალთან ერთად. წიგნს ჰქვია „კოლოფი“, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა, და რომელიც ერთობლივი ქართულ-შვედური პროექტის შედეგად შეიქმნა.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში?

გვანცა ჯობაჯა: მე პროფესიით გამომცემელი ვარ და ვხუმრობ ხოლმე, რომ ძალიან ორიგინალური პროფესია მაქვს, რადგან საქართველოში ერთეულებს თუ აქვთ ამ კუთხით განათლება მიღებული. რამდენიმე წელი იარსება ამ სპეციალობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე და სწორედ მაშინ, როდესაც მე ვაბარებდი. ამიტომაც განსაკუთრებულად მიყვარს საგამომცემლო სფერო, ჩემი პირველი პრაქტიკაც გამომცემლობაში იყო და პირველი სამსახურიც ასევე. ამჟამადაც გამომცემლობა „ინტელექტისა“ და გამომცემლობა „არტანუჯის“ თანამშრომელი ვარ, ორივეგან საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი. სხვა სამსახურშიც ვმუშაობ პარალელურად, მაგრამ არაფერი მანიჭებს ისეთ სიამოვნებას, როგორც საგამომცემლო სფერო. ეს არის სამსახური, სადაც სინარულით მივდივარ. გამომდინარე იქიდან, რომ გამომცემლობაში ვმუშაობ, შესაძლოა ცოტა არაობიექტური იყოს ჩემი შეფასება დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ. რადგანაც უფრო მეტად ვარ ჩანადური ამ სფეროში, უფრო მეტად შემიძლია გაუგო, რატომ ეძნელებათ გამომცემლობებს ამა თუ იმ ავტორის გამოცემა. ბოლოს და ბოლოს, ესეც ნომ ბიზნესია. მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ გამომცემლობას, სადაც მე ვმუშაობ, არაერთხელ აუღია საკუთარ თავზე შესაძლოა არაპოპულარული, მაგრამ წარისნიანი ლიტერატურის გამოცემა.

გიორგი კილაძე: გვანცა, „გემოვნებიანი მკითხველის“ თქვენებური განმარტება გეკითხებით. აქვე ჩაგეკითხებით, რა განსხვავებაა „უბრალო მკითხველსა“ და „გემოვნებიან მკითხველს“ შორის? მსგავსება?

გვანცა ჯობაჯია: „გემოვნებიანი მკითხველი“, თვით ეს ტერმინი დიდად არც მომწონს ალბათ. ყველანაირი ლიტერატურა უნდა წაიკითხო იმისთვის, რომ შეძლო იმის გარჩევა, რა არის კარგი და რა — ცუდი, და თუ ცუდია, რატომ არის ცუდი, ასევე იმისთვისაც, რომ უფლება გქონდეს, შეაფასო ესა თუ ის ნაწარმოები. თუ წაკითხული არ გაქვს, მაშინ არც უფლება გაქვს იმის, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ლიტერატურულ ღირებულებებსა თუ ნაკლოვანებებზე ისაუბრო. მაგრამ თუ მდარე ხარისხის ნაწარმოებები მოგწონს, ეს კიდევ ცალკე განსჯის თემაა და ჯერ ის უნდა დადგინდეს, რომელია მდარე ხარისხის ნაწარმოები და რატომ. რაც შეეხება ჩვეულებრივ მკითხველს, აქ შეიძლება ასე განვასწავო მკითხველები ერთმანეთისგან: არიან მკითხველები, რომლებსაც შეუძლიათ ღრმად ჩასწვდნენ ნაწარმოების არსსა და არიან მკითხველები, ე.წ. „გადამკითხველები“, რომლებიც მხოლოდ ზედაპირულად კითხულობენ და იმის თუნდაც ნახევარს იღებენ წიგნიდან, ვიდრე უნდა მიიღონ.

გიორგი კილაძე: ფაქტია, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად. როგორ ფიქრობთ, პროფესიონალი მთარგმნელები თითებზე ჩამოითვლება, თუ უფრო მეტია? თარგმნის ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? ახლა ვის თარგმნი? თარგმნის პროცესზეც გგითხარით. ვის თარგმნას აპირებთ მომავალში და რატომ? თქვენი ლექსების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ?

გვანცა ჯობაჯია: ნამდვილად დღეს ძალიან ბევრი ნაწარმოები ითარგმნება, ზოგი ძალიან კარგად, ზოგი ნაკლებად კარგად. საერთო ჯამში კი, ახალგაზრდებს პროფესიონალიზმის მისაღწევად ალბათ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო. ამას პირველ რიგში საკუთარ თავს ვეტიყოფი. მე დამწყები ვარ ამ სფეროში და ვცდილობ ვიმუშაო საკუთარ თავზე, მივიღო და გავითვალისწინო შენიშვნები და ვისწავლო. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ თარგმნა არის ძალიან, ძალიან მძიმე შრომა და როგორც სწორად ამბობენ, საკმაოდ დაუფასებელიც. ბოლოს ვთარგმნე 1976 წლის ნობელიანტი მწერლის სოლ ბელოუს რომანი „მისტერ სამლერის პლანეტა“ და ანიეტ კემპბელის „მოგუსმინოთ შვილებს“. ორივე წიგნი უკვე გამოსაცემად მზადდება. ამ ორ წიგნს ერთი წელიწადი შევავლიე და შეიძლება ითქვას, რომ ერთი წლის მანძილზე ვიცნოვრე ამ წიგნებით. ერთი წლის თავზე, როდესაც დაგასრულე მუშაობა და დაუბრუნდი რეალურ სამყაროს, აღმოვაჩინე, რომ ჩემს პირად ცნოვრებაში ბევრი რამ „გამომიტოვებია“ და ზუსტად მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს საყვარელი საქმისთვის „მსწერბლშეწირვა“; თუმცა არ ვიცი, ვნანობ თუ არა, ალბათ უფრო — არა,

რადგან ვფიქრობ, რომ თუკი ვინმემ ჩემი ერთწლიანი გადახასლებით ისარგებლა, ეს რომ არა, ალბათ მომავალში მაინც მოძებნდება სხვა მიზეზს. ასლა ვისვენებ თარგმანისგან და უკვე ვფიქრობ ახალ წიგნზე, რომელიც საკარაულოდ, კვლავაც ანიეტ კემპბელის მეორე წიგნი იქნება.

გიორგი კილაძე: გვანცა, ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტეროექტები გაიხსენე: „მონოლოგები“, „პირისპირ“, „2 კითხვა 99 ლიტერატურისმოყვარულს“...

გვანცა ჯობაგა: სამივე პროექტი სათითაოდ ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მაგრამ უფრო მეტად ძვირფასია „ეპლიტფო“ და მისი შესვეურები, რომლებიც წლებია მუშაობენ ზემოთ ჩამოთვლილ პროექტებზე და ეს პროექტები მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია იმ ხანტერესო საქმიანობისა, რომელსაც ისინი ეწევიან. მოკლედ ვიტყვდი, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ამ პროექტებმა მე მასწავლა, როგორ ვწერო საკუთარ თავსა და საკუთარ შეხედულებებზე საჯაროდ და თან გულწრფელად.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

გვანცა ჯობაგა: ყველაზე ხშირად საკუთარ თავს ვეკითხები: უნდა ვწერდე თუ არ უნდა ვწერდე? იქნებ უფალს სულაც არ გაგუჩინებარ წერისთვის, იქნებ მე არასწორად შევქმენი და სულ უკუღმა მოვაწყვე ჩემი პლანეტა და იქნებ მხოლოდ ცნოვრების ბოლოს მივხვდეთ, რომ ყველაფერი სულ პირიქით მაქვს გადასაღაგებელი და მე კი ძალია აღარ მქონდეს ძალიან მოხუცებულს, ან დრო აღარ მეყოს ძალიან ახალგაზრდას? გამუდმებით ვფიქრობ ამაზე, გამუდმებით ვზაჯვარედინზე ვდგავარ და დაღლილობისგან შიგადაშიგ იქვე მიგდებულ ლოდზეც კი ჩამოვჯდები სოღმე და... მერე თავი მტკივდება და აღარ მინდა ვიფიქრო, აღარ მინდა ვწერდე, და ყველაზე მეტად აღარ მინდა მტკიოდეს... და როგორც კი ამ უკანასკნელს გავიფიქრებ, მაშინვე ფიქრების ახალი ტალღა მომავყდება სოღმე იმის დახასაბუთებლად, რატომ სჯობს ჩემთვის, სხვისთვის, – ვგტკიოდეს... მაშინვე ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ, რომ არ მტკიოდეს, ეს უფრო მეტად მეტკინებოდა... და ვაგრძელებ სუნთქვას... საათის მექანიზმივით ვიქოქები ერთი წერტილიდან – გულიდან და მესმის, კიდევ როგორი ნმაურით იცის სოღმე ჩემმა სისწლმა გამოფენიწლება და იწყებს მოძრაობას... ადის და ჩამოდის... გადის და გამოდის... ისევ ვდგები ფენზე... ისევ ვზაჯვარედინს შევყურებ... ვაფასებ, ვწონი... ერთი მხარისკენ ვაგვიწ-

ევ და გული და თვალები მეორე მხარეს მრჩება... გავიწევე და მალევე უკან ვბრუნდები... ასლა მარცხნივ გადავდგამ ნაბიჯს.. შევყოვნდები... მერე კი მგონია, რომ არ ღირს და ისევ უკან ვინედები... უკან წასვლა მინდა.. უკან, საიდანაც მოვედი... მაგრამ საიდან? და აი, ის, რაც ნამდვილად ვიცი... უკან გზა მოჭრილია... უკან იმიტომ გვინდა ხოლმე წასვლა, რომ დავიმართოთ ყველაზე, ყველაფრისგან და ვიცხოვროთ უფრო ადვილად... უფრო მშვიდად... მაგრამ აი, 25 წელია ამ დედამიწაზე დავიარები და ჯერ მე ვერ მივაგენი ადგილს, სადაც საკუთარ თავს დავემალე... საკუთარ ცოდვებსა და საკუთარ სიკეთეს, საკუთარ ტკივილსა და საკუთარ სიხარულს... მე ვერ ვიპოვე ადგილი, სადაც უფალს დავემალე... იმიტომ, რომ გულის სიღრმეში არ მინდა, რომ დავემალა. ეს კი ჩემზე უკეთ იცის უფალმა. ჰოდა, გულში მყავს ჩასახლებული და დამყვება ყველგან... რომელი გზითაც არ უნდა წავიდე, რამდენჯერაც არ უნდა გამოვბრუნდე უკან და რამდენჯერაც არ უნდა შევიცვალა მიმართულება... გულის სიღრმეში არ შემიძლია, არ ვწერდე... აი, ესაა სიმართლე... უბრალოდ, მეშინია... მეშინია იმის, რომ ვწერ... მეშინია იმის, რომ უნდა შევქმნა რაღაც, რაც სხვა თუ არაფერი, ჩემზე დიდი მანც იქნება, გამოძვრება ჩემი სულიდან უფლის სახელით და მერე აქეთ გამზრდის მე, აქეთ მასწავლის ცხოვრებას, აქეთ მასწავლის ყველაფერს, რაც სხვისთვის მინდოდა მეტიკა, სხვის გულებზე მინდოდა ცრემლებივით დამეწვეთებისა. მეშინია იმის, რომ შეიძლება ვერ დაგზადო ასეთი შვილი, ან დაგზადო და ვერ აღვზარდო, იმიტომ, რომ შეიძლება ფეხი გადამიბრუნდეს და აქეთ გავსდე მისახედი და გასაზრდელი. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მოულოდნელად გავუჩინარდე და სხვასთან წაიყვანონ ჩემი შვილი, რომ ასე უპატრონოდ არ დარჩეს, წაიყვანონ და გზაში ისიც დაიკარგოს... ან შეიძლება ძალიან შემეშინდეს, რომ ასეთი შვილი მყავს გასაზრდელი და უბრალოდ, ვერ შევძლო... და კიდევ მრავალი „ან“ შეიძლება მოხდეს... ამიტომაცაა, რომ ასლაც გზაჯვარედინზე ვდგავარ და უკვე ვგრძნობ, რომ მინდა ცირკის აკრობატივით თვალდახუჭულმა გავიარო ბაწარზე, – ან ჩამოვვარდე, ან სამშვიდობოს გავიდე... ოღონდ ვიმოდრო... ვიფიქრო და ვიმოდრო... და იყოს ჩემში მუსიკა... სიყვარულის.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაია, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მაია ჭუჭულაშვილი: მწერლობაზე პრეტენზია არ მქონია და არც მექნება. თუმცა, როგორც ყველა, მეც ვწერდი ჩანახატებს, დღიურებს. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე არ მისწავლია. თუმცა, ეს პროფესია გაცნობიერებულად ავირჩიე. ვსწავლობდი ფილოსოფია-სოციოლოგიას, სამართალმცოდნეობას, ბიზნესის დაგეგმვასა და ადმინისტრირებას. თუმცა, ამდენი დიპლომის მიუხედავად ჟურნალისტიკაში ვარ. ახლა რადიო „კომერსანტიში“ ვმუშაობ, საინფორმაციო მიმართულებას ვსწავლობდი. მიყვარს ეს პროფესია და ვცდილობ, ეს სიყვარული სსკვბსაც გადავდო – მათ, ვინც ახლა იწყებს.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი? „ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები!“ – თქვენი კოლეგის ინტერვიუდანაა. თქვენთან როგორია საქმე?

მაია ჭუჭულაშვილი: სხვების არ ვიცი, მაგრამ არც მე მყოფნის... მაგრამ ეს ალბათ უფრო პიროვნებიდან გამომდინარეობს. მიყვარს შრომა, თუმცა, კარგ დასვენებაზეც არ ვამბობ უარს.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

მაია ჭუჭულაშვილი: წარსულის გარეშე აწმყო ძნელი წარმოსადგენია – ალბათ, მწერლისთვისაც. თუმცა, ისიც რეალობაა, რომ შემოქმედებითი ზრდა მხოლოდ მაშინ ხდება, თუ წარსულისგან გათავისუფლებას ახერხებ...

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში – ფინალს. თქვენთან როგორია საქმე?

მაია ჭუჭულაშვილი: ზუსტად ასევე. ახალი ამბების წერისას მთავარი ის პირველი წინადადება, პირველი აზრია, რის გამოც უნდა მო-

ვისმინონ, შენი დაწერილი წაიკითხონ. არც კარვ ფინალზე ვიტყვოდი უარს — ზოგადად, გამართული წერაა მთავარი. მაგრამ თუ პირველი აზრი საინტერესოდ არ მოგესმა, მეექვსეა, ვინმემ შენი ნიუსის მოსმენა შეძლოს.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში „აკრძალული თემები“ ქართულში?

მაია ჭუჭულაშვილი: ნაკლებად მგონია... ისე, ვისთვის რა არის ამ სიტყვების მნიშვნელობა. მე ასეთ აკრძალულ თემებს ვერ ვხედავ — ის, რომ ვიღაცის ნაწერი შენთვის მიუღებელი ხდება, არ ნიშნავს, რომ აკრძალული თემები არსებობს ან უნდა არსებობდეს...

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაია, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფოტოში „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „ეურნალისტის მონოლოგს“ როდის დაგვიწერო?

მაია ჭუჭულაშვილი: სიამოვნებით დაგიწერო, როცა ამის სურვილი გექნებათ...

გიორგი კილაძე: უკვე გვაქვს. ანლა კი შემდეგი კითხვა: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ანლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ?

მაია ჭუჭულაშვილი: არ ვაპირებ თვალთმაქცობას, არ ვარ ასეთი გათვითცნობიერებული თანამედროვე ქართულ პოეზიაში. წამიკითხავს ბევრის ნაწერი, თუმცა, მათგან სავიზიტოდ არც ერთი არ გამიხდია...

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა... — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანიას აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითხროს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო. „ჟარგონი“, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს ხელში“ — ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... თქვენთვის რა არის იგი?

მაია ჭუჭულაშვილი: ორიგინალური სულაც არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ „ჟარგონები“ არ მიყვარს, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ლიტერატურული ნაწარმოებისათვის ეს მართლაც გამოწვევაა. ამ გამოწვევას პასუხი სჭირდება — შენ ან იღებ მას, არგებ შენს ნაშრომს

და საზოგადოებას რეალურ და იმაგდროულად მისთვის გასაგებ ენაზე კარგ ლიტერატურულ ენას სთავაზობ, ან თავად ექცევი „ჟარგონის“ ქვეშ – მწერლისა და არამწერლის გარჩევის ერთ-ერთი კარგი საშუალება მგონია, რომ ესეცაა...

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი-პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებმელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტურია, სწორად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

მაია ჭუჭულაშვილი: მგონია, რომ ქალები ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც თამამები არიან. რატომ? – იქნებ იმიტომ, რომ მინდა ასე იყოს – თავად თან ვარ თამამი, თან არა... მიყვარს თამამი ადამიანები, – უფრო მეტად თავისუფლები არიან.

გიორგი კილაძე: ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიტფოსე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „გეფხისტყაოსანი““. კითხვას არ დაგვისვამთ... უბრალოდ, „გეფხისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

მაია ჭუჭულაშვილი: სიამოვნებით... ვარ ალბათ ერთ-ერთი მათგანი, ვინც პირველად როცა წაიკითხა, შემდეგ და შემდეგ წაკითხვაზე ბევრი სხვა ახალი აღმოაჩინა. ალბათ, ამიტომაცაა უკვდავი – არ მიყვარს ასეთი სიტყვების გამოყენება. მაგრამ ასეთია „გეფხისტყაოსანი“ ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის, მიყვარს, როცა მის ვარშემო სხვების აზრებს ვისმენ. ბოლო დროს ეს მაკლია, წლებია. ლიტერატურულ წრეებთან შენება არ მაქვს. „ჩემთვის ეს განტვირთვა იყო, ახლის გაგება, ახლაც მენატრება“...

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

მაია ჭუჭულაშვილი: არ ვარ სათანადოდ ინფორმირებული. ცალკეულ კრიტიკულ შეხედულებებს ჟურნალებში ვკითხულობ. თუმცა, გამიჭირდება მათ კომპეტენტურობაზე საუბარი. ერთი რამ, რაც ჩემი

პროფესიის ადამიანს შემიძლია ვითხრათ, ისაა, რომ ამას ისეთი მასშტაბები არ აქვს, თვალშისაცემი რომ იყოს.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

მაია ჭუჭულაშვილი: იმ ვითარებაში, როცა წიგნების წერით თავის რჩენა ცოტას ნელეწიფება, მიმაჩნია, რომ კონკურსები სერიოზული წახალისებაა მწერლებისათვის, განსაკუთრებით დამწყებთათვის. მათ ობიექტურობაზე მე ვერ ვიმსჯელებ, – ეს თავად მწერლებმა უნდა შეაფასონ. თუმცა, ნამდვილად მომწონს, როცა წამყვანი ბანკი თუ ცნობილი ბიზნესმენი ან კომპანია შემოქმედებითი ადამიანებისათვის ცოტას მაინც აკეთებს.

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

მაია ჭუჭულაშვილი: ალბათ ვერ ვიქნებოდი, ზედმეტად პრაგმატული ვარ საამისოდ. რედაქტორი – არა, მენეჯერი – შეიძლება...

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

მაია ჭუჭულაშვილი: რეალობიდან მომავალში გვახედებს...

ბიორგო კილაძე - ნინო ლურსმანაშვილი

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნინო, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნინო ლურსმანაშვილი: ჟურნალისტი თავისთავად მწერალია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ თუ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ვგულისხმობთ, მაშინ ამ გუნდს მხოლოდ მცირედნი შემორჩებიან. მეც პირველ კატეგორიას მივკუთვნები, თუმცა ხანდახან კალამი გამექცევა სოლმე და ლექსებს და ნოველებს ვწერ (უფრო სწორად, ვწერდი) – ისე, ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის, რომლებიც, ალბათ, შეფასებისას სუბიექტურები არიან. ამიტომ ჩემს ლიტერატურულ CV-ზე საუბარი არ ღირს. რაც შეეხება ჟურნალისტიკას: მეოთხედი საუკუნეა, რაც ამ უძველეს პროფესიას მივდეგ. საშუალო სკოლა დაგამთავრე ოქროს მედლით, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი – წარჩინებით. მას შემდეგ ვწერ და ვწერ... დავიწყე „ახალგაზრდა კომუნისტის“ (შემდგომ – „ახალგაზრდა ივერიელი“) კორესპონდენტობიდან, ვმუშაობდი „კვირის პალიტრაში“, საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“, საკონსულტაციო კომპანია „PRPA“-ში ანალიტიკური სამსახურის უფროსად... 5 წელზე მეტი ვიმუშავე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით გამომაჯავლ გაზეთში „რეგიონის დროით“, რომელიც გახლდათ თვითმმართველობის განვითარების ხელშემწყობი პროექტი (ბოლო 2 წელი ვიყავი გაზეთის რედაქტორი. მინდა ვთქვა, რომ ამ სფეროში საკმაოდ გამოცდილება შევიძინე და ადგილობრივი თვითმმართველობის დიდი გულშემატკივარი ვაგხდი. იმისათვის, რომ პრაქტიკული ხასი-

ათის პროექტები განვასორციელო, რომლებიც რეალურად ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლების კავშირს მოქალაქეებთან. დაგაარსე არასამთავრობო ორგანიზაცია „ადგილობრივი თვითმმართველობა და თანამედროვე გამოწვევები“. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით უკვე განვასორციელებთ ერთი პროექტი – „ინტერნეტრესურსი მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებისათვის“. ახლა კი ათენში გამომაგულ „ქართულ გაზეთს“ – „გეორგიანი ეფიმერიდას“ ვრედაქტორობ, რომელიც 4მ-გვერდიანია (4 გვერდი ბერძნულია) და ყოველ შაბათს გამოდის (4 გვერდი ბერძნულია).

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვიო, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი? „ყველა წუთს, ყველა წამს ვებოტინები!“ – თქვენი კოლეგის ინტერვიუდანაა. თქვენთან როგორაა საქმე?

ნინო ლურსმანაშვილი: დრო ხელფასივითაა – რაც მეტი გაქვს, უფრო უყაირათოდ ხარჯავ, ფლანგავ. მუშნი ზარანდიას ცნობილი სიტყვების პერიფრაზს თუ გაუაკეთებთ, კაცი უნდა ეყოს დროს და არა პირიქით. უბრალოდ, დროის რაციონალური ხარჯვა უნდა ვისწავლოთ, თორემ დღე-ღამეში 30 საათიც რომ იყოს, მაინც არ გვეყოფა... სამწუხაროდ, მეც მუდმივად ცაბიტნოტში ვარ...

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნინო ლურსმანაშვილი: კონტექსტიდან ამოღებული ფრაზის მიხედვით ძნელია კომენტარის გაკეთება. რა თქმა უნდა, ეს მისი სუბიექტური განცდაა, თუმცა ჩემთვის ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. ვფიქრობ, რომ უკვალოდ არაფერი იკარგება. ალბათ, მწერალი იმას გულისხმობდა, რომ შემოქმედმა მუდმივად ახალი ჰორიზონტები უნდა ეძიოს და უკან არ ინედებოდეს. თუმცა, ალბათ, უკან მოსედგაც საჭიროა ზოგჯერ, რომ თუნდაც შეცდომები არ გაიმეორო და ერთი და იმავე ქვას მეორედ და მეთრედ ფეხი არ წამოჰკრა.

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მითხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში – ფინალს. თქვენთან როგორაა საქმე?

ნინო ლურსმანაშვილი: კარგ დასაწყისს და უნეირო ფინალს მაინც არც მთლად ბრწყინვალე დასაწყისი, მაგრამ კარგად მოფიქრებული ფინალი სჯობს ლექსშიც და პროზაულ ნაწარმოებშიც. უნეირო ფინალი დაღმაკალი ინტონაციით ლექსის მთელ განწყობას აფუჭებს. თუ არჩევანზე მიდგება საქმე, მე პირადად ფინალს მივანიჭებდი უპირატესობას, თუმცა როდესაც დასაწყისიც და ფინალიც ოსტატურად არის შესრულებული — ეს უკვე იდეალური ვარიანტია. გახსოვთ კაფუკას „პროცესის“ ფინალური ფრაზა? „ძაღლივით დამკლეს, — თქვა კ-მ ისე, თითქოს ეს სინცხვილი მასზე მეტხანს იარსებებდა“. გენიალურია. ამ ფრაზით მთელი ნაწარმოები თითქოს ერთ წერტილში კონცენტრირდება და გულსა და გონებაში გეპეჭდება. ამ ნაწარმოების უკეთესი ფინალი ვერც წარმომიდგენია...

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში „აკროძალული თემები“? ქართულში?

ნინო ლურსმანაშვილი: მიუხედავად იმისა, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები ცდილობენ ტაბუირებული თემების ჩარჩოებიდან გამოსვლას, მაინც ვფიქრობ, რომ ქართული ლიტერატურისთვის, ასე ვთქვათ, აბსოლუტური სიშეშვლე (როგორც, მაგალითად, უელბეკთან) მიუღებელია — უბრალოდ, ჩვენს ეთნოფსიქოლოგიურ ნატს არ ერგება. ახლა ცდილობენ, ადამიანი ყველაზე ცუდი მხრიდან დახანანონ მკითხველს, გამოწვლილვით გამოფინონ მისი ავი ზნენი — თანაც ჰიპერბოლიზებულად. ეს ერთგვარად ნმაურიანად სახელის მოხვეჭის საშუალებაცაა. რა თქმა უნდა, ნაკლი და ჭუჭყი არ უნდა მიიჩქმალოს და პრობლემა სააშკარაოაზე უნდა გამოიტანოს მწერლობამ, მაგრამ გააჩნია ფორმას და დამოკიდებულებას. ყველაფერი მაინც მწერლის სიდიდეზე, მის ოსტატობაზეა დამოკიდებული. თუ დიდია მწერალი, თუ სიტყვის ოსტატია, ისე დახატავს სინამდვილეს, რომ ის ვულგარული და უხამსი სურათი კი არ იქნება, არამედ ნამდვილი ლიტერატურა, რომელიც საზოგადოების გაკეთილშობილებისკენ, კათარზისისკენ იქნება მოწოდებული. სწვა შემთხვევაში, რა არის მწერლობის დანიშნულება? შეგვაძლავს თუ შეგვაყვაროს ადამიანი თავისი რთული ბუნებითა და შუქ-ჩრდილებით? სკანდალური თემებითა და სიტყვიერი ალვირახსნილობით ცდილობდე, სახელი გაითქვა, — რბილად რომ ვთქვათ, დასაგმობია და ნამდვილ ლიტერატურასთან საერთო არაფერი აქვს.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნინო, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ეპლიტფო“? რას შეცვლიდით? „ჟურნალისტის მონოლოგს“ როდის დაგვიწერთ?

ნინო ლურსმანაშვილი: მომწონს, შესანიშნავი პროექტია. განსაკუთრებით მომწონს „ებლიტფოს“ — აქცია „ერთად გადავწეროთ „ვეფხისტყაოსანი“. როგორც მოგეხსენებათ, „ქართული გაზეთი“ შეუერთდა თქვენს აქციას — გაზეთის ერთ გვერდს ჩვენი მკითხველების მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს ვუთმობთ და პარალელურად „ებლიტფოს-აც“ ვუგზავნით. ამრიგად, საბერძნეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებსაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ, საშუალებას ვაძლევთ, აქციას შეუერთდნენ. სწავთა შორის, დაინტერესება ძალზე დიდია და ეს ფრიად მასწარებს. მონოლოგის დაწერაზე არ მიფიქრია, დღეიდან ვიფიქრებ.

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდაშვიდწილი საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

ნინო ლურსმანაშვილი: 21-ე საუკუნე პოეზიის ერა არ არის და ეს აშკარაა. ვფიქრობ, რომ ტექნოლოგიის სწრაფი ტემპით განვითარებამ, კეთილდღეობისა და კომფორტისაკენ სწრაფვამ ადამიანებს სმენა დაუნ-შო — აღარ გვესმის სამყაროს ფაქიზი ჰანგები, ჩვენამდე ჩქამიც ვეღარ აღწევს. თუმცა, ალბათ, გამოიხსნება გენიოსი, რომელიც ამ რკინის კედლის მიღმა გაიგონებს ვარსკვლავთა სიმღერას (განსოვთ ვალაკტიონი? — „ვით გათენებას, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“). ღირებულებების გადაფასების ეპოქაში ცნსოვრობთ, თითქოს ყველაფერი განუნდა, მზეც კი... ბევრი კარგი ლექსი იწერება, ფეისბუქზეც ნშირად წამიკითხავს, მომწონებია, მაგრამ შედეგრები თითქმის აღარ იქმნება. ყოველ შემთხვევაში, მე არ წამიკითხავს. პოეზიის ერა წავიდა, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ სამუდამოდ; შესაძლებელია, დაბრუნდეს ოდისევსივით... სამაგიეროდ, ბევრი შედეგრი წამიკითხავს პრლზაში — საოცარი წიგნები იწერება. ჩემს სავიზიტო ლექსს რაც შეეება: ძალიან ნამამალლი ნათქვამია. ერთ თარგმანს შემოგთავაზებთ — ეს არის პოლ ვერლენის „შემოდგომის სიმღერა“. ამ ლექსის ბევრი შესანიშნავი თარგმანი არსებობს ქართულ ენაზე. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ჩემიც კარგია:

შემოდგომის სიმღერა

ულერს შემოდგომა ვილინოს მტირალი გამით;
გულს მისერავენ მონოტონურ ნმათა ისრები.
ვარ გაცრეცილი, მოცანცანე, როს რეკავს უამი

და წარსულ დროთა მოგონების ცრემლით ვივსები.
და მე მივყვები, მინდობილი ქარს, მქროლავს ნავსად, —
გაფითრებული, გარდაცვლილი ფოთლების მსგავსად.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასაყოფაა... — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემომღალწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. „ჟარგონი ისე, როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, — შორისდებულივით ორგანული. იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს სელში“ — ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... თქვენი კომენტარი.

ნინო ლურსმანიშვილი: ყველა ზემოაღნიშნულ შეფასებას ვიზიარებ. ჩემი აზრით, „ჟარგონი“ ზოგჯერ, უბრალოდ აუცილებელია. სხვა შემთხვევაში მწერალი რეალობას ვერ გამოხატავს, გმირის ხასიათს, სიტუაციას მთელი სიზუსტით ვერ აღწერს... თუმცა „ჟარგონმა“ არ უნდა გადაყლაპოს სალიტერატურო ენა. აქაც, ისევე როგორც ყველაფერში, სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო.

რაც შეეხება ზოგადად ენისადმი ჩვენს დამოკიდებულებას:

„ჭირი დაუძალავე სჯობიათ. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული.

ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია, მაგრამ ჩვენი დანარჩენი ჭირ-ვარამნი და სატკივარნიც დაძველდნენ.

ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩვილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასწავლბული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დააჯადდა და ატალახდა. ისიც გვახსოვს, რომ ერთ დროს გადაგვარებულებს თითებზე ჩამოთვლიდით ხოლმე. ანლა კი ანგარიში აგვერია და სათვალავი დაგვეკარგა. გვახსოვს „დროების“, „იყერიის“, „მოამბეს“ და „ცნობის ფურცელის“ ქართული, ესლა კი — „ქართული სიტყვის“ ერთი წერილის ავტორისა არ იყოს, — ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ამ მხრივ ჩვენში უსაზღვრო თავისუფლება დამყარდა. აღარაფერს ერიდებიან და ჟურნალ-გაზეთებში თამამად სწერენ: „ლაფატკა“, „ფლაგი“, „სიროსტი“, „ტუშანი“ და სსგ. არ ვაჭარბებ, ეს სიტყვები მე თვითონ წამიკითხავს და იმავე დროს გამხსენებია, რომ თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლიან ორი და სამი ქართული დაგვსვედროთ.

უკან აღარავინ ისელება. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა საგაღდე-ბულოდ აღარავინ მიაჩნია“.

გეცნოთ, არა? ამას მისეილ ჯავახნიშვილი ლამის საუკუნის წინათ წერ-და. სიტუაცია არ შეცვლილა, თღონდ რუსულ ბარბარიზმებს ანლა ინ-გლისური ჩაენაცვლა. ძალზე საგანგაშოა, რომ ლიტერატურული ენა ვა-ღარიბდა, სატელევიზიოს დაემსგავსა. ტელევიზია საშინლად რყვნის ენას და აკანონებს ქართული ენისთვის არაორგანულ ფორმებს, აბსოლუტურად სწვა სიტყვათწყობა და ფრაზის აგებულება შემოაქვს, რომელიც უცნ-ოური ენებისთვისაა დამახასიათებელი და ქართულთან საერთო არაფერი აქვს. აბატონებენ პასიურ ფორმებს – როდესაც ქართული ზმნა აქტიურია. ეს ენის მკვლელობაა. შეიძლება შეუგნებლად, მაგრამ ასე ნელ-ნელა სიც-ოცნლეს ვაცლით ენას, ეშაფოტზე აგვყავს. მე ეს ძალიან მაწუხებს. ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა ითავოს ენის დაცვა და ამისთვის უნდა აღდგეს ენის პალატა, რომელიც ამ მისიას უკომპრომისოდ შეასრულებს.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცე-სი? რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ნინო ლურსმანაშვილი:

ლექსზე მუშაობა ინდივიდუალურია. ზოგჯერ დაწერ რაღაცას და ერთი ასოც არ უნდა შეცვალო, ზოგჯერ განწყობას სალექსო ფორმით გამოინატავ, მაგრამ სვდები, რომ რაღაც ისე არაა, რომელიღაც სიტყვა იქ არ ზის, სადაც უნდა იყოს, ან სწვა სიტყვით ჩანაცვლება საჭირო. საერ-თოდ, სშირად მიწევს ტექსტების სტილისტური სწორება. საოცარი პრო-ცესია. უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს და იდეალურ ვარიანტამდე მაინც ვერ მისვიდე.

გიორგი კილაძე: „მოძწონს (თანამედროვე ქართული პოეზია) ერთი მხრივ, თუმცა მეორე მხრივ, ძალიან დიდი გავლენებია ერთმანეთის სწვა-დასწვა ავტორში“ – თქვენი კომენტარი.

ნინო ლურსმანაშვილი: გავლენები ყოველთვის იყო და იქნება. ძალიან ძნელია, ახალი სიტყვა თქვა, – ის, რაც არასდროს არავის უთქ-ვამს და ისე, როგორც არასდროს არავის უთქვამს. გავლენებისგან თავის დაღწევა მხოლოდ რჩეულთა სვედრია. მთავარია, იყოს ახალი ინტონა-ცია, ახალი აქცენტი, განწყობა... იმდენი ხანია, ეს დალოცვილი კაცო-ბრიობა არსებობს, რომ აღარაფერი დარჩა სათქმელი, ამიტომაც „ყვე-ლაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია“. მაგალითად, მოდის ტენ-

დენციები რომ ავიღოთ — მოდა ყოველ 20 წელიწადში ბრუნდება, ოღონდ ყოველი დაბრუნებისას ძველ მოდელს აქვს ახალი დეტალები, რომლებიც მას სრულიად სხვა ელფერს სძენს. უტრირებული მაგალითია, მაგრამ ასეა ლექსის შემთხვევაშიც. ახალი ინტონაცია, მცირედი სიახლე ფორმის, რიტმისა თუ რითმის თვალსაზრისით და... აი, ბატონო, ახალი ლექსი. მაგრამ რასაკვირველია, მთავარია „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი-პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებმელოდრამატული. სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტიურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ? თამარ ერგუმიძის შემოქმედებაზე რას იტყვით?

ნინო ლურსმანაშვილი: სპეციალური კვლევა არ ჩამიტარებია, მაგრამ ქალებისა და მამაკაცების აზროვნების სტილიც, ენაც, სედვაც ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, ხშირ შემთხვევაში, რომც არ იცოდე ავტორის გინაობა, მისვდები, ქალი წერს თუ კაცი. თუმცა არსებობენ ე.წ. „მასკულიზური“ აზროვნების ტიპის ქალები — მათზე ამჯერად არ ვილაპარაკებ. ქალი-მწერლის ესთეტიკაც განსხვავებულია. მაგრამ ნაწარმოებს ან აქვს ლიტერატურული ღირებულება, ან არა, მიუნედავად იმისა, ქალის დაწერილია თუ კაცის. თამარის ერთი შესანიშნავი მოთხრობა მაქვს წაკითხული — „გაშლები გულასთვის“ — თუმცა ერთი ნაწარმოებით შემოქმედებაზე ვერ იმსჯელებ...

გიორგი კილაძე: ისევ „ვეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „ვეფხისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

ნინო ლურსმანაშვილი: უბრალოდ ვკითხავ: რა იქნებოდა ქართული ლიტერატურა, „ვეფხისტყაოსანი“ რომ არ დაწერილიყო? „ვეფხისტყაოსანი“ ქართული სულიერი ენერჯის უმაღლესი გამოხატულებაა და არა მარტო ბოჭინის თვალსაზრისით. ამაზე მაღლა ასვლა წარმოუდგენელია. „ვეფხისტყაოსანი“ მარადიული წიგნია. მინდოდა, ჩემს შვილებს ის შეყვარებოდათ მანამ, სანამ სკოლაში სწავლას დაიწყებდნენ და სულ პატარებს ხშირად ვუკითხავდი მის საოცარ მუსიკალურ სტრიქონებს. აზრს ვერ ჩასწვდებოდნენ, მაგრამ მინდოდა, რომ ბგერწერის ჰარმონია აღექვათ და დაემან-

ოვრებიანთ. სხვათა შორის, როდესაც ვლადიმერ კობიძე იმაზე, რომ ვარსკვლავთ მუსიკა ესმით გენიოსებს — მგონია, რომ არ ვცდები. მოგესწონებათ, გალაკტიონის აბსოლუტური მუსიკალური სმენა ჰქონდა და ძალიან კარგად მღეროდა. დარწმუნებული ვარ, რუსთაველსაც ასევე აბსოლუტური მუსიკალური სმენა ჰქონდა და ვარსკვლავთა მელოდია ესმოდა (ტყუილად არ აქვთ „ვეფხისტყაოსანში“ მნათობებს გამოჩენული ადგილი). სხვაგვარად წარმოუდგენელია ისეთი ბგერითი ჰარმონიის შექმნა, როგორც „ვეფხისტყაოსანში“; ისეთი ნატანსაყების დაწერა, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. „ტაიქი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“; „დილასა აღრე მოვიდა, იგი, ნაზარდი სოსანი, ძოწეულითა მოსილი პირად ბოლ-ბალანშოსანი, პირ □-ოქრო რიდე ესვია, შვენიდა ქარქა □ოსანი, მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიქოსანი“... „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ოქროს საწმისია, ოღონდ მას ვერასდროს ვერავინ მოგვებარავს — ის ხელშეუხებელია!

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ნინო ლურსმანაშვილი: მართალია ვითხრობთ, დიდი ხანია, კარგი კრიტიკული ესე არ წამიკითხავს.

ლიტერატურის კრიტიკა ერთგვარად სასიფათო რამაა — კრიტიკოსი თავის სუბიექტურ აზრს ახვევს მკითხველს, არადა მიყვარს, როცა ნაწარმოები მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, როცა თავად იკვლევ გზას მის წყაღქვეშა დინებებში. კრიტიკა ღირებულია, როდესაც მისი ავტორი შეძლებს სუბიექტურ განცდებს თავი დააღწიოს და ისე განჩნრიკოს ნაწარმოების ავ-კარგი. კრიტიკის საქმეა ტენდენციების ძიება, „იზმების“ შემოტანა, პირობითობების, სიმბოლოების, ალუზიების გაშიფვრა... ეს მკითხველისთვის ერთგვარად განმარტებითი ბარათივითაა და ზოგჯერ თავად მწერლისთვისაც. ფოლკნერის ინტერვიუ გამახსენდა, სადაც იგი ამბობს, რომ როდესაც წერს, სიმბოლოებზე არ ფიქრობს, ისინი თავისთავად ჩნდება მისი ქვეცნობიერიდან, მისი შესხიერებიდან და შემდეგ კრიტიკოსის საქმეა მათი ძიება და გაშიფვრა...

მიუკერძოებელი, ობიექტური კრიტიკა ნამდვილად არგია ლიტერატურულ პროცესებს, — შეიძლება, მწერალს მან უკეთ დაანახოს თავისივე ნაწარმოები. მაგრამ დაუშვებელია ღვარძლითა და ნიშნისმოგებით, სარკაზმით წერა (თუნდაც მწერალი ამას იმსახურებდეს). ალბათ, საკმაოდ რისია მსუბუქი ირონია და ზუსტი ფორმულირებების მონახვა. კრიტიკო-

სი აუცილებლად უადრესად განსწავლული უნდა იყოს ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, ისტორიასა თუ სხვა დარგებში. ძალიან კარგად გამოთვალავს კრიტიკის მიმართ დამოკიდებულებას აკუტაგავა ფანტასტიკურ ნაწარმოებში „მენზურა ზოილი“. მასში მოთხრობილია უნივერსალურ ხელსაწყოზე, რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებებს აფასებს და აძლევს მათ „ვიზას“ დასაბეჭდად. თავად აკუტაგავას ნაწარმოებებს ეს ხელსაწყო დაბალ შეფასებას აძლევს... ზოილი ისტორიას შემორჩა, როგორც ღვარძლიანი კრიტიკოსი, რომელიც ჰომეროსს დასცინოდა და ამითრახებდა. სამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ თანამედროვე ზოილები კრიტიკას პირადი ანგარიშსწორების საშუალებად იყენებენ, ან პირიქით – მეგობრულ-კლანური გუნდრუკის საკმევად...

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად თბიქტურად იმართება საქართველოში?

ნინო ლურსმანაშვილი: ფაქტია, რომ არცთუ იშვიათად პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ირჩევა დასაჯილდოებელი ნაწარმოებები. ესეც ალბათ, გარდამავალი ქვეყნის სენია. როდესაც საქართველოში ნამდვილი და არაფასადური დემოკრატია იქნება, ეს პრობლემაც მოიხსნება. თუმცა, რასაკვირველია, ყოველთვის ასე არ არის და ნამდვილად ღირსეული ნაწარმოებებიც იმარჯვებენ.

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

ნინო ლურსმანაშვილი: ამაზე მიფიქრია და ვიცი, რასაც გაგაკეთებ. რაც არ უნდა მაღალი დონის ჟურნალი იყოს, თანამედროვე მკითხველისთვის მხოლოდ ნაბეჭდი პროდუქციის შეთავაზება საკმარისი არ არის, – აუცილებლად სხვაგვარი მიდგომაა საჭირო...

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

ნინო ლურსმანაშვილი: როგორც არ უნდა იკეკლეცოს და ფრანგებს ამოეფაროს, ის მაინც იშიფრება. ლიტერატურული ნაწარმოებიდან მწერლის ენერგეტიკა მოდის, ისევე როგორც მუსიკალური ნაწარმოებიდან თუ ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებიდან...

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოთ, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

ნინო ლურსმანაშვილი:

იქნებ „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებაზე ფიქრი გამებედა.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ნინო ლურსმანაშვილი: რომელსაც უყვარს ადამიანი.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ნინო ლურსმანაშვილი: ვფიქრობ, რომ ეს მეთოდი 100-იდან 90 შემთხვევაში გაამართლებს. მე ჩემს ვაჟიშვილს, ავთანდილს (სედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ გმირის სახელი ჰქვია) კითხვა დიდი ძალისხმევის შედეგად შევაყვარე, როცა ის 9-10 წლის იყო (ახლა 18 წლისაა), და მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერი დიდ დროს ართმევს, უწიგნოდ ვეღარ ძლებს. სხვათა შორის, ვასიკო კეჟერაძის პერსონაჟიც ძალიან მოეწონა და „კარცერ ლუქსის“ იდეაც.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სწორად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნინო ლურსმანაშვილი: ოდესღაც თქვა სოკრატემ და დღესაც, ალბათ, იმავეს იტყოდა: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. მართლაც, უამრავი კითხვაა, რომლებზეც პასუხი არ იცი და რომლებზეც გგონია, რომ იცი, — ერთ მშვენიერ დღეს კი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ არც მათი პასუხები გცოდნია. თუმცა მგონია, რომ ერთი რამ მაინც ვიცი: სამყაროში არსებობს უნივერსალური ბალანსი და ყველაფერი, რაც ხდება, ამ ბალანსის შესანარჩუნებლად არის საჭირო — მიზეზ-შედეგობრივი კავშირია უნივერსალური. ამიტომაც კვდება ერთი და იბადება მეორე, ამიტომაც მოდის დღე და ცვლის ღამეს... პატარა ტოტი რომ მოტყდეს ტყეში, ეს ჯაჭვურად იწვევს ცვლილებებს მთელ სამყაროში... და კიდევ: ვიცი, რომ სიყვარული მთავარია, რომ სამყარო სიყვარულის ღერძზე ტრიალებს... ეგ ზიუპერი ამბობდა: „სიყვარულზე არ კამათობენ. ის არსებობს“, მაგრამ რა არის სიყვარული?..

ლიტინტერვიუ

ნინო ტყეშაძის	3
ფირუზ ბოლქვაძის	11
მოლი ბლუმის	21
ნათუნა ნონიაშვილის	28
თამარ რუსაძის	35
თამარ ერგემლიძის	41
ნინო მშვიდლობაძის	48
თორნიკე გელაშვილის	59
ელვა ფოლადაშვილის	63
ქეთი სოსიტაშვილის	71
ნათია ჩესერიას	77
მარიამ წიკლაურის	81
თამარ კიკნაველიძის	91
ინგა მეტრეველის	96
ლია კილაძის	100
ია ვეკუას	109
მაია მიქაიას	115
ნატა ვარადას	122
გვანცა ჯობავას	130
მაია ჭუჭულაშვილის	139
ნინო ლურსმანაშვილის	143

